კომუნ

კარლ მარქსის სახ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ.-აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 18—80.

დღიური

- ერთა ლიგის სასახლეში [illegible]
- პარიზის საავტომობილო ქარხნებიდან 12000 კაცი დაითხოვეს.
- ხმები მანჯურიის დამოკიდებულების გამოცხადების შესახებ არ გამართლდა.
- პარიზში ჩავიდა ამხ. კრასინი
- ლოძის ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილებათა გაყიდვა გრძელდება.
- საარის ოლქის მუშები დელეგაციას გზავნიან საბჭ. კავშირში

ოთხშაბათი, 20 იანვარი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 15 (1470)

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია

მესამე მოწვევის ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-2 სესია დანიშნულია 25 იანვარს ქ. ერევანში.

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება. მომხსენ.
   ამხ. მამია ორახელაშვილი.
2. სომხეთის მთავრობის მოხსენება. მომხსენ.
   ამხ. ს. ამბარცუმიანი.
3. ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.
   მომხსენ. ამხ. ს. ლუკაშინი.
4. ღონისძიებანი ამიერ-კავკასიაში გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად და აღსადგენათ. მომხს.
   ამხ. ს. ხანოიანი.
5. ამიერ-კავკასიის 1925—1926 წლის ბიუჯეტი. მომხს.
   ამხ. გუსეინოვი.
6. ამიერ-კავკასიის კონსტიტუციაში დამატებით მუხლის შეტანა საბიუჯეტო უფლებების შესახებ. მომხს.
   ამხ. ა. შავერდოვი.
7. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების შესახებ. მომხს.
   ამხ. ა. გეგეჭკორი.
8. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ ცაკის სესიების შუალედებში მიღებულ დეკრეტების დამტკიცება. მომხსენ.
   ამხ. ა. შავერდოვი.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი
ა. შავერდოვი.

საბჭოთა არჩევნები და პარტორგანიზაციები

წარსულ წელს საბჭოების არჩევნები შედარებით მძიმე პირობებში ჩატარდა. მაშინ ჩვენ პირველათ ვანხორციელებდით გაფართოებულ საბჭოთა დემოკრატიას. მშრომელი მოსახლეობის აქტივობა ამ არჩევნების დროს იმდენათ დიდი არ იყო, როგორც ეს დღეს არის. ადგილობრივათ მომუშავე ორგანიზაციებს პირველათ უხდებოდათ არჩევნების ახალი წესით ჩატარება და საამისო გამოცდილება არ გააჩნდათ, რაც ზოგჯერ იწვევდა სხვადასხვა გაუგებრობას. ამას თან დაერთო არაჩვეულებრივი ზამთარი, რომელმაც შეკრა გზები და ამნაირათ ხელი შეუშალა კამპანიის წარმატებით წარმოებას.

მიუხედავათ ამისა ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან, რომელიც უდრიდა 1.141.668 კაცს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 665.657 კაცმა, ესე იგი თითქმის ერთ მესამედმა. ეს საბჭოთა დემოკრატიის პირველი და უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო.

წელს მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. გარდა იმისა, რომ სოფლად და ქალაქად ადგილი აქვს მშრომელი მასის პოლიტიკურ აქტივობის არაჩვეულებრივ ზრდას, ჩვენს ძირითად საბჭოთა ერთეულებს უკვე მოეპოვებათ ერთგვარი გამოცდილება კამპანიის ჩასატარებლათ. ამასთან ერთად წინასწარი სამზადისი კარგა ხანია დაწყებულია როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივათ და არჩევნების ტეხნიკური მხარეც საკმაოთ დეტალურათაა დამუშავებული და განმარტებული.

ამიტომ უნდა ველოდეთ, რომ წლევანდელი არჩევნები შარშანდელთან შედარებით ბევრათ უფრო მეტი გამარჯვებით დამთავრდება თემისა და ქალაქის საბჭოებისათვის და ის მშრომელი მოსახლეობის უფრო მეტ ფენებს აამოძრავებს.

მაგრამ, რომ ეს გამარჯვება უეჭველი იყვეს და ამრჩეველთა აქტივობაც წარმატებით გამოვიყენოთ, საჭიროა თავიდან აცილებული იქნას მთელი რიგი დაბრკოლებები, რომელსაც უსათუოდ წლევანდელ არჩევნებშიაც ექნება ადგილი.

პირველი ამათგანია საარჩევნო კამპანიაში პარტიულ ხელმძღვანელობის შესუსტება. ასეთი საშიშროება, თქმა არ უნდა, არსებობს. ზოგიერთ ჩვენს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ფართე საბჭოთა დემოკრატია თავისებურად ესმით. ძველი დროის არჩევნებთან შედარებით, როცა პარტია ხშირად იძულებული იყო დაკვრითი მეთოდით და აშკარა ზეგავლენის ქვეშ ჩაეტარებია არჩევნები, ეხლა ადგილი აქვს მეორე უკიდურესობისაკენ გადახრას, ესე იგი პარტორგანიზაციების გვერდზე გადგომას.

რასაკვირველია, ეს მდგომარეობა ერთი წუთითაც არაა მოსათმენი. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს საბჭოთა დემოკრატიის ასეთ მახინჯ გაგებას. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დემოკრატია და პარტიული ხელმძღვანელობა ერთი მეორეს ოდნავათაც არ ეწინააღმდეგება, რომ პარტიის მტკიცე და უშუალო ხელმძღვანელობის გარეშე წარმოუდგენელია არჩევნების წარმატებით ჩატარება.

სხვა საქმეა ვის როგორ ესმის ეს ხელმძღვანელობა და ვინ რამდენათ სწორათ ახორციელებს მას. ამისათვის ჩვენ გვაქვს უკვე პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების საკმაოთ გარკვეული დადგენილებანი და ინსტრუქციები.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცეკას ოქტომბრის პლენუმის დადგენილებას, სადაც ლაპარაკია ღარიბ გლეხთა ცალკე ჯგუფების შექმნის შესახებ. პარტხელმძღვანელობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით არჩევნების დროს, არამედ წინასწარ მუშაობის, ე. ი. საარჩევნო სამზადისის მოხერხებულათ ჩატარების დროსაც.

ადგილობრივმა პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის, უნდა მოიწვიონ ასეთ გლეხთა ცალკე კრებები, სადაც გაირჩევა არჩევნებთან დაკავშირებული ყველა საჭირ-ბოროტო საკითხები და მოხდება მომავალ საბჭოში გასაყვან კანდიდატების შერჩევა. მაგრამ ამავე დროს პარტიული ორგანიზაციები უნდა შეეცადონ ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნამ არ ჩამოაშოროს მათ საშუალო შეძლების გლეხობა და არ აქცევიოს ამ გლეხობას პირი კულაკობისაკენ. ამისათვის საჭიროა ღარიბ გლეხთა ღია კრებების მოწყობა. ამ კრებებზე დასწრების სრული საშუალება უნდა მიეცეს საშუალო შეძლების გლეხებსაც და მათთან შეთანხმებით უნდა სწყდებოდეს ყველა საკითხები.

გარდა ამისა პარტიამ ადგილობრივად უნდა გააძლიეროს მუშაობა ქალთა შორის. საარჩევნო კამპანიის დროს უფრო უნდა ამოძრავდნენ ჩვენი ორგანიზაციების ქალთა განყოფილებები, რომლებიც სადელეგატო კრებების და გლეხ-ქალებთან ახლო მდგომ სხვა ორგანიზაციების საშუალებით უნდა ახდენდნენ წინასწარ კრებებს არჩევნების მომზადებულად შეხვედრისათვის. ასეთივე მუშაობა უნდა გაჩაღდეს კომკავშირის ხაზით, გლეხ-ახალგაზრდობის ასამოძრავებლად და საარჩევნო კამპანიაში მათი მასიურად ჩაბმისათვის.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ეგრეთ წოდებულ შავი სიების შედგენას, ე. ი. ხმის უფლება მოკლებულ მოქალაქეთა აღრიცხვას. პარტორგანიზაციები უნდა შეეცადონ საარჩევნო კომისიებში ისეთ პირების გაყვანას, რომელთაც შეეძლებათ ცაკის ინსტრუქციის სისწორით გაგება და ამ ინსტრუქციით თავისუფლად ხელმძღვანელობა.

თვით არჩევნების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კრების ადგილის და დროის შერჩევას. საჭიროა საარჩევნო კრებები ისეთ დღეს და იმ ადგილას ინიშნებოდეს, რომელიც ყველაზე უფრო ემხრობა და ეხერხება მოსახლეობის დიდ უმრავლესობას.

ყველა ამ პირობების უკლებლივ შესრულება იმის უტყუარი თავდები იქნება, რომ წლევანდელ არჩევნებიდან პარტია და ხელისუფლება კიდევ უფრო გამაგრებული გამოვა და ფართე საბჭოთა დემოკრატია ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებს.

გამოფხიზლების ნიშნები

გუშინ ჩვენ ვწერდით იმ კატასტროფიულ მდგომარეობაზე, რომელშიც გერმანია ჩავარდა. განა მტკიცება უნდა, რომ ამაში უდიდესი დანაშაული სოციალ-დემოკრატებს მიუძღვით. ისინი კარგახანია, რაც ბურჟუაზიის მთავარ დამხმარე ძალას, დასაყრდენს წარმოადგენენ. გერმანელი მენშევიკები მონაწილეობდენ მთავრობაში, როცა ეს საჭირო იყო მქონებელი კლასებისათვის მშრომელი მასსის მოსატყუებლად, მისი რევოლიუციონური ნებისყოფის მოსადუნებლად. იქიდან გაძევების შემდეგაც ისევ მონური ერთგულებით ემსახურებოდენ და ზურგს უმაგრებდენ თავიანთ ბატონებს.

მათ კვერი დაუკრეს დაუესის გეგმის მიღებას და ჰქმნიდენ ილიუზიებს, თითქო ამ გეგმის ჯადოსნური ძალა ქვეყანას სამეურნეო აყვავებამდე მიიყვანდა. ჩვენ კი ყველა ვხედავთ მის დამღუპველ შედეგებს. სოციალ-დემოკრატებს აგრეთვე თავის დიდ დამსახურებათ მიაჩნდათ ლოკარნოს ხელშეკრულების დადება და გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში, რასაც ისინი აქტიურად უჭერდენ მხარს, მაშინ როცა ამ ნაბიჯით გერმანიამ სავსებით დაკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ინგლისის მაჩანჩალა გახდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მიზანია ყოველგვარი საფასურის გაღებით „მშობლიურ" ბურჟუაზიის ხსნა, ბურჟუაზიის, რომელსაც მან თავისი ბედ-იღბალი საბოლოოდ დაუკავშირა, და რევოლიუციის საფრთხის აცილება. ამიტომ დათანხმდა იგი ქვეყანა უცხო კაპიტალისათვის მიეყიდა. არა უყოთ, რომ ამ „კეთილ სურვილს" სხვა შედეგი მოყვა, თუ გერმანიის ბურჟუაზიის არსებობას საძირკველი ეცლება სწორედ ასეთი პოლიტიკის წყალობით. „კეთილი განზრახვა" მაინც ასეთად რჩება.

არა ნაკლებ საყურადღებოა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის „ღვაწლი" ვილჰელმის გვარეულობის წინაშე. ყველას გვახსოვს, რომ მისი მეთაურები ყოველ ზომას იღებდენ საგაფიცვო, რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასაფუშავად მსოფლიო ომის უკანასკნელ ხანებში, რომ ეხსნათ ვილჰელმის ტახტი, მათ მოღალატურ როლს ამ მხრივ საჯაროდ აეხადა ფარდა, სხვათა შორის ყოფილ პრეზიდენტის, მენშევიკ ებერტის პროცესზე.

ეხლაც არ აკლებენ მოწყალობას ვილჰელმის გვარეულობას. მაშინ, როცა მუშები მილიონობით ქუჩებშია გამოყრილი და მოკლებულია ლუკმა-პურს, მენშევიკები სულ ბოლო დრომდე მხარს უჭერდენ ყოფილ მეფის გვარეულობისათვის ანაზღაურების მიცემას მისგან რევოლიუციის დროს ჩამორთმეულ ქონებისათვის. ხოლო როცა ამ საკითხის გარშემო კომუნისტურმა პარტიამ ფართე კამპანია გაშალა მასებში და მოითხოვა მისი გადაჭრა მთელი ხალხის დაკითხვის გზით, როცა მასის გულისწყრომამ მენშევიკების პოზიციით აშკარა შეიქნა,—ვილჰელმის ამ აგენტებმა უკან-უკან იწყეს დახევა. ეხლა, მაგალ. სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი მეთაური, რეიხსტაგის პრეზიდენტი ლებე აცხადებს, რომ ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონება წარმოადგენს „ტანჯული ხალხის საკუთრებას" და რეიხსტაგმა, მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებათა, უნდა მოამზადოს საყოველთაო კენჭის ყრა ამ საკითხზე. მაგრამ ამავე დროს მაინც „გული შესტკივა" ჰოგენცოლერნებზე და ამბობს: რევოლიუციამ „მძიმე დანაშაული ჩაიდინა ყოფილ მეფის გვარეულობის საკითხში"-ო; ალბად ამ „დანაშაულის ნაწილობრივ მაინც გამოსასყიდათ ლებე აღიარებს, რომ ყოფილ სამეფო გვარეულობის წარმომადგენლებს, რომელთაც არ გააჩნიათ ქონება საზღვარგარეთ, უნდა დაენიშნოს მუდმივი რენტაო. ასეთ პირობებში გასაკვირველი არ არის, რომ ვილჰელმი აპირობს ბერლინში ჩასვლას, რათა პირადათ აწარმოოს მოლაპარაკება ჩამორთმეულ ქონებისათვის კომპენსაციის მიღების საკითხზე.

კომპარტია კი განაგრძობს კამპანიას პლებისციტის სასარგებლოდ და ეს კამპანია მასიურ გამოხმაურებას ჰპოულობს ყველგან. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და პროფკავშირების მეთაურები დიდათ არიან დაფიქრებულნი და აბნეულობას იჩენენ იმის გამო, რომ ანაზღაურების გადახდის წინააღმდეგ მასიური მოძრაობის თაოსნობა სავსებით გადასულია კომპარტიის ხელში.

როგორც ამ საკითხში სოციალ-დემოკრატიის მეთაურების პოზიციის, ისე მისი საერთო მოღალატური პოლიტიკის გამო, პარტიის ქვედა ფენებში განუწყვეტლივ იზრდება ოპოზიციონური განწყობილება მათდამი, რაც საჯარო გამოსვლების ხასიათსაც ღებულობს, მიუხედავათ „ლიდერების" რეპრესიებისა, რომლებიც მიმართულია თავიანთი „თავხედი მრევლის" გაჩუმებისაკენ.

სწრაფად მიმდინარეობს სოციალ-დემოკრატიის იდეურ გაკოტრების და მისგან მასის ჩამოცილების პროცესი. მუშათა კლასის სულ ახალ-ახალი ფენები სდგებიან კომპარტიის დროშის ქვეშ, ირაზმებიან მის გარშემო და ეს ფაქტი, მენშევიკების გარიყვა, მათი გავლენის შერყევა მუშათა კლასში ერთ-ერთი მთავარი პირობაა გერმანიის რევოლიუციის.

X.

რატომ იგვიანებს სას.-სამ. გადასახადის აკრეფა

წელს, როგორც ვიცით, სასოფლო სამეურნეო გადასახადი არ არის სამძიმო გლეხობისათვის. თუ შარშან თითო მეურნეობაზე საშუალოდ 8 მან. 90 კაპ. მოდიოდა, წელს მხოლოდ 3 მ. 75 კ. მოდის.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, იმედები არ გამართლდა. გადასახადი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში არ შემოვიდა. წარსული წლის პირველ ნოემბრისათვის შეგროვილი უნდა ყოფილიყო გადასახადის 30 პროც., სინამდვილეში შეგროვდა 23 პროც.; ა. წ. პირველ იანვრისათვის კი კუთვნილი 65 პროც. მაგიერ შემოსულია 54 პროც. რა არის ამის მიზეზი?

წარსული 1924 25 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადი, როგორც ვთქვით, ბევრათ დიდი იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა გლეხობის უმრავლესობამ თავისი მოვალეობა შეასრულა. დანარჩენებმა კი, ზოგმა შეუძლებლობის და ზოგმაც „სიფრთხილის" გამო, ეს გადასახადი არ შემოიტანა და იგი ნარჩენად ჩაერიცხა მათ.

შემდეგ ამ დავალიანებულ გლეხებიდან ნაწილს შეუმცირდა ნარჩენების რაოდენობა, ნაწილს მიეცა ახალი ვადები და ნაწილი კი სრულიად განთავისუფლებული იქნა გადასახადისაგან. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს ცუდი იყო, მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ ნაბიჯებს თავისი უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა: გლეხი, რომელმაც შარშან თავის დროზე შეიტანა გადასახადი და მოვალეობა პირნათლად შეასრულა, ხედავს, რომ მის მეზობელს, რომელიც „არ აჩქარდა", გადასახადი ან სულ ეპატია ან შეუმსუბუქდა. ამიტომ წელს უკვე ისიც ყოყმანობს; თუმცა მისი გადასახადი მცირეა, მაგრამ მას იგი არ იხდის და უცდის შარშანდებურად რაიმე „მანიფესტს". თუ ჩვენ გადამხდელის ფსიქოლოგიას ანგარიშს გაუწევთ, მისი საქციელი გასაგებია. იგი ყოველთვის მეზობელს უყურებს, არ უნდა თავი დაიჩაგროს და სხვას ჩამორჩეს.

მეორე მიზეზი, რომელმაც შეაფერხა მიმდინარე წლის გადასახადის შემოსვლა, არის ჩვენი ადგილობრივი სამაზრო საგადასახადო ორგანოების სისუსტე ამ საქმეში. ბევრ მაზრებში ზოგიერთი ამხანაგები, გადასახადის სიმცირის გამო, ისე იყვნენ დარწმუნებული გადასახადის დაწესებულ ვადებზე უფრო ადრე აკრეფაში, რომ საჭიროთაც კი არ დაინახეს საგადასახადო ფურცლებში ვადები ეჩვენებიათ გადამხდელებისათვის. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ თითონ არ გავიდენ სოფლად და საქმის სიმძიმე თემების აღმასკომებს დააკისრეს. ამ უკანასკნელებმა კი ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციეს გადასახადის აკრეფას (მათ არა ჰყავთ საფინანსო დარგში მომუშავე) და საჭირო ზომები ვერ მიიღეს თავის დროზე.

გარდა ამისა, კანონის ძალით გადამხდელი ვალდებულია ჯერ ნარჩენი გაისტუმროს და შემდეგ მიმდინარე წლის გადასახადი შემოიტანოს. ზოგჯერ ნარჩენი მეტია, ვიდრე გადასახადი და ამის გამო გლეხი ვერ იხდის ვერც პირველს და ვერც მეორეს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გლეხს მიაქვს სალაროში წლევანდელი ახალი გადასახადი, მაგრამ როდესაც გებულობს, რომ ამ ფულს მას ნარჩენის დასაფარავად უთვლიან, იგი უკან ბრუნდება და სულ არაფერი შეაქვს სალაროში.

ჩვენის მხრივ საჭიროა აღმოვფხვრათ ნაჩვენები მიზეზები ერთხელ და სამუდამოდ. გადამხდელებს ვაჩვენოთ სათანადო სიმტკიცე და ადგილობრივ სამაზრო და სათემო ორგანიზაციებს გადასახადის საქმეზე მივაქცევიოთ მეტი ყურადღება. ყოველ შემთხვევაში საკავშირო ბიუჯეტი მოითხოვს, რომ მისი ვარაუდი შესრულებული იქნეს სავსებით.

ი. ს—ძე.

გერმანიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი

ცენტრის პარტიები ვერ შეთანხმდენ სამინისტრო პორტფელების განაწილების საკითხში

დეკემბერში გერმანიაში გაკოტრდა 1638 ფირმა.—1397 ფირმას ასეთივე ბედი მოელის

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ოპოზიცია იზრდება.—ცეკა ხურავს ოპოზიციონურ გაზეთებს

ბერლინის მუშები მეფის გვარეულობისათვის „ზარალის" ანაზღაურების საკითხში კომპარტიას უჭერენ მხარს

მოკავშირეებს განზრახვა აქვთ რეინის ოლქში ჯარები გააძლიერონ

ახალი დაბრკოლებანი

ბერლინი, 18 იანვ. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის შედგენას წინ ელობება ახალი დაბრკოლებები. შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელის გადაცემას დემოკრატ კოხისათვის ყოველმხრივ უარყოფით უყურებენ.

გერმანიის კრიზისის დეკემბრის ბალანსი

ბერლინი, 18 იანვარი. ჟურნალ „ბანკის" ცნობის თანახმად, დეკემბერში 1.638 ფირმა გამოცხადებულია გაკოტრებულათ, 1.397 სხვა წარმოებები დაუმორჩილდენ მევალეთა საბჭოების კონტროლს. გარდა ამისა დეკემბერში განსაჩივრებულია 23.000 თამასუქი.

დემონსტრაცია პროლეტარიატის ბელადების ხსოვნის აღსანიშნავად

ბერლინი, 18 იანვ. ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მოკვლიდან 6 წლის და ლენინის გარდაცვალებიდან 2 წლის შესრულების გამო გერმანიის კომპარტიამ მოაწყო მთელ ქვეყანაში საყოველთაო დემონსტრაციები საერთაშორისო პროლეტარიატის განსვენებულ ბელადების ხსოვნის აღსანიშნავად.

დემონსტრაციებში დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა, ბერლინში რაიონულ მიტინგების გამართვის შემდეგ მრავალი ათასი მუშა გაემგზავრა როზა ლიუქსემბურგის და ლიბკნეხტის საფლავზე. სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს პიკმა კომპარტიის ცეკას სახელით და ქალთა წითელი კავშირის წარმომადგენელმა.

დიდ თეატრთან გამართულ მიტინგზე ტელმანმა წარმოსთქვა სიტყვა გარდაცვლილ ბელადების ხსოვნის აღსანიშნავად.

გამოვიდენ სპეციალური კომუნისტური გაზეთები, რომლებშიაც სხვათა შორის გამოქვეყნებულია დაწვრილებითი ცნობები ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის დაპატიმრების შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიუძღვის დანაშაული გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბელადების მკვლელობაში.

პლებისციტს მხარს უჭერენ

ბერლინი, 18 იანვ. კომპარტიის თაოსნობით დაიწყო ხელისმოწერა ყოფილ მეფის გვარეულობისათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების საკითხისათვის საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოთ. ორი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთ ნეი-კელში (ბერლინის მუშათა რაიონი), ხელი მოაწერა 29.000-ზე მეტმა პირმა, რომლებიც სარგებლობენ სააღმშენებლო უფლებით, ნაცვლად ნავარაუდევ 6,000 კაცისა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო რეფორმისტულ გაერთიანების ლიდერები ღელავენ იმის გამო, რომ მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობა კომპარტიის ხელში გადადის.

ოპოზიციის ზრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში.

ბერლინი, 18 იანვ. უკანასკნელ ხანებში იზრდება ოპოზიცია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წრეში. ეს ჩანს არა მარტო იქიდან, რომ მუშათა ფართო მასები სიმპატიით არიან გამსჭვალული საბჭოთა კავშირისადმი, არამედ იქიდანაც, რომ მუშები უარყოფით უცქერიან კოალიციონურ კაბინეტში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის საკითხს.

ლოკარნოს ხელშეკრულების და ერთა ლიგისადმი დამოკიდებულების საკითხში სოციალ-დემოკრატიული პროვინციული პრესას უჭირავს პარტიის ხელმძღვანელ ცენტრის საწინააღმდეგო პოზიცია. განსაკუთრებით გამწვავებულია დამოკიდებულება პარტიის აღმასრულებელ კომიტეტსა და საქსონიის ოპოზიციონურ ელემენტებს შორის. საქსონიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატთა ერთი ჯგუფი 23 კაცისაგან შემდგარი პარტიის ცეკას დახმარებით საბოტაჟს უცხადებს პარტიის საქსონიის კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს.

31 იანვარს დრეზდენში გაიმართება ადგილობრივი პარტეტაგი, რომელზედაც საქსონიის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე მასწავლებელი არცტი (ეს მასწავლებელი დათხოვნილია საქსონიის მთავრობის მიერ მემარცხენეობისათვის) გააკეთებს მოხსენებას პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. სოც.-დემ. პარტიის აღმასკომი ბერლინში იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა ჩააჩუმოს ოპოზიციონური პრესა.

ამნაირად შესწყვიტა არსებობა მეკლენბურგის მემარცხენე ფრთის ორგანომ „თავისუფალმა სიტყვამ", როგორც დამოუკიდებელმა ორგანომ. ცნობილი სოციალდემოკრატიული ორგანო „ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგი" ფინანსიურად დამოკიდებული გახდა ბერლინის პარტიულ ცენტრისაგან და გაზეთის მოწინავე წერილებს უკანასკნელ ხანებში მეტი ზომიერება დაეტყო.

ლიუტერი ვერ ადგენს მთავრობას.

ბერლინი, 19 იან. ლიუტერს იმედი აქვს, რომ კოალიციონური პარტიები შეთანხმდებიან.

კერნმა უარი სთქვა სახურსათო მინისტრის პორტფელის მიღებაზე, თუ კოხი დანიშნული იქნება შინაგან საქმეთა მინისტრათ.

უთანხმოების საგანი.

ბერლინი, 19 იან. ახალი მთავრობის შედგენა ბრკოლდება, რადგან პარტიები ვერ შეთანხმდენ საკითხში, თუ ვინ იქნეს დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე

ლიუტერის მთავრობის შედგენა გადაიდო.

ბერლინი, 14 იანვ. ვინაიდან სახალხო პარტია წინააღმდეგია, რომ კოხი დაინიშნოს შინაგან საქმეთა მინისტრათ, აგრეთვე ილაშქრებს მთავრობაში მარქსის მონაწილეობის წინააღმდეგ, ლიუტერის კაბინეტის შედგენა, როგორც ჩანს, იდება.

რეინის ოლქში

ბერლინი, 14 იანვ. მიუნხენში, გერმანიის იმპერიის დაარსების წლის თავზე გამართულ ზეიმზე. შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანია უკმაყოფილოა იმით, რომ მოკავშირეებს განზრახული აქვთ რეინის ოლქში ჯარების გაძლიერება.

პარიზი, 19 იანვ. გერმანიის ელჩს პარიზში ფონ-გეშს განზრახული აქვს მოელაპარაკოს ბრიანს რეინის ოლქში მოკავშირეთა ჯარების შემცირების შესახებ.

ალბერ ტომა ბერლინში

ბერლინი, 19 იანვ. ბერლინში ჩამოვიდა ალბერ ტომა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს შრომის მინისტრთან, რათა გერმანია შეუერთდეს ვაშინგტონის ხელშეკრულებას 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

ჩინეთის ამბები

გომინდანის ყრილობა

კანტონი, 18 იანვარი. გომინდანის კონგრესის მეხუთე სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში გლეხობის მოძრაობის შესახებ აღნიშნული იყო, რომ გლეხები ხელს უწყობენ ეროვნულ რევოლიუციას, ეხმარებიან მთავრობას და მხარს უჭერენ გაფიცულებს იმპერიალისტების წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ, რომელიც დაიწყო შარშან მაისში გამართულ გლეხობის ყრილობის შემდეგ, დიდ შედეგებს მიაღწია. გომინდანის მომხრე გლეხთა ორგანიზაციების რიცხვი ერთი ორად გაიზარდა. გუან-დუნის პროვინციის თვითეულ ოლქში არსებობს ეხლა გლეხთა ორგანიზაციები. კონგრესის მეექვსე სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში მუშათა მოძრაობის შესახებ აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციულად დარაზმული მუშები მთელს ჩინეთში, წარსული წლის ზაფხულში მომხდარ დახვრეტამდე, 600,000 იყო. ამჟამად მათი რიცხვი მილიონამდე აღწევს. გუან-დუნის პროვინციაზე მოდის 200,000, კანტონზე—125,000. თანდათან ჰქრება სეპარატიზმის და პროვინციალიზმის ნაშთები. მუშათა ორგანიზაციები იზრდება და უმჯობესდება. პარტიის წინანდებურად უნდა ეკუთვნოდეს მუშათა მოძრაობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

კონგრესმა დაადგინა გაიგზავნოს შანხაის, ტიან-ძინსა, ცინდაოსა და ხანკოუში დეპეშები გაფიცულთათვის თანაგრძნობის გამოცხადებით.

უარყოფენ ცნობას მანჯურიის დამოუკიდებლობის შესახებ

პეკინი, 18 იანვარი. უწინდელ ცნობას თითქო ჩჟან ძო-ლინს მანჯურიის დამოუკიდებლობა გამოეცხადებიოს, ეხლა უარყოფენ. იუწყებიან, რომ ჩჟან-ძო-ლინმა მხოლოდ გააფრთხილა პეკინის მთავრობა, რომ ის „არ გამხდარიყო ბოლშევიკური", ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მანჯურიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ემუქრებოდა.

შავრაზმელ გენერლების შეთანხმება

ლონდონი, 13 იანვარი. „დეილი ტელეგრაფის" პეკინის კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩჟან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს შეთანხმების გარდა შეთანხმება მიღწეულია აგრეთვე უ-პეი-ფუს და ფუ ცზიანის და ცზიან-სუს პროვინციების სამხედრო გუბერნატორის სუნ-ჩუან-ფანს შორის, რომელიც ითვლებოდა უ-პეი-ფუს ერთ-ერთ უძლიერეს მოწინააღმდეგეთ.

ჯარისკაცების თავგასულობა

ხარბინი, 18 იანვარი. 16 იანვარს ჩინელ ჯარისკაცებმა ძალით ჩაიგდეს ხელში საკვანძო სადგური გუან-ჩენ-ძი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ ჩინეთის და სამხრეთ მანჯურიის რკინისგზებს შორის. როგორც ჩანს, უწესოება სწარმოებს რკინისგზის დამცველ ჯარების შტაბის ნებართვით იმ მიზნით, რომ აიძულონ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზა შესცვალოს აკრძალვა ჩინეთის ჯარების უფასოდ გადაყვანის შესახებ. რკინისგზას არა აქვს საშვალება უზრუნველჰყოს მოძრაობის უშიშროება. გზის სამმართველომ ცნობა გაუგზავნა მთელ ხაზს და აგრეთვე კარახანს ხარბინის სამხრეთით ყოველგვარი მოძრაობის შეწყვეტის შესახებ.

ხარბინში ჩინელებმა პროკლამაცია გამოუშვეს ჩინურ ენაზე, რომელშიაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველოს უფროსის ივანოვის წინააღმდეგ აქეზებდენ.

საფრანგეთში

ოქრო ქრება

ბერლინი, 19 იანვ. საფრანგეთის მთავრობა ზომებს იღებს, რომ ხელი შეუშალოს ოქროს ფულების გატანას შვეიცარიაში. შვეიცარიაში ამჟამად გატანილია რამოდენიმე მილიარდის ოქრო.

მოხელეთა მანიფესტაცია

ბერლინი, 19 იანვ. მიუხედავათ იმისა, რომ მოხელეებს აკრძალული აქვთ მანიფესტაციების მოწყობა, გუშინ თანხმობის მოედანზე გაიმართა ასეთი მანიფესტაცია. ადგილი ჰქონდა რამდენიმე უმნიშვნელო ინცინდენტს.

20 დივიზია

პარიზი, 19 იანვ. გაზეთ „ეკო-დე-პარი"-ს ცნობით, სამხედრო საბჭომ გამოარკვია, რომ საფრანგეთის უშიშროების უზრუნველსაყოფად საჭიროა 20 დივიზია.

12 000 მუშა ქუჩაში

ბერლინი, 19 იანვ. გაზ. „ლ'იუმანიტე"-ს ცნობით, ავტომობილების ქარხნის პატრონმა სიტროენმა პარიზში დაითხოვა 12.000 მუშა.

საბჭოთა პრესა

საჭირ-ბოროტო საკითხი

ჩვენში რომ სატყეო მეურნეობა ჯერჯერობით ვერ არის რიგიანად დაყენებული, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. დღესაც მწვავედ დგას ეს საკითხი, კერძოდ ადგილობრივი ტყეების გლეხობაზე გადაცემასთან დაკავშირებით. ასეთი ტყეების გადაბარება სწარმოებს ამჟამად და დამთავრდება ახლო მომავალში. მაგრამ ამოცანა მდგომარეობს ამ ტყეების სოფლის მოსახლეობისათვის არა მარტო უბრალო გადაცემაში, არამედ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მათი მოვლა-პატრონობას, გეგმაშეწონილ გამოყენებას. ტყეების გადაცემას არამც და არამც არ უნდა მოყვეს მათი გაჩანაგება. სამწუხაროდ, არა ყველას აქვს შეგნებული ტყეების ღირებულება და რაციონალურ სატყეო მეურნეობაზე ბევრს ხომ არავითარი წარმოდგენაც არა აქვს.

„გადაცემულ ტყეებისადმი დამოკიდებულებაში სოფლად შემჩნეულია სამნაირი შეხედულება,—წერს „ბედნოტა".

პირველი—კულაკების, ტყის ყოფილ მესაკუთრეების, სპეკულიანტების და საერთოდ მტაცებლების მხრით—რაც შეიძლება ჩქარა ისარგებლონ მეთვალყურეობის უქონლობით და გარდამავალი პერიოდით, რათა დაუყონებლივ გასჩეხონ გადაცემულ ტყის უმეტესი ნაწილი.

მეორე—გულგრილი შეხედულება საზოგადოებრივ ავლა-დიდებაზე, განურჩეველი დამოკიდებულება ტყის ბედისადმი. ამას შედეგად მოსდევს თავისებური შეჯიბრება—მეზობელმა მოსჭრა და ჩამოზიდა ხე-ტყე, მე არ უნდა ჩამოვრჩეო.

და მესამე—შეგნებული შეხედულება მოწინავე, საზოგადოებრივი მოღვაწე გლეხის, რომელსაც გული შესტკივა სოფლის სატყო მეურნეობაზე და რომელიც ძალღონეს არ აკლებს მის მოსაწესრიგებლად".

უნდა ითქვას, რომ სოფლად ჯერ კიდევ სჭარბობს შეუგნებელი დამოკიდებულება ტყეებისადმი. საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება ტყეების დასაცავად და სატყეო მეურნეობის გეგმაშეწონილად დაყენებისათვის. ამ საქმეში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლის საბჭომ და მისმა სატყეო კომისიამ, საერთოდ კი სოფლის ყველა მოწინავე ელემენტებმა. სათანადო ორგანოებმა უნდა განუმარტონ გლეხებს ტყით რაციონალურად სარგებლობის წესები, ხოლო ტყის ბოროტი გამჩეხლების წინააღმდეგ გადაჭრილი ზომები უნდა იქნეს მიღებული. ადგილობრივი ტყეების საკითხი დასმულია ა | ქ. ტყის მეორე სესიაზე, რომელიც, ეჭვი არ არის, ამ მხრივ გამოიმუშავებს საჭირო ღონისძიებებს.

ღარიბ გლეხობის ჩაბმა კოოპერაციაში

ღარიბ გლეხობის შეკავშირებას მისი მეურნეობის ფეხზე დაყენებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დღეს. ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ღარიბ გლეხობის ჩაბმას კოოპერაციაში, რათა ამ გზით თვით კოოპერაციის შემადგენლობა სოციალურად გაჯანსაღდეს, შესუსტდეს მასში შეძლებულ ფენების როლი, ამასთან ღარიბი გლეხობა განთავისუფლებულ იქნას კულაკობის ექსპლოატაციისაგან და მისი მეურნეობა წარიმართოს სოციალისტური გზით. მაგრამ ხშირად ღარიბი გლეხი ვერ ხდება კოოპერატივის წევრად, რადგან მას საშუალება არ გააჩნია საპაიო გამოსაღები შეიტანოს. სად არის გამოსავალი? გაზ. „კოოპერატივნი პუტ" სწერს:

„საპაიო გამოსაღების დაკლებული ნორმების დაწესება ეწინააღმდეგება კოოპერატიულ პრინციპებს, აგრეთვე ღარიბ გლეხობის სრული განთავისუფლება მისი გადახდიდან. ამიტომ მას ენიჭება უფლება ნაწილ-ნაწილ, ხუთი წლის განმავლობაში, შეიტანოს საპაიო გამოსაღები, ე. ი. უფლება ნახევარ წელში იხადოს 50 კ. პაის დასაფარავად, რაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება სამძიმო იყოს შეუძლო გლეხობისათვის".

შესასვლელი გამოსაღები ღარიბ გლეხს ანიჭებს ყველა იმ უფლებებს, რომელნიც აქვთ კოოპერატივის ყველა დანარჩენ წევრებს. მაგრამ პაის ნაწილის თავის დროზე შეუტანლობა განიხილება როგორც საფუძველი წევრობიდან გამორიცხვისათვის. ეს საჭიროა კოოპერატიული დისციპლინის განსამტკიცებლად.

ამავე დროს სახელმწიფომ გადასდო განსაზღვრული თანხა ღარიბ გლეხობის ჩასაბმელად კოოპერაციაში. გაზეთი გადმოგვცემს:

„საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ, ბიუჯეტის წესით კოოპერაციისათვის 1925 | 26 წ. გადასადებ ჯამის განსაზღვრის დროს, საჭიროთ სცნო სპეციალური საშვალებათა გაღება კოოპერაციისათვის ხელის შესაწყობათ მასში ღარიბ გლეხობის ჩაბმისათვის; კავშირის სახ. საგ. კომისიამ დაადასტურა ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინადადება—გამოყოფილ იქნას სამომხმარებლო კოოპერაციისათვის 2 მილიონი მან. და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის 2 მილიონი მ. გარდა ამისა, თვით კოოპერაციამ თავის მხრივ უნდა გამოყოს დაახლოვებით ამდენივე თანხა, რათა სახელმწიფოს და კოოპერაციის საერთო ძალღონით შეიქმნეს საკმაო ფონდი ღარიბ მოსახლეობის საგრძნობ ფენის ჩასაბმელად კოოპერაციაში".

ამგვარად, სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს ღარიბ გლეხებს, რათა ისინი გახდენ კოოპერაციის წევრები. ამავე დროს ცხადია, რომ საკმარისი არ არის მარტო წევრად გახდომა, ამასთან აუცილებელია, რომ ღარიბი გლეხობა აქტიურ და ხელმძღვანელ როლს თამაშობდეს კოოპერაციაში. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი საქმიანობა.

უკანასკნელი ცნობები

უნიტარულ პროფკავშირების კონფერენცია

ვენა, 18 იან. ტემეშვარში შესდგა რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირების კონფერენცია ძველი რუმინეთის და სემიგრადის დელეგატთა მონაწილეობით. დღის წესრიგში იდგა: 1) მოხსენება უნიტარულ პროფკავშირების საბჭოს მუშაობაზე; 2) გაერთიანების საკითხი, 3) პროფმოძრაობის მდგომარეობა ძველ რუმინეთსა და ბესარაბიაში. მომხსენებელმა პირველ საკითხზე აღნიშნა, რომ პროფმოძრაობის მდგომარეობა დაცემის ხანას განიცდის; მწარმოებლები შეკავშირებული არიან მაშინ, როდესაც მუშური ორგანიზაციები გათიშული არიანო. კონფერენციამ დაადგინა მოიწვიოს სრულიად რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირების ყრილობა 7—9 მარტს ტარგუმუოში.

წინასწარი ცენზურის წინააღმდეგ

ვენა, 18 იანვ. ბუქარესტის გაზეთების წარმომადგენლებმა, გარდა მთავრობის გაზეთებისა, დაადგინეს შეაჩერონ გაზეთების გამოცემა, სანამ გაუქმებული არ იქნება წინასწარი ცენზურა.

რუმინეთის ტახტის მემკვიდრის ქონების კონფისკაცია

პარიზი, 10 იანვ. ყველა სასახლეები, რომლებიც ეკუთვნოდა რუმინეთის ტახტის მემკვიდრეს, ჩამორთმეულია.

75.000 ჯარისკაცი

ლონდონი, 18 იანვ. გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლებმა ანტანტის სახელმწიფოებში პროტესტი განუცხადეს სათანადო მთავრობებს ელჩთა საბჭოს კომისიის წინადადების წინააღმდეგ გერმანიის ოკუპაციაქმნილ ოლქებში 75.000 ჯარისკაცის დატოვების შესახებ.

აუცილებელია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მონაწილეობა

ტოკიო, 18 იან. გაზეთ „ოსაკა მაინიტის" აზრით აუცილებელია, რომ განიარაღების კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ, როგორც ხმელეთის უდიდეს სახელმწიფოებმა.

მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება კონფერენციის დადგენილებებს ძალაო, ამბობს გაზეთი.

სტუდენტების დაპატიმრება

ტოკიო, 18 იანვ. მთელ იაპონიაში სწარმოებს რადიკალურ სტუდენტების მასიური დაპატიმრება.

დიდი მანიფესტაცია პარიზში

პარიზი, 18 იანვ. მიუხედავათ ცუდი ამინდის, 18 იანვარს სახელმწიფო მოსამსახურეებმა მაინც მოაწყვეს მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობდა 10,000 კაცი. ბურჟუაზიულ პრესას სახელმწიფო მოსამსახურეების მოთხოვნილება სამართლიანათ მიაჩნია, მაგრამ შეუძლებლათ სთვლის დაკმაყოფილებას, რადგან ეს გამოიწვევდა სახელმწიფოს გაკოტრებას.

მოღალატენი

ჰელსინგფორსი, 18 იანვ. ფინეთის პროფკავშირების სოციალ-დემოკრატიული გამგეობა მოუწოდებს ფინეთის მუშებს შეუერთდენ ამსტერდამის ინტერნაციონალს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატებს პროფკავშირების ხელში ჩაგდება კი არ უნდათ, არამედ მათი განთავისუფლება კომუნისტების გავლენისგანო.

პროფკავშირების მემარცხენე პრესა ამის შესახებ ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატებს სურთ პროფმოძრაობაში განხეთქილება შეიტანონ, რომ ამით ბურჟუაზიულ პარტიებიდან სამინისტრო პორტფელები მიიღონო.

ჯოჯოხეთის მანქანა ერთა ლიგაში

ბერლინი, 19 იან. ჟენევაში, **ერთა ლიგის სასახლეში, ჟენევის პოლიციამ აღმოაჩინა უდიდესი გამანადგურებელი ძალის მქონე ჯოჯოხეთის მანქანა.**

სპეციალისტების აზრით, **აფეთქების ძალას შეეძლო დაენგრია არა მარტო სასახლე, არამედ მთელი უბანი, რომელიც სასახლის ახლო მდებარეობს.**

აფეთქება თავიდან იქნა აცილებული მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიციამ მიიღო უსახელო წერილი გაფრთხილებით. ამ წერილის შინაარს პოლიცია საიდუმლოთ ინახავს.

პანების სამეფოში

კომპარტიის ცეკას წევრების დაპატიმრება

ვარშავა 18 იან. გაზეთების ცნობით, 17 იანვარს ვარშავაში დაპატიმრებული იქნა პოლონეთის კომპარტიის ცეკას წევრი მილოხლავ ზდზიატსკი.

ლოძის ფაბრიკების გაყიდვა

ვარშავა, 18 იან. გრძელდება ლოძის საფეიქრო მრეწველობის ფაბრიკების მოწყობილობის და მანქანების გაყიდვა, საზღვარ-გარეთ გატანილ დაზგებს უცხოელები ძალიან დაბალ ფასებში ყიდულობენ. ფასები ხშირად არ აღემატება ამ მანქანების გასატან საბაჟო გადასახადებს.

პარტიზანები პოლონეთში

ვარშავა, 18 იან. პოლონეთის მთავრობის ინსპექტორმა ვოლინში გრაბოვსკიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ 1925 წ. პირველ ნახევარში პარტიზანულ გამოსვლების რიცხვი უდრიდა 18—1 კვირაში.

გრაბოვსკის სიტყვით, პოლიციამ შეიპყრო 100-ზე მეტი პარტიზანი 42 მოკლული იქნა ადგილობრივ, 17 გადაეცა საველე სასამართლოს. გრაბოვსკი აღნიშნავს, რომ მოსახლეობა მხარს უჭერდა პარტიზანებს.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

კრასინი პარიზში

პარიზი, 18 იანვარი. 18 იანვარს დილით პარიზში ჩავიდა კრასინი. ამ დღეებში კრასინი მიემგზავრება ლონდონში.

ყინვის მჭრელი საბჭოთა გემები

სტოკჰოლმი, 18 იანვ. კაპიტანი კოხი, რომელიც დანიშნულია შვეციის ახლად აშენებული ყინვის მჭრელი გემის უფროსად, ჩავიდა სტოკჰოლმში ფინეთში გამგზავრების შემდეგ, სადაც ის გაეცნო ყინვის მჭრელი გემების მუშაობას ფინეთის ყურეში.

„ატოფ ბლადეტ"-ის კორესპონდენტთან საუბარში კოხმა განაცხადა, რომ აღტაცებაში მოვიდა ყინვის მჭრელი საბჭოთა გემების მუშაობით. ეს გემები მუშაობენ უძნელეს პირობებში. კოხმა აღნიშნა, რომ ყინვის მჭრელი გემი „ლენინი" წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ყინვის მჭრელ გემს მსოფლიოში.

საარის მუშათა დელეგაცია

ბერლინი, 18 იანვარი. საარის ოლქში სწარმოებს აგიტაცია საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გასაგზავნად. სხვადასხვა პროფკავშირებმა მოიწვიეს 30 კრება, რომელზედაც მოხსენებები გააკეთეს საბჭოთა კავშირში მყოფ მუშათა დელეგაციის მონაწილეებმა.

საჭიროთ თვლიან შეთანხმებას

ვარშავა, 18 იანვარი. კრაკოვის გაზეთი „ნოვა რეფორმა" ეხება სეიმის დეპუტატების გამგზავრებას საბჭოთა კავშირში და აღნიშნავს, რომ **პოლონეთმა უნდა გამონახოს რაიმე „მოდუს ვივენდი" (შეთანხმების გზა) საბჭოთა კავშირთან,** მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა სწარმოებდეს სიფრთხილით და გათვალისწინებული უნდა იქნას თვითეული ნაბიჯის შედეგი.

კრაკოვის „ჩასი" აღნიშნავს, რომ დეპუტატების გამგზავრება განსაზღვრულ პირობებში პოლონეთს მოუტანს არა მარტო სარგებლობას, არამედ ზიანსაც.

ნიტტი ევროპის მდგომარეობის შესახებ

სტოკჰოლმი, 18 იანვ. შვეციის სოციალისტური გაზეთის „ნიუ ტიდეს" პარიზელ კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა იტალიის ყოფილ პრემიერ ნიტტისთან ევროპის მდგომარეობის შესახებ.

ნიტტის სიტყვით ლოკარნო არ ნიშნავს მშვიდობიანობას, არამედ— დროებით შესვენებას. ლოკარნოს შეთანხმება, ნიტტის აზრით მშვენივრად არის განხორციელებული, მაგრამ ნიტტის არა სწამს, რომ ის მშვიდობიანობას დაამყარებს.

ნიტტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სკანდინავიის ქვეყნებს არ მოელით არავითარი საშიშროება, რადგან, მისი აზრით, არ არსებობს არავითარი სამხედრო გალაშქრების შესაძლებლობა სკანდინავიის რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ეჭვს გარეშეა სთქვა მან, რომ არსებობს რუსეთის საკითხი, რომელიც იწვევს საშიშროებას, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ შვეცია არაფერ შუაშია. საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი უარს ამბობს საზავო ხელშეკრულებების ცნობაზე და პრეტენზიას აცხადებს რუსეთის ზოგიერთ ტერიტორიაზე, რომელიც ეხლა პოლონეთს ეკუთვნის, განსაკუთრებით კი ბესარაბიაზე, რომელიც ხელშეკრულების თანახმად ეკუთვნის რუმინეთს. სკანდინავიას კი არავითარი საფრთხე არ ელის.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

წითელი დროშის ორდენის სიგელები.

მოსკოვი, 19 იან. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი სამმართველო წინადადებას აძლევს წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ პირებს, რომლებსაც არ აქვთ ცაკის მიერ დაწესებული სიგელები, აცნობონ ამის შესახებ სამმართველოს და წარუგზავნონ მას დოკუმენტები ან შემოწმებული ასლები.

აღნიშნულ სიგელების გაცემა და გამოცვლა მოხდება ა/წ. 1 ივნისამდე, რის შემდეგ ყოველგვარი მოწმობები და სიგელები ძალა დაკარგულად ჩაითვლება.

მუშა-მოჭადრაკეთა ინტერნაციონალის თავმჯდომარის მიმართვა.

მოსკოვი, 19 იან. მუშა-მოჭადრაკეთა ინტერნაციონალის თავმჯდომარემ კურტ შპიგელმა საბჭოთა კავშირის მუშა-მოჭადრაკეთა ორგანიზაციებს მიმართა ამხანაგური წერილით, რომელშიაც გამოსთქვამს კმაყოფილებას, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა მასები კულტურის და პროგრესის გზას ადგანან. თეატრები, კლუბები, მუზეუმები და სამხატვრო გალერეები ავსილია მუშებით.

მუშა მოჭადრაკეთა ინტერნაციონალი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მუშების სახით მან მოჭადრაკეთა რიგებში დიდი კულტურული ძალა მიიზიდა.

უკრაინა

პოლონეთის საპარლამენტო დელეგაცია ხარკოვში.

ხარკოვი, 19 იან. ლენინგრადიდან ხარკოვში ჩამოვიდა პოლონეთის სეიმის დეპუტატების ერთი ჯგუფი.

სეიმის წევრები დარჩებიან ხარკოვში ერთი დღე, შემდეგ გაიყოფიან ორ ჯგუფად და გაემგზავრებიან დონის ოლქსა და ოდესაში.

ხარკოვი, 19 იან. 18 იანვარს სრულიად უკრაინის ცაკის მდივანმა ბუცენკომ მიიღო ლენინგრადიდან ხარკოვში ჩამოსული პოლონეთის სეიმის დეპუტატები.

დელეგატები დაინტერესდენ გლეხობის მდგომარეობით უკრაინაში, ეროვნული საკითხით და უკრაინის ბიუჯეტით.

ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცეკას გაფართოებული პლენუმი.

მოსკოვი, 19 იან. ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცეკას პლენუმმა საჭიროთ სცნო ხელფასის თანდათანობითი ზრდა ადგილობრივ ტრანსპორტის ზრდის და განმტკიცების საფუძველზე, ხელფასის გადიდების მიხედვით მრეწველობა-მეურნეობის სხვა დარგებში.

პლენუმმა ყველა ადგილობრივ პროფორგანიზაციებს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საჭიროა ფართოთ იქნას გამოყენებული ქალის შრომა ადგილობრივ ტრანსპორტის მეურნეობაში.

სისხლის სამართლის დამნაშავეთა გაქცევა.

გლუხოვი, 19 იან. ნოვგოროდ-სევერსკში იძულებითი სამუშაოთა სახლიდან გაიქცა სისხლის სამართლის დამნაშავე.

პატიმრებმა დაახრჩვეს უფროსი მეთვალყურე და დასჭრეს მცველი წითელარმიელი.

სროლის დროს ერთი პატიმარი სასიკვდილოდ დაიჭრა, ერთი დაკავებულ იქნა და დანარჩენები მიიმალენ.

საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სამრეწველო ეკონომიურ საბჭოს პლენუმი.

მოსკოვი, 19 იან. 18 იანვარს ტროცკის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სამრეწველო ეკონომიურ საბჭოს პლენუმი.

დღის წესრიგში იყო საკითხი მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციის შესახებ.

მოსმენილ იქნა 4 ძირითადი მოხსენება პროფ. ბუკშტაინის, ფალკნერის, სპექტატორის და კონდრატიევის. მომხსენებლები დაწვრილებით იხილავდენ მსოფლიო მეურნეობის ეხლანდელ მდგომარეობას და მისი შემდეგი განვითარების პერსპექტივებს.

კამათის შემდეგ ტროცკიმ ვრცელ სიტყვაში ანალიზი გაუკეთა მოხსენებებს და გამოიყვანა თავისი დასკვნა ევროპაში არსებულ მდგომარეობის და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შემდეგი პერსპექტივების შესახებ.

ებრაელების მიწათმოწყობა.

მოსკოვი, 19 იან. შესდგა საორგანიზაციო კრება ებრაელების მიწათმოწყობის საზოგადოების მოსკოვის განყოფილებისა.

გამოირკვა, რომ გასულ წელს საბ. კავშირში მოუწყვიათ 6.000 ებრაელის ოჯახი, უმთავრესათ უკრაინასა ბელორუსიასა და ყირიმში. ამდენივე მოწყობილ იქნება მიმდინარე წელშიც. ებრაელების მიწათმოწყობის ხარჯები უმთავრესად მიღებულია საზღვარგარეთელ ორგანიზაციებიდან.

საზოგადოებას მთელ საბ. კავშირში მოეპოვება 55 განყოფილება 20.000 წევრით.

ებრაელების მიწათმოწყობის აზრმა დიდი ნიადაგი მოიპოვა ებრაელთა ფართო მასებში.

ლარინის საბოლოვო სიტყვამ ოვაციები გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

სარწმუნოებრივი ბრძოლა ყინულზე.

ლუბნი, 19 იან. სოფ. სოროჩინასა და ზუბოვკის მცხოვრებნი მოწმენი გახდენ საინტერესო სურათისა.

ახალი და ძველი ეკლესიის მომხრეებმა ნამდვილი ბრძოლა გაამართეს გაყინულ მდინარე ზუბოვკაზე. მაყურებლებათ მოიწვიეს ყველა სოფლელები.

მღვდლები გაცხარებული მუშტიკრივით სცდილობდენ დაემტკიცებინათ თავიანთი სარწმუნოების სიმართლე, რაც გლეხებში იწვევდა სიცილ-ხარხარს და სტვენას.

უზბეკისტანი

სასოფ.-სამეურ. გადასახადის აკრეფა.

სამარკანდი, 19 იან. სასოფ.-სამეურ. გადასახადის კამპანია უზბეკისტანში საუცხოვოთ მიმდინარეობს. ბევრმა რაიონმა უკვე 100 პროცენტით შეასრულა თავისი დავალება.

ბუხარაში კარაკოლისა და იანგიკურგანის თემებმა თითო ტრაქტორი მიიღო საჩუქრად საგადასახადო დავალების სავსებით შესრულებისთვის.

პლატინის ნაჭერი.

ლენინგრადი, 19 იან. სამეცნიერო აკადემიასთან არსებულ პლატინის ინსტიტუტში მიღებულია პლატინის ნაჭერი, რომელშიაც შედის მცირე რაოდენობის სხვადასხვა ლითონი და რომელსაც ფოლადის თვისებები აქვს.

აზერბეიჯანი

საჩვენებელი გამოფენა გლეხებისათვის

ბა[illegible] იანვ. ბაქოს ბაზრობის კომიტეტი აპირებს ნიჟეგოროდის ბაზრობის მგზავსი საჩვენებელი გამოფენის მოწყობას, რომელზედაც გლეხობას შეძლება მიეცემა გაეცნოს მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ საშუალებებს, ძვირფას კულტურულ მცენარეთა მოშენებას, სამაგალითო გლეხური მეურნეობის ორგანიზაციას, ამიერ-კავკასიაში არსებულ პირობებთან მიხედვით და სხვ.

ამ გვარი გამოფენა თბილისშიც უნდა მოეწყოს მარტში.

ბაქოს ბაზრობის კომიტეტი შუამდგომლობს, რომ ეს გამოფენა ბაქოში იქნას გადატანილი და მეხუთე ბაზრობის გახსნას შეეფარდეს.

ბაზრობას მოაწყდება ადგილობრივი გლეხობა და აღმოსავლეთის ვაჭრები.

აზერბეიჯანის აბრეშუმის სამმართველო

ბაქო, 19 იანვარი. აზერბეიჯანის აბრეშუმის სამმართველოს საწარმოო პროგრამა წარსულ წელს შესრულებულ იქნა 42 პროც. ზედმეტათ 1924 წელთან შედარებით. აბრეშუმის დამუშავება აღწევს 2.623 ფუთს. გასაღებულია 1.259.704 მან. აბრეშუმი. პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო მისმა თვითღირებულებამ დაიკლო.

1925—26 წლისათვის საწარმოო პროგრამა, ბაზრის მოთხოვნილების გადიდების გამო, გაფართოებულია.

კურსები ქურთისტანში

ბაქო, 19 იანვ. აზერბეიჯანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა საფინანსო საბიუჯეტო სექციის პროექტი ქურთისტანში საბჭოთა აპარატის დაბალ საფეხურის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების გახსნის შესახებ. კურსებზე ისწავლის 50 კაცი. კურსანტები შერჩეულ იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ გლეხებს შორის.

სახელმწიფო ბანკის საემისიო ბალანსი

მოსკოვი, 19 იანვ. სახელმწიფო ბანკის საემისიო ბალანსიდან, რომელიც შედგენილია 1926 წ. 16 იანვრისათვის, სჩანს, რომ იანვრის პირველ ორკვირაში გამგეობის სალაროში გადაცემულ ბანკნოტების თანხა შემცირდა 21.400.000 მანეთით, რაც აიხსნება იმით, რომ წლის მეორე მეოთხედში განზრახულია ფულის ტრიალის შემცირება.

ემისიის უზრუნველყოფის მხრივ [illegible], რომ იმ დროს, როცა ბანკნოტების თანხა შემცირდა 21.400.000 მანეთით, უზრუნველყოფის საერთო თანხა შემცირდა მხოლოდ 10 მილ. მანეთით, ხოლო თავისუფალ საემისიო უფლების ნაშთი საანგარიშო პერიოდში გაიზარდა თითქმის ორ ნახევარჯერ (8.600.000 მან. 1 იანვრისათვის—20 მილ. მან. —16 იანვრისათვის), ოქროს ფული და ზოდები კი შემცირდა მხოლოდ 2.400.000 მანეთით.

ამხ. სუელსი მოსკოვში

მოსკოვი, 19 იანვ. მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი სუელსი.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

ვაჭრობის სახ. კომისარიატის საკონიუნქტურო თათბირი

მოსკოვი, 19 იანვ. შესდგა ვაჭრობის სახ. კომისარიატის საკონიუნქტურო თათბირი საგარეო ვაჭრობის შესახებ. მომხსენებელმა კაუფმანმა საგარეო ვაჭრობის შესახებ აღნიშნა, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ალებმიცემობა დეკემბერში შეადგენდა 98,9 მილ. მანეთს—20 მილ. მანეთით ნაკლებს ნოემბერში არსებულ ალებმიცემიდან შედარებით; 1925 წლ. დეკემბრის ალებმიცემობა 18 მილიონი მანეთით აღემატება 1924 წლის დეკემბერის ალებმიცემობას.

1925—26 წლის პირველ მეოთხედში საერთო ალებმიცემობა შეადგენდა 367 მილ. მანეთს, რაც მნიშვნელოვანად აღემატება საგარეო ვაჭრობის ალებმიცემობას ორი წინა წლის განმავლობაში.

ექსპორტი დეკემბერში აღწევს ოქტომბრის ექსპორტის 55 პროცენტს. აბსოლიუტურად ექსპორტი, რომელიც 1924—25 წლ. პირველი მეოთხედში 119 მილ. მანეთს აღწევდა, ხოლო 1923—24 წელში 148 მილ. მანეთს, მიმდინარე საოპერაციო წლის ოქტომბერსა და დეკემბერში 173 მილ. მანეთამდე აღწევს.

საგარეო ვაჭრობის ბალანსის პასიურობა, რომელიც ამა წლის პირველ მეოთხედში 21 მილ. მანეთს შეადგენდა, აიხსნება ჩვენი იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდით, რომელიც ბევრად აღემატება ექსპორტის განვითარებას.

ექსპორტის განვითარების უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზებია— მსოფლიო ბაზრის დეპრესია, პურის ექსპორტის შემცირება (საშინაო ბაზარზე არსებულ დაბრკოლებათა გამო) და აგრეთვე ნავთის პროდუქტების ექსპორტის შემცირება, თუმცა რაოდენობის მიხედვით უკანასკნელის ექსპორტი გაიზარდა იაფ-ფასიან დაუმუშავებელი ნავთის ხარჯზე. დეკემბერში ტყის, ერბოს, კვერცხის და სხვ. ექსპორტის შემცირება არის მხოლოდ სეზონური მოვლენა.

მომხსენებლის აზრით დეკემბერი არის გარდატეხის თვე ჩვენ საგარეო ვაჭრობაში. ამავე დროს ის აღნიშნავს, რომ ექსპორტი მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში წარსულ წელთან შედარებით (პურის ექსპორტის გარდა) გაიზარდა 11 პროცენტით.

აგრონომების საკავშირო ყრილობა

ლენინგრადი, 19 იან. სრულიად საკავშირო აგრონომთა ყრილობაზე 18 იანვარს მოხსენებით გამოვიდა რ. მიწ.-მოქ. სახ. კომისარის მოადგილე ამხ. თეოდოროვიჩი. მოხსენების თემას შეადგენდა, „თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა აგრონომი".

მან დაახასიათა სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილი და ძველი პირობები და საბჭოთა აგრონომებს მიუთითა იმ დიად როლზე, რომელიც მათ უნდა შეასრულონ ამ მეურნეობის ასაყვავებლათ.

მან აგრეთვე აღნიშნა, თუ რამდენათ აუცილებელია აგრონომებისათვის საფუძვლიანი ეკონომიური ცოდნა და ფართო მსოფლმხედველობა, რომ გლეხობის აგრონომიულ სწავლა-დარიგებასთან ერთად გამოიკვლიონ ხოლმე, თუ რომელ რაიონს რა აგრონომიული ტკივილები აწუხებს.

უმაღ. სასოფ.-სამეურ. სკოლის პერსპექტივებზე მოხსენება წაიკითხა განათ. სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ხოდოროვსკიმ.

სხდომა დაიხურა სასოფ.-სამეურ. ინსტიტუტის რექტორის პროფ. გლინკის მოხსენებით. მან აღნიშნა ინსტიტუტის უპირველესი მოვალეობა, რომ აღზარდოს პრაქტიკული მუშაკები სოფლის მეურნეობისათვის.

მიწა-ტყის მუშაკთა მეხუთე ყრილობა

მოსკოვი, 19 იან. გაიხსნა მიწა-ტყის მუშაკთა მეხუთე ყრილობა, დაესწრო 550 დელეგატი, რომელთაგან 60 მოჯამაგირე-ქალია. წარმოდგენილია 27 ეროვნება. ზოგიერთ დელეგატს გამოვლილი აქვს 8.000 ვერსი. ყრილობა გახსნა მიწ, ტყის კავშირის ცეკას თავმჯდომარემ ამხ. ანტელოვიჩმა, რომლის ცნობითაც კავშირში ამჟამად ირიცხება 77.0000 წევრი.

ყრილობას მიესალმენ საკავშირო ცაკიდან ამხ. კისელიოვი და პროფკავშირთა საბჭოდან—ამხ. მელნიჩანსკი.

საკავშირო კომპარტიის ცეკას სახელით მიესალმა ამხ. კალინინი, რომელსაც დიდის ოვაციებითა და ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ.

ამხ. კალინინმა განმარტა ის დიდმნიშვნელოვანი საორგანიზაციო და პოლიტიკური როლი, რომელიც აწევს მიწა-ტყის კავშირს ნახევრათ გლეხურ და ნახევრათ პროლეტარულ მასსების შეკავშირებასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

შემდეგ პროფინტერნის სახელით მიესალმა ამხ. ლოზოვსკი, რ. კომკავშირის ცეკას სახელით კი—ამხ. ჩაპლინი.

ყრილობას დაესწრო ჩეხო-სლოვაკიის სოფლის მუშათა წარმომადგენელი გლოიაშეკი. მან განაცხადა, რომ 23—24 იანვარს შესდგება ჩეხო-სლოვაკიის სოფლის მუშათა ყრილობა. ის, როგორც ამ ყრილობის დელეგატი, გამოგზავნილია საბ. კავშირში, რომ აქ გაეცნოს პროფკავშირების გამოცდილებას მუშაობაში და შემდეგ ყველაფერი აქ ნახული რევოლიუციონურ აღმშენებლობასთან ერთად გაუზიაროს ჩეხო-სლოვაკიის მუშებს.

გლეხინტერნის სახელით მიესალმა ამხ. დომბალი, იყო კიდევ მრავალი მილოცვა ადგილობრივ პროფკავშირებიდან.

ყრილობამ ყველა სახელმწიფო და პარტიულ უმაღლეს ორგანოებს გაუგზავნა სამადლობელი დეპეშა. ამგვარივე დეპეშა გაუგზავნა ჩეხო-სლოვაკიის სოფლის მუშათა კავშირს და ინგლის-საბჭოთა კომიტეტს.

ბოროტმოქმედებანი კიევის საგუბერნიო მილიციაში

ხარკოვი, 19 იანვ. კიევის საგუბერნიო მილიციის ბოროტმოქმედების შესახებ გამოტანილი განაჩენი აშკარად ჰყოფს, თუ რა მექრთამეობა ყოფილა გამეფებული კიევის მილიციაში თავიდან-ბოლომდის.

საგუბ. მილიციის უფროსი კოვალენკო თურმე ქრთამებს იღებდა რაიონულ მილიციის უფროსებიდან სურსათ სანოვაგისა და ღვინის სახით, ითვისებდა სახაზინო ფულებს, კერძო ვაჭრებიდან ყიდულობდა ფორმის ტანსაცმელს და იძლეოდა ერთი სამათ მეტს. მაგალითად პარტიის სასტვენებში, რომელიც ათას მანეთზე ნაკლები ღირდა, მან მისცა 4.500 მანეთი.

კოვალენკო შეთანხმებულად მუშაობდა მილიციის მომარაგების განყოფილების უფროსთან ლიალიცკის და კერძო სამკერვალოს პატრონ შკოდინთან. სულ მოკლე დროში ამ სამმა გაიყო 18.000 მან. მოგება. როცა ბოროტმოქმედება გამომჟღავნდა და მილიცია კოვალენკოს დასაჭერათ მივიდა, მან თავი მოიკლა.

ბოროტმოქმედების მეორე ხელმძღვანელი იყო კოვალენკოს მოადგილე—ფრადკო.

მექრთამეობა მოედო რამდენიმე რაიონს. „გადასახადის" გაღების შემდეგ გლეხები თავისუფლად ხდიდენ არაყს და სასტუმროებიც დაუბრკოლებლივ ვაჭრობდენ სპირტით.

ერთ-ერთ რაიონში რაიმილიციის უფროსის ცოლი რაიმანი თავის ფეხით დადიოდა ვაჭრებში და იღებდა „გადასახადს" თავის სასარგებლოთ.

ქრთამებს ღებულობდენ აგრეთვე მილიციის კანტორაში, სადაც აწარმოებდენ ყალბი საბუთების შედგენას და ფლანგავდენ სახაზინო ფულებს.

სულ პასუხისგებაში მიცემულია 113 კაცი. აქედან 64 მილიციის თანამშრომელი და 49 კერძო ვაჭარი-სასტუმროების და სასადილოების პატრონები.

ქარიშხალი შავ ზღვაზე

ოდესა, 19 იანვარი. ოდესის ნაპირებზე უკანასკნელ 2 დღეში განახლდა უძლიერესი ქარიშხალი რომელიც აღწევს 5—6 ბალს. წვრილი გემები ზღვაში აღარ გადიან.

ქარიშხალის შესახებ იუწყებიან სხვა ნავთსადგურებიდანაც.

ბნელეთიდან სინათლეზე

ჩვენ მოვდივართ.

ჩვენ ვტოვებთ იმ მყრალ წუმპეს, რომელშიდაც ხუთი წლის განმავლობაში ვცურაობდით. ჩვენ ვშორდებით ძველ ქვეყანას და მოვდივართ ახალ ქვეყანაში, ჩვენ ვტოვებთ ძველ ქვეყანას, სადაც ახალი მხოლოდ იბადება და მოვეშურებით ახლისაკენ, სადაც ძველი კვდება.

რა ვუყოთ, რომ აქ დიდი სიმდიდრეა დაგროვილი; რომ აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე კულტურა გამოიცქირება; რომ აქ ბევრი, დიდი, და გამოჩენილი თეატრებია; რომ აქ ცნობილი უნივერსიტეტების და მეცნიერების ბუდეა; რომ აქ მიწაზე, მიწის ქვეშ და მიწის ზემოთ, ჰაერშიც მატარებლებია, რომ აქ ფართო, დიდი, სუფთა და გაჩირაღდნებული ქუჩებია; რომ ბევრი სხვადასხვა გასართობებია; რომ აქ „ყველაფერია"!

რა ვუყოთ მერე!

აქ „ყველაფერია" ერთი მუჭა ხალხისათვის; აქ არაფერია უმრავლესობისათვის. კულტურა და მისი მიღწევები მხოლოდ პარაზიტებისათვის, კაპიტალისტების და მათი ლაქიებისთვის არის. მშრომელი ხალხისათვის კი დარჩენილია მხოლოდ ერთი რამ: ფაბრიკა-ქარხნებში წელში გამწყვეტი შრომა და ქუჩა. მშრომელი ხალხი ქუჩის შვილებია, თუმც ქუჩიშვილებს აქ იშვიათად ხვდებით. ვტოვებთ კაპიტალის ქვეყანას და მოვდივართ შრომის სამეფოში.

რა ვუყოთ რომ მანდ ყოველისფერი არ ბრჭყვიალებს და მით თვალწარმტაცი არ არის; რომ კულტურის მიღწევები დიდი არ არის; [illegible] მეცნიერებია; რომ თეატრ-მუზეუმები მეორე ხარისხოვანია; რომ ბევრგან კონკაც კი სანატრელია; რომ ქუჩები უსუფთაო და უსწორ-მასწოროა.

რა ვუყოთ მერე!

მანდ არის შრომის ქვეყანა.

მანდ რაც არის, ყველაფერი მშრომელისთვისაა; მანდ პარაზიტებს დღე ელევათ და მშრომელის დილა თენდება. და ჩვენც მანდეთ მოვიჩქარით.

ჩვენ აღარ გვინდა, რომ მანდ უჩვენოთ გათენდეს ჩვენ გვსურს ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმ დიდ საქმეში, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა აკეთებს.

ხუთი წელი ჩვენ წუმპეში ვეყარეთ, აწ კი გვსურს სუფთა ჰაერზე ამოვიდეთ, განვიბანოთ და სუფთა გულით, სუფთა სულით და გაკაჟებული ენერგიით ვემსახუროთ იმ საქმეს, რომელსაც ამდენი ხანია ვღალატობდით და ვაფერხებდით.

ჩვენ აქ ვსტირით ჩვენი ახლო წარსულის მოგონებით; ჩვენ შევხარით ჩვენს მანდ მომავალ შრომას.

და ჩვენ გვრწამს, რომ ჩვენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი ჩვენო მხარე" სიხარულით მიიღებს დაკარგულ შვილებს.

გაუმარჯოს ჩვენ დაბრუნებას და თქვენს დახვედრას!

გაუმარჯოს ჩვენ გამოფხიზლებას!

ამხანაგების [illegible]

ივ. კაჩუხაშვილი.

პარიზი,
4 იანვარი.

აღმოსავლეთი

საფრანგეთის კოლონიები და აჯანყება სირიაში

1925 წ. დეკემბრის შუა რიცხვებში სირიელ ნაციონალისტების გამოსვლამ ერთა ლიგის საბჭოს წინაშე, ჟენევაში, სირიაზე საფრანგეთის მანდატის გაუქმების მოთხოვნით დიდი მღელვარება გამოიწვია საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში.

მაგრამ უფრო მეტ მღელვარებას იწვევს ფრანგ იმპერიალისტებში ის ცნობები, რომლებიც მოდიან საფრანგეთის სხვა კოლონიებიდან. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ აჯანყებამ სირიაში, რომელსაც დასაწყისში წმინდა ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, ყველგან ჰპოვა გამოძახილი.

როგორც ვიცით, აჯანყება სირიაში პირველ ხანაში დაიწყო მხოლოდ ჯებელ-დრუზში. ჯებელ დრუზი—ძლიერ პატარა, მთაგორიანი მხარეა, მისი სივრცე არ აღემატება 6000 კვ. კილომეტრს, მოსახლეობა კი 50.000-დი ძლივს აღწევს, და აი, 1925 წელს, ივლისში ეს პაწაწკინტელა ქვეყანა აჯანყდა მძლავრი საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც ფლობს სირიასა და მასში შემავალ ჯებელ დრუზს. თავისუფლების მოყვარული მთიელები, ჯებელ დრუზის მცხოვრებლები, არა ერთხელ აჯანყებულან ოსმალეთის წინააღმდეგ როცა იგი ფლობდა სირიას, და უკანასკნელ დროს—ფრანგების წინააღმდეგ. მაგრამ მთიელთა აჯანყებას არ მიუღია ისეთი ფართე ხასიათი, როგორიც უკანასკნელმა აჯანყებამ მიიღო.

ეს აიხსნება იმით, რომ დრუზებს მხარს უჭერენ არა მარტო მომთაბარე ტომები და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, არამედ სირიის მთელი გლეხობა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ბრძოლაში ფრანგების წინააღმდეგ. გლეხთა შეიარაღებული რაზმები არსებობენ ახლო სირიის ყველა კუთხეებში და სირია აჯანყების ალშია გახვეული.

აჯანყებულებს დაკავებული აქვთ თითქმის სირიის მთელი სამხრეთ-ნაწილი. ჩრდილოეთ სირიაში, რომელიც შორი მანძილით არის დაშორებული აჯანყების ცენტრებიდან, მღელვარება იწყება, რაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს ფრანგთა ჯარებს და აძლიერებს აჯანყებულთა მდგომარეობას სირიის სამხრეთ ნაწილში.

აჯანყების მეთაურები მოითხოვენ, რომ საფრანგეთმა დაბოლოს შეასრულოს ის დაპირებები, რომელიც მიეცა სირიის მოსახლეობას. სირიელები პირველ ყოვლისა მოითხოვენ საფრანგეთის ჯარების გაყვანას, რადგან ოკუპაციის პირობებში ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე „თვითმართველობაზე", მოითხოვონ აგრეთვე სირიაზე საფრანგეთის მანდატის სრულიად გაუქმებას. [illegible] სირიელები მოითხოვენ, რომ მოისპოს სირიის ხელოვნურად დაყოფა ოთხ „შტატად" და შეიქმნას ერთი მთლიანი [illegible] სახელმწიფო.

უკვე აჯანყების დასაწყისში, ხმები დადიოდა, რომ სირიელ აჯანყებულებს კავშირი აქვთ ანტი-ფრანგულ მოძრაობასთან მაროკოში, რომელსაც აბდ-ელ-ქერიმი მეთაურობს. შემდეგში ეს ხმები დადასტურდა.

მაგრამ სირიელი რევოლიუციონერები აჯანყებას საფრანგეთის წინააღმდეგ აწარმოებენ ყველა კოლონიებში. საქმე იმაშია, რომ ყველა კოლონიალურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საფრანგეთის კოლონიებში, ანტი-იმპერიალისტური მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს. კოლონიების მცხოვრებთა სულიერ განწობილებაზე ერთგვარ გავლენას ახდენს აგრეთვე მთავრობების ხშირი შეცვლა საფრანგეთში და დაბრკოლებები, რომლებიც ელობებიან მთავრობის მიერ დამატებითი კრედიტების მიღებას კოლონიებში ომის საწარმოებლათ.

ყველაფერი ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის სირიის პროპაგანდისტების აგიტაციისათვის [illegible]. სირიელი აჯანყებულები არ კმაყოფილდებიან პროპაგანდით მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში. ისინი ცდილობენ კავშირის დაჭერას საფრანგეთის ისეთ შორეულ კოლონიებთან, როგორიცაა ანამი (ინდო-ჩინეთში), იქ ანტიფრანგული მოძრაობის გაძლიერების მიზნით.

სირიის ნაციონალისტური ორგანიზაციები, ინგლისის ხელისუფლების ჩუმი თანხმობით ენერგიულ ანტიფრანგულ პროპაგანდას აწარმოებენ აგრეთვე ინგლისის კოლონიებში.

ქაირში(ეგვიპტე) ენერგიულათ მუშაობს სირია-პალესტინის კონგრესი, რომელსაც, ჩანს კავშირი აქვს აჯანყების ხელმძღვანელებთან სირიაში, გარდა ამისა, სირიელებმა შეიხ ბენდირის მეთაურობით მექქაში გაგზავნეს განსაკუთრებული დელეგაცია, რომელსაც დავალებული აქვს შეუთანხმდეს მექქის უმაღლეს სამღვდელოებას, რათა უკანასკნელმა მოუწოდოს ყველა მუსლიმანებს აჯანყდენ საფრანგეთის წინააღმდეგ.

ყველა ეს ცნობები ადასტურებენ იმას, რომ საფრანგეთის კოლონიალური იმპერია შეირყა. თვით საფრანგეთის სამხედრო წრეებში ეჭვობენ, რომ საფრანგეთი ადვილად მოახერხებს კოლონიებში თავისი შერყეული პრესტიჟის აღდგენას.

რა ხდება უცხოეთში

გერმანია ორიენტაციის ძებნაში

ლიუტერ-შტრეზემანის მთავრობა ცდილობს „პატიოსნათ" შეასრულოს ლოკარნოს ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხაზს, მის ორიენტაციის დასავლეთზე. მაგრამ სამრეწველო და სავაჭრო წრეების ინტერესები დაჟინებით უკარნახებენ მას გაატაროს სხვა ხაზი, რომელიც ეწინააღმდეგება ოფიციალურს. ამიტომ, მიუხედავათ ლოკარნოს ხელშეკრულების დადებისა, გერმანიაში ორიენტაციის ძებნა არ შეწყვეტილა და ამჟამად განახლდა უფრო მეტის სიძლიერით, ვიდრე ლოკარნოსი მოლაპარაკების დროს ჰქონდა ადგილი.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ, ერთა ლიგის გადაწყვეტილებამ მოსულის საკითხის შესახებ, ჩიჩერინის მოგზაურობამ გააძლიერა ინტერესი ამ საკითხისადმი. აზიაში საბჭოთა კავშირის გავლენის გაძლიერება ლოკარნოს მომხრეებსაც კი აიძულებს დასვან კითხვა: ხელსაყრელია თუ არა გერმანიისათვის საბჭოთა კავშირის „ცალმხრივი" (მათი გამოთქმით) ორიენტაცია აღმოსავლეთზე.

ლოკარნოს მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის ასეთი ორიენტაცია საზიანო იქნებოდა არა მარტო გერმანიისათვის, არამედ საერთოდ დასავლეთისათვის, ვინაიდან,—აცხადებენ ისინი,—დასავლეთის სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა საბჭოთა ბაზრის და საბჭოთა ნედლი მასალის გარეშე.

ამავე დროს იმუშავებენ სხვა გეგმებსაც. გერმანიამ უნდა გამონახოს ლოკარნოს ხელშეკრულების უარყოფითი შედეგების შესასუსტებელი საშუალება. ეს კი, გერმანიის პოლიტიკური წრეების აზრით, შეიძლება საბჭოთა კავშირთან ოსმალეთ-საბჭოთა ხ[illegible] შეთანხმების დადებით.

მძიმე მრეწველობის ორგანომ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" მრავალჯერ დასვა ეს საკითხი. ჰამბურგის აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორმა მენდელსონ-ბარტოლდიმ „აკადემიურათ" დასვა ეს საკითხი. ის აღნიშნავს, რომ ერთა ლიგას არაფერი ექნება ისეთი ხელშეკრულების საწინააღმდეგო.

„ფოსსიშე ცაიტუნგ"-მა ცნობაც კი მოათავსა (თითქო ამერიკული წყაროებიდან), რომ საბჭოთა კავშირს სურს დასდვას გერმანიასთან ისეთივე ხელშეკრულება, როგორიც ოსმალეთთან დასდვა.

შტრეზემანის ორგანომ „ტეგლიხე რუნდშაუ"-მ კი, უშენიშვნოთ მოათავსა ფრანგულ გაზეთ „ეკო დე პარი"-ს შემდეგი ცნობა: „შტრეზემანმა წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახ. კომისარ ჩიჩერინს დადებულ იქნას ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ. თუმცა ეს ხელშეკრულება, რათა ინგლისელებს არ ეწყინოთ, ძლიერ მორიდებულ ფორმებში იქნება შედგენილი, მაგრამ იგი უზრუნველყოფს გერმანია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას. ინგლისის ერთ-ერთ ამოცანას ლოკარნოში შეადგენდა გერმანიის მოწყვეტა აღმოსავლეთისაგან, ე. ი. საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთისგან. შეეძლია თუ არა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამარჯვებით დაიტრაბახოს? ვფიქრობთ, სჯობს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გადავდვათ რამდენიმე კვირით ან თვით".

„ტეგლიხე რუნდშაუს" უშენიშვნოთ მოყავს აგრეთვე „ეკო დე პარის" დასკვნაც: „გერმანიის საგარეო პოლიტიკის ორივე მეთოდს- ე. ი. ლოკარნოს პოლიტიკასაც და საბჭოთა კავშირთან ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულების დადებასაც,—შეუძლია იარსებოს ერთად".

პარტიული ცხოვრება

პარტიის ხაზი პროფკავშირებში

„ყრილობა აუცილებლათ სცნობს მიუთითოს ყველა პარტორგანიზაციებს, რომ მეტი ყურადღებით და სიფხიზლით მოეპყრან პროფკავშირებს“. ამბობს ერთ-ერთ მუხლში პარტიის მე-14 ყრილობის რეზოლიუცია.

ჩვენი პარტია პროფკავშირებს ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. პროფკავშირების საშვალებით ავრცელებდა პარტია თავის გავლენას მრავალმილიონიან უპარტიო მუშათა მასებში. პროფკავშირების საშვალებით აკავშირებდა ერთ მილიონ ორგანიზაციაში, უნერგავდა რევოლიუციონურ სულს. პროფკავშირები იყო ის შკოლა, სადაც მშრომელთა ფართო მასები სწავლობდენ კომუნიზმის ანბანს.

როგორც ვთქვით პროფკავშირები ყოველთვის ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში იდგა. მაგრამ დღეს ეს ყურადღება პროფესიონალური კავშირებისადმი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. როგორც ვიცით ჩვენი მსხვილი მრეწველობა აღდგენილია და ის უკვე უახლოვდება ომის წინა დროს. ყოველ დარგში გაფაციცებით აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს. ყველგან გაჩაღებულია მუშაობა. ფაბრიკა ქარხნებში მუშათა რიცხვი თანდათან იზრდება. ბრუნდებიან სოფლიდან ძველი გამოცდილი მუშები, რომლებიც იძულებული იყვენ დაეტოვებიათ ფაბრიკა-ქარხნები სამოქალაქო ომის დროს და დროებით თავი შეეფარებიათ სოფლისთვის. გარდა ამისა ქალაქს აწყდებიან ახალ-ახალი კადრები მუშებისა სოფლიდან, რომელნიც არ არიან ფაბრიკა-ქარხნებში ნამუშევარი, არ გაუვლიათ მუშური შკოლა. ასეთ პირობებში—მრეწველობის განმტკიცების, მუშათა რიცხვის სწრაფათ ზრდის, მუშათა ფართო მასების აქტივობის ზრდის და ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა ახალი, სრულიად დაუმუშავებელი, მასების გამოჩენის პირობებში პროფკავშირების მნიშვნელობა ერთი ასათ იზრდება. ამიტომ მიაქცევს ყრილობა თავის რეზოლიუციაში პარტორგანიზაციების ყურადღებას პროფკავშირების მუშაობისკენ.

პირველად ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ პროფკავშირების გარშემო შემოვკრიბოთ მთელი მუშათა კლასი. ერთი უმთავრესი პირობა პროფკავშირების მუშაობის გაჯანსაღებისა არის მჭიდრო კავშირის დამყარება წევრთა ფართო მასებთან, რაც ამდენ ხანს ერთობ მოისუსტებდა ზოგიერთ ადგილას. მუშების ეკონომიური ინტერესების დაცვა; ამ მხრითაც ვერ იდგენ ჩვენი პროფკავშირები თავის სიმაღლეზე. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერება წევრთა პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლათ. მუშათა დემოკრატიის სრული გატარება, ამ მხრით არავითარ შეზღუდვას არ უნდა ექნეს ადგილი.

„პროფკავშირებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეული უპარტიო მუშა და მოხამსახურე, თავის [illegible]შირში ხედავდეს ახლობელ [illegible] თუსავე ორგანიზაციას, [illegible] მიერ არჩეულს, მის კონტროლის ქვეშ მყოფ და მის წინაშე ანგარიშ დებულს“—ამბობს ყრილობის რეზოლიუცია.

როდის მივაღწევთ ჩვენ ამას? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტორგანიზაციები სწორ ხელმძღვანელობას გაუწევენ პროფკავშირების მუშაობას, და ეს ხელმძღვანელობა ერთი წუთითაც არ შესუსტდება, და ის მთლიანათ დამყარებული იქნება პარტიის უმაღლესი ორგანოების მითითებებზე.

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები პირდაპირ ერეოდენ პროფკავშირების მუშაობაში, მის ყოველდღიურ საქმიანობაში რასაც მომავალში ადგილი არ უნდა ექნეს; პარტორგანიზაციებმა სათანადო ფრაქციების საშვალებით უნდა უხელმძღვანელონ პროფკავშირებს. ფრაქციების საშუალებით უნდა გატარდეს იქ პარტიის ხაზი, რომელიც მიმართული უნდა იყოს პროფმოძრაობაში ფართო მასების ჩაბმისკენ, ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერების და მუშური დემოკრატიის დაცვისკენ.

კ.

ფაბრ-ქარხკომებისა და ადგილკომების არჩევნების შედეგები

ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების მუშაობას ჩვენი მეურნეობის განვითარების და პროფკავშირთა წევრების რიცხობრივ და ხარისხობრივ ზრდის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

პროფესიონალური ორგანიზაციები ადგილებზე უნდა იყონ მუშაობის უნარიანი და ავტორიტეტით აღჭურვილნი.

ასეთი პროფკავშირები შეიძლება მოეწყოს მუშაკების ხედმიწევნით შერჩევით ფართო დემოკრატიის საფუძველზე, ე. ი. მუშათა ფართო მასების მიერ თავისუფალი არჩევნების ნიადაგზე.

ამიტომ ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების არჩევნებს განსაკუთრებული ყურადღება, უნდა მიექცეს როგორც პარტიის, ისე პროფკავშირების მხრივ.

ხელახალი არჩევნების კამპანია დაიწყო ოქტომბერში და გაგრძელდა დეკემბრამდე.

არჩევნების შედეგები ამტკიცებს, რომ მიუხედავათ იმასა, რომ არჩევნები ჩატარდა ფართო საკავშირო დემოკრატიის და მასებთან დაბალი საფეხურის საკავშირო ორგანიზაციების დაახლოვების ნიშნის ქვეშ, მაინც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ნაკლულოვანებას, რომელიც საჭიროა მიღებული იქნას მხედველობაში, რათა იგი არ განმეორდეს ადგილკომების მომავალ არჩევნების დროს.

უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს სწორი ხაზის უქონლობა პარტიული ხელმძღვანელობის საკითხში. უმეტეს შემთხვევაში ხელახალ არჩევნების დროს უჯრედები კანდიდატებს არ იხილავდენ, საერთო კრებებზე პარტიის სახელით სიებს არ ადგენდენ. ამგვარად, ადგილკომების და სხვა პროფესიონალურ ორგანიზაციების კანდიდატებს ასახელებდენ ცალ-ცალკე წინასწარ განუხილველად და ბევრი გადიოდა სრულიად შემთხვევით.

არჩევნების ასეთი უწესრიგობა ერთგვარად ხელს უწყობს იმას, რომ ადგილკომების ერთი ნაწილი მოკლებული იქნება შრომის უნარს.

პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდმა კამათი გამოიწვია ცენტრალურ გამგეობათა ფრაქციის თათბირზე. ზოგიერთი პროფმუშაკები თანახმა იყვენ იმაში, რომ პარტხელმძღვანელობა საჭირო და მიზანშეწონილია, მაგრამ ამბობდენ, რომ ხელმძღვანელობა დაჩრდილული უნდა იქნესო. უჯრედებმა სიები უნდა წამოაყენონ არა პარტიის სახელით, არამედ უპარტიო აქტივის სახელით.

სხვა ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ პარტიის სახის დაჩრდილვა პროფორგანოების არჩევნების დროს არაა მიზანშეწონილი. პარტხელმძღვანელების გაძლიერება ხელს შეუწყობს ფართო მუშათა დემოკრატიის გატარებასო.

უჯრედების მიერ კანდიდატების წინასწარი განხილვა და მათი შეთანხმება უპარტიო მუშათა აქტივთან, მუშათა საერთო კრებებზე სიების განხილვა და ამა თუ იმ კანდიდატურის შეცვლა და ახლის წამოყენება, სავალდებულო პერსონალური ხმის მიცემა,—საშუალებას მოგვცემს მომავალში გამოვასწოროთ წარსულ არჩევნების დროს შემჩნეული ნაკლულოვანებანი და ეს კი ხელს შეუწყობს დაბა საფეხურის პროფორგანოების მუშაობის უნარის და ავტორიტეტის განმტკიცებას.

გ. ლ.

მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის 1-ლი პარტკონფერენცია

იანვრის 22 თბილისში გაიხსნება მე-2 ქართ. დივიზიის პირველი პარტკონფერენცია.

პარტკონფერენცია ჯამს გაუკეთებს განვლილ მუშაობას, შეაფასებს მას, აღნუსხავს მიღწევებს და შეცდომებს და დასახავს მომავალ მუშაობის გზებს.

წითელი ჯარის ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ. ეს პირველი კონფერენციაა. უეჭველია განვლილ პერიოდში ტერაღმშენებლობას ბევრი ნაკლი ჰქონდა, ვინაიდან იგი პირველი ცდა იყო საქართველოს სინამდვილეში. პარტკონფერენცია ხაზს გაუსვამს ყველა ნაკლს და გამოსძებნის ისეთ საშუალებებს, რომლებიც გაადვილებს ტერსისტემის ცხოვრებაში გატარებას.

მთავარი საკითხი, რომელიც სდგას პარტკონფერენციის დღის წესრიგში, არის პარტმუშაობა წითელ ჯარში.

რამდენათ სწორედ არის აღებული სამუშაო ხაზი პარტმუშაობაში, როგორია მუშაობა უპარტიოთა შორის, როგორ ტარდება სოფლად მუშაობა ყველაფერი ეს გამოირკვევა პარტკონფერენციაზე.

პარტმუშაობის ბევრ დარგში ჩვენ თვალსაჩინო მიღწევანი გვაქვს, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, არის ბევრი ნაკლი, რომლებზედაც პარტკონფერენცია მიუთითებს. პარტკონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას როგორც ძირითადი შემადგენლობა, აგრეთვე ცვალებად შემადგენლობის პარტამხანაგებიც.

თავისებური პირობები ტერდივიზიისა მოითხოვენ, რათა კონფერენციის მუშაობაში მიზიდულ იქნენ სამოქალაქო პარტორგანიზაციების წარმომადგენელნი, რაც უეჭველია კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერებას დიდათ შეუწყობს ხელს.

ე. ხუციშვილი.

წერილები ადგილებიდან

ქალკორესპონდენტების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალთა შორის მუშაობას. მხოლოდ დღეს აქვს მშრომელ ქალებს საშუალება თავი დააღწიონ კარჩაკეტილ ცხოვრებას და გამოვიდენ საზოგადო ასპარეზზე. ამ მხრივ ქალაქად და სოფლად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს კომუნისტური პარტია. მთელ რიგ სოფლებში და ქალაქებში დაარსებულია დელეგატქალთა ორგანიზაციები. მხოლოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ნაკლი, იშვიათათ ნახავთ მოთავსებულს გაზეთის ფურცლებზე ქალთა შორის მუშაობაზე. თუ იწერება ისიც ან ახკორის და ან პარტკორის მიერ. მცირე რიცხვია ქალთა კორესპონდენტების. დელეგატ-ქალთა კრებას ყავს აქტივი ქალები გამოყოფილი, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საკმაო აქტივობას; არ კმარა მარტო სხდომები და იქ მეცადინეობა, საჭიროა ქალმა თავისი მუშაობის მიღწევები და ნაკლი თვითონ აღნიშნოს გაზეთებში. ყველაზე უფრო საჭიროა უარყოფითი მხარეების აღნიშვნა, რომ გაეცნონ ჩვენმა უმაღლეს ორგანოებმა ქალთა შორის მუშაობის მტკივნეულ მხარეებს და ამით საშუალება ექნეთ მუშაობას სწორი მიმართულება მისცენ. სადელეგატო კრებები უმთავრესად შექმნილია კომუჯრედებთან. ხშირია შემთხვევა რომ ზოგიერთი კომუჯრედი ხელს უშლის ქალთა მუშაობას. ზოგიერთი უჯრედი კი არც უშლის და არც უწყობს ხელს და სრულიად არ იცნობს ქალთა შორის მუშაობას. ამიტომ გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ქალთა კრებებზე უჯრედების და ზოგ პარტწევრების მიმართ. ჩვენ გვყავს ახკორები და პარტკორები, რომლებიც ფხიზელი დარაჯია სოფლის, ამავე დროს საჭიროა გვყავდეს ქალი კორესპონდენტები რომ გამოაშკარავონ თავისი მუშაობის უარყოფითი მხარეები. მათაც ეძლევა საშუალება გააცნონ სოფელი ქალაქს და ქალაქი სოფელს, გაება ფართო ქსელი როგორც სხვადასხვა ორგანიზაციებთან ისე ხელმძღვანელ ორგანოებთან, ამით ისინი მჭიდროთ დაუკავშირდებიან ერთმანეთს. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლიათ იმ მასწავლებელ ქალებს, რომელიც ჩაბმული არიან ქალთა შორის მუშაობაში. მათ მართებთ დიდი მუშაობის წარმოება.

მოხე ჭყონია.

ასეთი პარტმუშაკები ატყუებენ პარტიას

დუშეთის მაზრა ჩამორჩენილია შედარებით სხვა მაზრებთან: ყოველმა მომუშავემ, რომელიც გაგზავნილია ასეთ ადგილებში სამუშაოთ, უნდა ენერგიულათ მოკიდონ ხელი მუშაობას.

ანანურის თემში არის თემკომის მდივანი ამხ. თალაკვაძე. მას მთელ თემში ყავს ორი უჯრედი. ერთი თვით ანანურში და მეორე „ხეობაში“. მთელი ოთხი თვის განმავლობაში თალაკვაძეს არ მოუწვევია არც ერთი კრება, თვით ანანურში, სადაც ის ცხოვრობს, თვეში მოუწვევია ერთი კრება, სადაც ისეთი საკითხები გაურჩევიათ, რომელიც სრულიად არ შეეხება უჯრედის მუშაობას. რამდენადაც ვიცი თვით ანანურში ისეთი ენერგიული ამხანაგებისაგან შემდგარი წრეა, სადაც მუშაობა შეიძლება კალმა აწარმოვოს, თუ სიზარმაცეს არ მისცემს თავს. მაგრამ ამ „პარტმუშაკს“ არც ერთხელ არ უფიქრია ხელმძღვანელობა გაეწია. როდესაც ჩამოდის მაზრაში იმდენს ლაპარაკობს თავის მუშაობაზე, ისე იბერება, რომ გგონია ამას აუშენებია ანანურის თემიო. მის მაგივრათ, რომ პარტიული მუშაობა აწარმოვოს ის სულ სხვა ადგილას ეძებს სამუშაოთ და მილიციონერობას და კამისრობას წევს. საჭიროა ასეთ მუშაკს მუჯლუგუნი ვკრათ და გამოვა ფხიზლოთ.

შ— თ.

მეათასე ნომრისათვის

ხალხური თურქული გაზეთის „ენი ფიქირ“-ის მეათასე ნომერი გამოვა ა | წ. 26 იანვარს.

ამხანაგებს, რომელთაც სურთ წერილების მოთავსება ამ ნომერში, სთხოვენ გამოგზავნონ ასეთები არა უგვიანეს 24 იანვრისა.

„ენი ფიქირ“-ის რედაქცია.

ეკონომიური ცხოვრება

ჩვენი მრეწველობა

ბარიტის წარმოება

საქართველოს სამთომადნო-ქიმიური მრეწველობის განვითარებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბარიტის წარმოებას. ბარიტის მადანი არ მოიპოვება ერთგანსაზღვრულ ადგილას, როგორც მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირი და ჭიათურის შავი-ქვა. ბარიტი მდებარეობს პატარა-პატარა ფენებათ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ჯერჯერობით ბარიტის მადანი აღმოჩენილია ლეჩხუმის, რაჭის, ქუთაისის და ნაწილობრივ შორაპნის მაზრაში. ეს გარემოება საშუალებას აძლევს სამთომადნო-ქიმიურ კომბინატს გლეხობის ფართო წრეები ჩააბას ბარიტის ამოღების საქმეში.

1924 წლის განმავლობაში საქართველოში ამოღებული იყო სულ 60.000 ფუთი ბარიტი; 1025 წელში ბარიტის ამოღება გაიზარდა 260.000 ფუთამდე, მიმდინარე წელში კი განზრახულია ბარიტის ამოღება გადიდებული იქნეს 500.000 ფუთამდე.

შარშან ბარიტის ამოღებაზე მუშაობდა 250 გლეხი, რომლებმაც ხუთი თვის განმავლობაში მიიღეს 150.000 მანეთი. მიმდინარე წელში ბარიტის ამოღების გადიდებასთან ერთად გაიზრდება გლეხების შემოსავალიც; სამთომადნო ქიმიურ კომბინატს წელს განზრახული აქვს გადავიდეს ბარიტის ქიმიურ გადამუშავებაზე ქლორიანი ბარიტი'ს და ძვირფასი სალებავის „ბლიანფიქსის“ მისაღებათ.

ბარიტის წარმოების გაფართოების მიზნით, სამთო-მადნო-ქიმიურ კომბინატს განზრახული აქვს მოახდინოს ბარიტის ადგილმდებარეობის გამოკვლევა. პირველ რიგში აუცილებლად არის ცნობილი ხარაგოულის მიდამოების გამოკვლევა, სადაც მუშის წარმოებისათვის გამოსადეგი ბარიტია აღმოჩენილი. ასფალტის და ასფალტის ლაქის წარმოების დამზადების მიზნით, განზრახულია გამოკვლეული იქნეს ნატანების მიდამოები.

კომბინატი ამ ჟამად ამუშავებს ბარიტის ქიმიურად გადამუშავების პროექტს; ქიმიური გადამუშავების შემდეგ ბარიტიდან მიღებული იქნება სხვადასხვა სალებავები.

თამბაქოს მრეწველ. პერსპექტივები

მეთამბაქოობა საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. მიმდინარე წელში თამბაქოს ნათესების სივრცემ კახეთში მიაღწია ომის წინა ხანების ნორმას. გურიაში წარსული წლის მოსავალი უდრიდა 5.000 ფუთს, წელს კი ის აღემატება 20.000 ფუთს.

მეთამბაქოობის სწრაფი ზრდა შემჩნეულია სამეგრელოშიც,—ნათესების სივრცის გადიდებასთან ერთად გაუმჯობესდა სამეგრელოს თამბაქოს ღირსებაც. რაც შეეხება აფხაზეთს, იქ შარშან თამბაქო დათესილი იყო 4.000 დეს., წელს კი დათესილია 7.000 დესეტინა.

მეთამბაქოობის აღდგენა-განვითარებას ხელი შეუწყო თამბაქოს ტრესტმა, რომელიც თავის დროზე აწვდიდა მეთამბაქოებს საჭირო კრედიტებს. ამის შედეგები კი იყო ის, რომ გაიზარდა ნათესების სივრცე და გაუმჯობესდა თვით თამბაქოს ღირსება.

მეთამბაქოებს ამ ჟამად გახსნილი აქვთ მოკლევადიანი კრედიტები: ახლო ხანში მათ მიეცემათ გრძელვადიანი კრედიტები საჭირო შენობების ასაგებათ და ინვენტარის შესაძენათ.

ამას გარდა, ჩვენში მეთამბაქოების სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით, თამბაქოს ტრესტი ცდილობს მოაწესრიგოს თამბაქოს ფასები.

თამბაქოს ტრესტმა, გაითვალისწინა რა ყველა ის პირობები, რომლებშიაც უხდებათ მუშაობა ჩვენს პლანტატორებს, შარშანდელი მოსავლის თვითღირებულება ლაგოდეხის რაიონში განსაზღვრა 12—14 მანეთით ფუთი; თამბაქოს თვითღირებულების გამოანგარიშების დროს მხედველობაში იქნა მიღებული პლანტატორების შრომა, რომელიც შეფასებულია: მამაკაცის შრომა დღეში—2 მანეთი, ქალის—1 მან. 50 კაპ. და მოზარდის—1 მან. 30 კაპ.

ფაქტიურათ კი პლანტატორი, თუ მიიღებს თამბაქოს ტრესტის ფასებს—12—14 მანეთს—მიიღებს 15 მანეთამდი ფუთში, რადგან კარგი ამინდისა და იშვიათი მოსავლის გამო პირველი და მეორე ხარისხის თამბაქოს პროცენტული მოსავლიანობა გაცილებით მეტი იქნება ნავარაუდევ ნორმაზე.

თუ დამზადების ფასებს, რომლებიც დაწესებული იყო შარშან, შევადარებთ თამბაქოს ტრესტის ფასებს გამოვა, რომ პლანტატორი წელს თავის თამბაქოში 45 პროც. მეტს მიიღებს შარშანდელთან შედარებით.

თამბაქოს ფასების დაწესების საკითხი ჯერ არ არის საბოლოოთ გადაწყვეტილი. ის განსახილველად გადაცემულია უმაღლეს ეკონომიურ ორგანოებში.

საფეიქრო მრეწველობა

ზეთ-საპონ-ტრესტის საფეიქრო ქარხანა.

საფეიქრო საქონლის ნაკლებობამ საქართველოს ბაზარზე და აგრეთვე მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობის ზრდამ გააძლიერა მოთხოვნილება ადგილობრივ საფეიქრო ნაწარმოებზე. ბამბეულის ქსოვილებით ვაჭრობას ტრესტი აწარმოებს ლენინაკანის საფეიქრო ქარხანასთან შეთანხმებით იმ მიზნით, რომ ადგილი არ ექნეს კონკურენციას, ამჟამად თბილისის და ლენინაკანის ქარხნები ა.-კ. ბაზარზე გამოდიან ერთგვარ ნაწარმოებით და ერთნაირი ფასებით.

ნედლეულის შესაძენად საჭირო თანხების უქონლობის გამო, ტრესტის საბამბო ქარხანა უკანასკნელ სამს თვეში ნაკლებ დატვირთული იყო. ამ მიზეზის გამო ქარხნის პროდუქტი სამი თვის განმავლობაში უდრიდა 2850 ფუთს; მაშინ, როცა ნედლეულის საკმაო რაოდენობით ქონების დროს ქარხნის ნაყოფიერება მოსახერხებელი იყო 3000 ფუთამდე ასულიყო.

რაც შეეხება საქონლის გასაღებას მომავალში, ტრესტს განზრახვა აქვს გამოვიდეს ბაზარზე დამოუკიდებლად და უშუალოდ მიაწოდოს საქონელი მომხმარებელს. ეს გარემოება საშუალებას მისცემს ტრესტს გაადიდოს თავისი მოგება იმ მოგებათა ხარჯზე, რომელსაც ღებულობენ კერძო შემყიდველნი და შუამავალი ვაჭრები.

გიგროსკოპიულ განყოფილების შეკეთების და ნედლეულის უქონლობის გამო დროგამოშვებით სწარმოებდა აგრეთვე გიგროსკოპიული ბამბის დამზადება.

ნედლეულ მასალის გამოგზავნაზე მოსკოვის ქარხნებმა უარი განაცხადეს იმ მოსაზრებით, რომ ბამბა სავსებით ხმარდებოდეს მხოლოდ მანუფაქტურის დამზადებას.

ქუთაისის მაუდის ქარხანა.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ, რომლის მოწყობა ტრესტს 250 ათასი მანეთი დაუჯდა, დღემდე ტრესტს მისცა 50 ათასი მანეთი შემოსავალი. მოსალოდნელია, რომ ამ ახლო მომავლისათვის ფაბრიკა მისცემს კიდევ ტრესტს 120 ათას მანეთს. თანხების უქონლობა ფაბრიკას საშუალებას არ აძლევს დროზე დაამზადოს ნედლი მასალა, რომლის დასაწინდებლად საჭიროა დიდი თანხების გადადება.

ფაბრიკის პერსპექტივები ასეთია: ზოგიერთი უმჯობესად სთვლის ფაბრიკის მუშაობის შეჩერებას, ზოგიერთნი კი მის ტრესტისაგან დამოუკიდებლად არსებობას. ტრესტის ხელმძღვანელთა აზრით საჭიროა ფულით დახმარება გაეწიოს ფაბრიკას, რომელიც 5 წლის განმავლობაში სავსებით გაანაღდებს მასზე დახარჯულ 450 ათას მანეთს. შემავლისათვის ტრესტს განზრახვა აქვს ცენტრის მიერ გადადებული 2.500.000 მანეთიდან რამოდენიმე ათეული ათასი მანეთი მოახმაროს ქუთაისის ფაბრიკას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ბაზარი

ხორბლეულობა

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში დეკემბრის განმავლობაში მდგომარეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე ცვალებადი იყო. სიმინდი შემდეგ სურათს იძლევა: იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში სიმინდის ფასი მტკიცეა და მხოლოდ სამტრედიაში ემჩნევა შემდგომი ზრდის ტენდენცია 17 პროც.-ით, აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდი საერთოდ გაძვირდა: ასე, მაგალითად, სიღნაღში და წნორში—4 პრ., ლაგოდეხში—8 პროც., გორში და შაუმიანში—20 პროც. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ თელავი, სადაც სიმინდი გაიაფდა 7 პროც.

რაც შეეხება ადგილობრივ ხორბალს და პურის ფქვილს, აღმოსავლეთ საქართველოში აღნიშნული პროდუქტების ფასი კლებულობს, დასავლეთ საქართველოში კი ხორბლეულის ფასები მტკიცეა და მხოლოდ ჭიათურაში იზრდება ფასები საშუალოდ 70 პროც.

ხილი

ხილზე დიდი მოთხოვნილებაა საქართველოს ყველა ბაზრებზე. ვაშლი და მსხალი ლაგოდეხში გაძვირდა 20 პროც.-ით, სიღნაღში და წნორში—10 პროც.; გაძვირდა აგრეთვე კაკალი და თხილი წნორში და სიღნაღში 9 პროც.-ით, სოხუმში 8 პროცენტით.

ხორცი

ხორცის ბაზარზე ცვალებადი მდგომარეობაა, ამის გამო ფასების მოძრაობა ამ საქონელზე სხვადასხვა სურათს იძლევა. ღორის ხორცის ფასი კლებულობს ლაგოდეხში 20 პროც.-ით, სიღნაღში, წნორის-წყალში და ახალ-სენაკში—15 პროც.-ით; დანარჩენ პუნქტებში ფასები გაიზარდა 23 პროც.-ით.

ძროხის ხორცი ძვირდება აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ გორში გაძვირდა 25 პროც.-ით, წნორში და სიღნაღში—5 პროც.-ით, ახალქალაქში და ლაგოდეხში—10 პროც.

დასავლეთ საქართველოში ძროხის ხორცი გაძვირდა მხოლოდ ჭიათურაში—12 პროც.-ით, დანარჩენ პუნქტებში კი ფასები უცვლელია.

ღვინო და არაყი

ღვინის ფასები ყველგან იზრდება. სიღნაღში და წნორში ღვინო საშუალოდ გაძვირდა 20 პროც., შაუმიანში, ქუთაისში და თელავში—8 პროცენტით; რაც შეეხება არაყს, იგი სიღნაღში და წნორში გაძვირდა 45 პროც.-ით, თელავში კი—10 პროც.-ით; არაყის ფასის შემცირებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ შაუმიანში—9 პროც., სადაც აბსოლიუტური ფასი მეტათ დიდია (20 მანეთი).

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრენი

სპილენძის მადნები

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უხვა[illegible] რომელთაგან ბევრს სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ასეთ სამრეწველო ხასიათის არიან მერისის მადნები აჭარისტანში, ხარაგოულის რაიონის მადნები ზემოთ იმერეთში, ყაზბეგ-დევდარაკის რაიონის და კახეთის მადნები.

ამ მადნებს შორის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ყაზბეგ-დევდარაკის რაიონი, სადაც 7 ალაგს არის აღმოჩენილი სპილენძის მადნის წიაღი.

მათ შორის მთავარ ყურადღებას იპყრობს დევდარაკის მადანი. დევდარაკის მყინვარის ფერდობზე გავლებულია ორი მთავარი მადნის ხარვეზი, რომელიც გამოკვლეული არის გეოლოგ კონიუშევსკის და ინჟ. გერასიმოვის მიერ, ამ მეცნიერთა გამოანგარიშებით მადნის სიღრმე ამ რაიონში უდრის 100 საჟენს და შეიცავს 270 ათასს ფუთს.

გამოკვლევის დადებითი შედეგების და მადნების მოხერხებულ გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ყაზბეგ-დევდარაკის მადნების საქ. სამხედრო გზატკეცილს მხოლოდ ორვერსით არის დაშორებული) საქართველოს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ გადასწყვიტა შეიმუშავოს გეგმა ამ რაიონში სპილენძის წარმოების გასაჩაღებლად.

სპილენძის მადნები კახეთში მოიპოვებიან მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე სოფელ არტანის რაიონში ყარალაშვილისეულ მამულებში, ინჟინერთა დასკვნით, რომელთაც მოახდინეს ამ რაიონის გამოკვლევაც კახეთის მადნებს აქვთ სამრეწველო მნიშვნელობა.

სპილენძის მადნების მესამე ღირსშესანიშნავი რაიონი არის ხარაგოულის მიდამოების მადნები, სადაც ძვირფასი ხარისხის ლითონი მოიპოვება.

ვინაიდან ეს რაიონი ჯერ სათანადოდ არ არის კიდევ გამოკვლეული, ს. მ. უ. ს—მა მას გამოსაკვლევად გადასდო 3.800 მანეთი.

სად არის სიმართლე?

(პასუხათ ლ. დუმბაძეს და კ. ჩხენკელს).

ნათქვამია: „სიმართლის მთქმელს ცხენი უნდა ყავდეს შეკაზმულიო“, ალბათ გახსოვთ. გაქცევის რა მოგახსენოთ, მაგრამ ყოველგვარ დამცირებისა და შეურაცყოფისთვის ვიყავი მომზადებული, როდესაც გაზეთ „კომუნისტ“-ში (№1450) ვათავსებდი ჩემს წერილს წარმოკავშირის მდგომარეობის შესახებ. ისიც კარგათ ვიცოდი, რომ: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ მაგრამ ეს კი არ ვიცოდი თუ ლ. დუმბაძე და კ. ჩხენკელი ასეთი ერთიმეორის საწინააღმდეგო „სიმართლე“-ს ამცნობდენ მკითხველ საზოგადოებას. რომელია მათ შორის მართალი? ლ. დუმბაძე თუ კ. ჩხენკელი? თუ ლ. დუმბაძეს დავუჯერებთ მოკლე ხანში, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში: „აშკარათ დაინახავს ყველა, თუ რა დიდი მუშაობა ჩაუტარებია „წარმოკავშირს“ გასული წლის განმავლობაში და რა დიდ შეცდომაში შეუყვანია ი. ბუაჩიძეს მკითხველი საზოგადოება“. თუ ეს ასე მოხდა, რასაკვირველია, მე დიდი სასჯელის ღირსი ვიქნები და თუ დავუჯერებთ თვითონ მეც მოხარული ვიქნები ასეთი სასჯელის. განა უმჯობესი არ არის ერთი კაცი შეცდეს და ამისთვის მან სასჯელიც მიიღოს, ვიდრე მთელი ორგანიზაციის საქმეები იქნეს ცუდათ?!

დავუბრუნდეთ საკითხს. სულ ერთი მეორის საწინააღმდეგო მოსაზრებებს აყენებენ ორივე ავტორები. კ. ჩხენკელს მოყავს ჩემი წერილიდან შემდეგი ადგილი: „და აი ამ სინამდვილის დავიწყებამ და მაზე თვალის დახუჭვამ კინაღამ სრულ დაღუპვამდე მიიყვანა წარმოკავშირი“ და დასძენს: „მართალს ბრძანებთ, ი. ბუაჩიძე, მაგრამ თქვენ [illegible] აკეთებდით წარმოკავშირში“. თუ რას ვაკეთებდი მე ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, მხოლოდ აქვე აღვნიშნავ რომ ლ. დუმბაძის სიტყვით: „ჩემს მოვალეობას შეადგენდა კერძოთ ჩვენი პრესისთვის შემოწმებულ უტყუარ ცნობების მიწოდება“ წარმოკავშირის საქმიანობის შესახებ. ვის უნდა შეემოწმებია ეს ცნობები?

ალბათ ლ. დუმბაძეს, და მისი აზრით ხომ ყველაფერი რიგზე იყო წარმოკავშირში?.. მაშ რაღა უკვირს კ. ჩხენკელს თუ მე ლ. დუმბაძეს უჯეროდი და მდგომარეობა არც ისე კატასტროფიული მეგონა, როგორც სინამდვილეში აღმოჩნდა, ლ. დუმბაძეს ეს ხომ არც ეხლა სჯერა, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, მაშ რაღა საჭირო იყო პარტიის და მთავრობის ის გაუთავებელი კომისიები, რომლებიც არკვევდენ წარმოკავშირის მდგომარეობას? რაღა საჭირო იყო წარმოკავშირის გამგეობის ეხლანდელი თავმჯდომარის კ. კაკაბაძის მოსკოვში ასე ხანგრძლივათ გამგზავრება წარმოკავშირისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლათ, რომლების დადებით გადაწყვეტაზე დამოკიდებულია წარმოკავშირის არსებობა?

„ი. ბუაჩიძეს არ სცოდნია საუბედუროთ, რომ დავალიანება და ზარალი ერთი და იგივე არ არის“ სწერს ლ. დუმბაძე. არ არის ეს მართალი. მე ვიცი, რომ დავალიანება და ზარალი ერთი და იგივე არ არის, **მაგრამ ისიც ვიცით, რომ სამწუხაროდ წარმოკავშირს ვალიც ბევრი ჰქონდა და ზარალიც!** ეს ეხლა მაინც ყველასათვის აშკარა გახდა და თუ არ გჯერათ ჰკითხეთ კ. ჩხენკელს, ჰკითხეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სახელმწიფო ბანკის და კოოპერატიული ბანკის ხელმძღვანელებს!

ლ. დუმბაძე განყოფილებების (პროვინციაში) გაუქმების წინააღმდეგი იყო და ეხლაც არის. ის უარყოფს რომ ინსტრუქტორებს ასეთი წინადადება წამოეყენებიოთ, მაგრამ მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ინსტრუქტორების მიერ არაერთხელ იყო წამოყენებული ეს აზრი და თუ განყოფილებები დარჩებოდენ, ისინი დატვირთულ უნდა ყოფილიყვენ სამეურნეო საქმიანობით. „განყოფილებების დატვირთვა თანხებს მოითხოვდა, რაც ჩვენ არ გვაჩნდა და რომ გვეშოვა, აუცილებლათ ვალი უნდა აგვეღო, რისთვისაც ალბათ ბუაჩიძე სავსებით გვაცმევდა ჯვარზე“ სწერს დუმბაძე. თვით ამ ამონაწერიდან ცხადი და ნათელია ყველასათვის, რომ განყოფილებების დატვირთვა შეუძლებელი ყოფილა, მაშ რაღა საჭირო იყო მათი არსებობა? მათი და მოსკოვის წარმომადგენლობის უმოქმედო აპარატის შენახვა ხომ ზედმეტ ტვირთად აწვებოდა წარმოკავშირს? აკი ამიტომაც გააუქმა ეს განყოფილებები წარმოკავშირის ახალმა გამგეობამ! „ი. ბუაჩიძეს ფასიანი სარევიზიო კომისია ეხლა შეუმჩნევია, თუმცა ის რწმუნებულთა ყრილობაზე დაესწრო და უნდა ახსოვდეს, რომ ა. აბაშიძე კომისიის მუდმივ და ფასიან წევრათ ყრილობის მიერ ერთხმად იყო არჩეული“ ვერ გამიგია რათ კისრულობენ ლ. დუმბაძე ან კ. ჩხენკელი უიმედო საქმის და უვარგისი ხალხის დაცვას? უნდა მოგახსენოთ, რომ კარგი მეხსიერებით ვერ დავიტრაბახებ მაგრამ როგორც ყრილობის მდივანს კარგათ მახსოვს, რომ არჩევნების დასასრულ გამგეობის წევრობიდან გადაყენებული აბაშიძე დაასახელა სარევიზიო კომისიის წევრათ ლ. დუმბაძემ, მაგრამ აბაშიძისთვის ჯამაგირის და შტატის მიცემის შესახებ იქ ერთი სიტყვაც არ თქმულა. არ გჯერათ? გადახედეთ სტენოგრაფიულ ანგარიშებს!

თუ ყრილობამ სარევიზიო კომისიას ჯამაგირიანი დაუნიშნა, რაღა საჭირო იყო ამ საკითხზე გამგეობის დადგენილება? ყრილობა ხომ გამგეობაზე და სარევიზიო კომისიაზეც უმაღლესი ორგანოა? „ფასიანი“ სარევიზიო კომისიის შექმნის უფლება არც გამგეობას ქონდა და არც სარევიზიო კომისიას და ეს უდრის კოოპერატიული ქონების გაფლანგვას და ამიტომაც გამოიტანა წარმოკავშირის საბჭომ შემდეგი დადგენილება: „არა მიზანშეწონილათ [illegible] სარევიზიო კომისიის მუდმივი შტატის ყოლა და მისი შენახვა“. ლ. დუმბაძეს და კ. ჩხენკელს შეიძლება არ მოსწონდათ საბჭოს დადგენილება, მაგრამ რა ვქნათ! მე თავიდანვე ვლაპარაკობდი სარევიზიო კომისიის შტატის შენახვის უკანონობის შესახებ.

ლ. დუმბაძე ა. აბაშიძეს ეხლაც დიდი ქებით იხსენიებს, სცნობს მას წარმოკავშირის „პატრიოტათ და ერთგულ მუშაკათ“. არ ვიცი, იქნებ აბაშიძე ძალიან კარგი „პატრიოტიც“ იყოს, მაგრამ წარმოკავშირის ფინანსიური კატასტროფის გამომწვევთა შორის შეიძლება მას პირველი ადგილიც დაეთმოს! **თუ ყველა კარგი ვიყავით, სარევიზიო კომისია, გამგეობა, თანამშრომლები, საქმენი რატომ წავიდა ცუდათ?** დახმარებას ხომ არც ერთი მთავრობა იმდენს არ უწევდა კოოპერაციას, როგორც საბჭოთა მთავრობა? მაშ რაშია საქმე? თუ მუდამ მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის შემწეობით უნდა ვიცხოვროთ?!

თუ აბაშიძე კარგი მუშაკი იყო რატომ დაადგინა მისი თანამდებობიდან მოხსნა ჯერ კიდევ ყრილობამდე ერთ-ერთმა უმაღლესმა ორგანომ და მხოლოდ თქვენი შუამდგომლობით იქნა ის დატოვებული.

ეხლა ცილისწამებაზე. მე ძალიან კარგათ ვიცი რას ნიშნავს ცილისწამება. სამი წელიწადი ვმუშაობდი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ერთ-ერთ დაწესებულებაში და ასეთი ბრალდება პირველია ჩემთვის. რადგანაც ის მაინც წამოაყენეს ჩემს წინააღმდეგ, მე მზად ვარ პასუხი გავცე სადაც გინდათ და როგორც გინდათ. კ. ჩხენკელი მე მხედველობაში არ მყოლია, მე უკანასკნელ დროს მას არ ვთვლიდი სარევიზიო კომისიის წევრათ და აი რატომ: მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჯერ კიდევ წარსული წლის აგვისტოში გამოაქვეყნა თავისი დადგენილება წარმოკავშირის თანამშრომელთა დავალიანების შესახებ და იქ შავით თეთრზე ეწერა: სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ავანსათ წაუღია 1.1100 მანეთი.

ვინ იყო ნაგულისხმევი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთ? მე მგონია აბაშიძე და არა ჩხენკელი. ჩხენკელს არავითარი ავანსები არ წაუღია წარმოკავშირიდან და რათ უნდათ ან ჩხენკელს ან დუმბაძეს სხვისი ცოდვების ზურგზე მოკიდება და მათი დამცველის როლი ვერ გამიგია! თქვენ გზას რომ გაყვეს ამხ. კ. კაკაბაძესაც ხომ შეუძლია წარმოკავშირის ყოფილი გამგეობის ცოდვები თავისთავზე მიიღოს? ისიც ხომ გამგეობ. თავჯდ. მოადგ. ითვლებოდა! მაგრამ უიმედო საქმის დაცვა მას არ უკისრებია და მგონია რომ არც იკისრებს.

ეხლა კიდევ ოტიაშვილზე: ნუ თუ მარტო დავალიანებაში იყო საქმე? დავალიანების გამორკვევას ხომ თვით ბუხჰალტერია უნდა აწესრიგებდეს, მაშ რაღა საჭირო იყო სპეციალური კომისიის არჩევა? რამდენადაც ვიცით საქმე კიდევ სულ სხვა ხასიათის ბოროტმოქმედებაში იყო, თორემ მარტო დავალიანებისთვის ამდენი ამბავი არ ადგებოდა.

ეხლა კიდევ დავალიანებაზე: მ. გ. ინსპექციის დადგენილებით დავალიანების საქმე მე მგონი სამ დღეში უნდა მოწესრიგებული ყო, წინააღმდეგ შემთხვევაში დავალიანებული თანამშრომლები პასუხისგებაში უნდა ყოფილიყვენ მიცემული რატომ არ მოიყვანეთ ეს დადგენილება სისრულეში?

დუმბაძე ყრილობას აწერს განყოფილებების გამრავლებას და ამბობს, რომ „გამგეობა ვერ დაარღვევდა ყრილობის დადგენილებასო“, მე ვამტკიცებ რომ დაარღვია! ყრილობის დროს არ დაუდგენიათ სავაჭრო განყოფილების გაყოფა ორ განყოფილებათ (სპეკულტურების და მომარაგების), აგრეთვე ყრილობიდან დახტურის მიუღებლათ იქნა შექმნილი მესაქონლეობის განყოფილება ამჟამად დაპატიმრებულ გველესიანის, ცნობილ ამირაჯიბის და ჩემთვის დღემდე უცნობ, მაგრამ უკვე შესაფერ ადგილას მოთავსებულ მეტრეველის შემადგენლობით. წინა წერილში ჩამოვთვალე მთელი რიგი საეჭვო პირებისა, რომლებიც უკვე დაპატიმრებული არიან, დამრჩა აღსანიშნავი ა. მეტრეველი, რომელზეც წარმოკავშირის რამდენიმე ათასი მანეთი ითვლება. მე ეხლაც არ ვიცნობ მეტრეველს, მაგრამ ლ. დუმბაძეს ის უნდა ხცოდნოდა და ნუ თუ ის მას საეჭვოთ არ მიაჩნდა ჩემ წინა წერილში დასახელებულ პირებთან ერთად? ან იქნებ მისთვის ისიც უცნობია თუ რატომ გადადგა თანამდებობიდან ლუკაშვილი და შემდეგ რაღაც ხერხით სალიკვიდაციოც მიიღო, ან იქნება ისიც არ იცის თუ რატომ წავიდა ლ. [illegible] [illegible]მოკავშირიდან, და სად იმყოფებოდა ის წარმოკავშირში გადმოსვლამდე (დაპატიმრებული იყო); ანი ქნებ ის არ იცის, რომ შარშანწინდელი ავანსი გველესიანს დღესაც გაუნაღდებელი აქვს? რამდენი ჩამოვთვალოთ! მე ეხლა ყველაფერი საეჭვოთ მიმაჩნია, წინეთ გიჯეროდით, თუმცა ყოველთვის მიკვირდა: ლ. დუმბაძე თვითონ რომ სპეტაკი კაცია, ამ საეჭვო პირებს თავიდან რატომ ვერ მოიცილებს მეთქი. იმასაც ვფიქრობდი, იქნებ ისინი ყველა კარგი მუშაკებია და მე მეჩვენებიან ცუდათ? მაგრამ ბოლოს ხომ ყველაფერი აშკარა გახდა?

ლ. დუმბაძეს მატყლის დასამზადებლათ აგენტების მოწვევა არ მიაჩნია „ჯახაკვირათ“. მე კი ძალიან მიკვირს რათ იტყუებს თავს ლადო დუმბაძე. ახალქალაქის მაზრაში მატყლს ამზადებდა „მწყემსი“-ს თავმჯდომარე დ. გონაშვილი, რომელიც იმავე დროს წარმოკავშირის გამგეობის წევრობის კანდიდატიც იყო და ი. ჯანდიერის განკარგულებით მას რომ მანდატი ჩამოერთვა და ეს მანდატი ვილაც სპეკულიანტ მურადოვს (ჩემთვის უცნობია) გადაეცა, ნუ თუ ეს ლ. დუმბაძემ არ იცის? ეს ხომ „კომუნისტ“-შიც იყო აღნიშნული და თქვენ პასუხი არ გაგიციათ, თუ წარმოკავშირის გამგეობის წევრი გონაშვილი უფრო ნაკლები ხანდოა, ვიდრე ვილაც მურადოვი? რათ გინდათ ამირაჯიბის და ჯანდიერის ცოდვების ზურგზე მოკიდება? მაგრამ რამდენი ჩამოვთვალოთ?

ყველაფერი მე არც ეხლა ვიცი და თუ ჩხენკელმა იცის სთქვას, მე ეხლა გავიგე მაგალითად, რომ ზემოხსენებულ ჯანდიერს ლენინგრადიდან თბილისში ჩამოსასვლელათ მიეცა იცით რამდენი? 1.450 მანეთი და სასარევიზიო კომისიას ეს უნდა სცოდნოდა.

„წარმოკავშირს არასოდეს არ ქონია თავისი საკუთარი საბრუნავი თანხა“,—სწერს დუმბაძე, მაგრამ ვიტყვი ძალიან ბევრიც რომ ქონებოდა მაინც არ იმარაგებდა თუ ისეთი ხარჯები იქნებოდა, რომ ერთი კაცის მოგზაურობა ლენინგრადიდან თბილისამდე 1.450 მანეთი დაჯდებოდა.

ეხლა კიდევ პუნქტზე. დუმბაძე არ უარყოფს, რომ ის ზარალს იძლეოდა, მაგრამ, მისი აზრით, ეს ახეც უნდა ყოფილიყო რადგანაც პუნქტს „არ გააჩნდა საკმარისი საბრუნავი თანხა, ის განიცდიდა პირველ საორგანიზაციო ხანას“ და სხვა. მე მგონია რომ პუნქტს ერთ დროს 100.000 მანეთი მიეცა, სად არის ეს ფულები? ლ. დუმბაძე ცდილობს დაამტკიცოს რომ პუნქტში და სალაფეთ მაღაზიაში მხოლოდ 39 თანამშრომელი ირიცხებოდენ. ეს იყო ვგონებ წარსული წლის სექტემბრიდან, როდესაც მომარაგების განყოფილების წინადადებით მოხდა შტატის შემოკლება 20 კაცით, მანამდე მაშ მართლაც 60 თანამშრომლამდე ყოფილა და რათ მწამებს დუმბაძე მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას?

კიდევ ვიმეორებ ძალიან ცუდათ იყო საქმეები. ეს დღითი დღე უფრო აშკარა ხდებოდა; მარტო ის რაც ღირს რაც მერძევეთა არტელების მიმართ იყო ჩადენილი ძველი გამგეობის მიერ. ხსენებულმა არტელებმა ყველი დააგირავეს ერთ ერთ ბანკში, წარმოკავშირის ძველმა გამგეობამ კი ეს დაგირავებული ყველი გაყიდა და არტელების მიერ გაცემული ვექსილები პროტესტში იქნენ გაცემული, ბანკიც და არტელებიც ორივე მხარე მოტყუებული დარჩენ და ახალმა გამგეობამ (რომლის ქებას მე სრულებითაც არ ვაპირებ, ვინაიდან ჯერ მისი მუშაობის დაფასება ნაადრევია) დიდის ვაი-ვაგლახით მოაწესრიგა ახეთი ცუდი მემკვიდრეობის საკითხი.

მე მგონია კმარა! რომ იტყვიან „Чем дальше в лес тем больше дров“ თანდათან უფრო აშკარა ხდება რომ წარმოკავშირში (იქნებ სხვა კოოპერატიულ ცენტრებშიც) დაბუდრებული იყო არა თუ მარტო „ცუდი ვაჭრები“, არამედ წმინდა წყლის ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია რომელიც სასტიკად უნდა იქნეს დევნილი და განადგურებული, რათა სავსებით გაჯანსაღდეს ჩვენი კოოპერაცია და საზოგადოთ სამეურნეო დაწესებულებები. უნდა აღმოიფხვრას პრაქტიკიდან ერთი ადგილიდან განდევნილი ბოროტმოქმედთა მეორე დაწესებულებაში წამოსკუპება. კერძოთ კოოპერაციაში გატარებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის კ. პ. ცეკას უკანასკნელი ცირკულიარი კოოპერაციაში ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ეხლა იძულებული ვარ ცოტაოდენი პირად საკითხზეც მოგახსენოთ, რადგანაც ისეთმა პასუხისმგებელმა პირებმა როგორიც არიან ლ. დუმბაძე და კ. ჩხენკელი ჩემი პიროვნებისთვის მოიცალეს. ძალიან სამწუხაროა, რომ წარმოკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ და გამგეობის თავმჯდომარემ ჩემი თანამდებობა ვერ გამოარკვიეს. კ. ჩხენკელი საგამომცემლო განყოფილების გამგეს მიწოდებს, ლ. დუმბაძე კი საინფორმაციო ნაწილის გამგეს. რომელია მართალი? არც ერთი! სინამდვილეში მე ორივე დარგში მიხდებოდა მუშაობა. და ყრილობის მიერ ჟურნალის გამოსაცემათ გადადებული 5175 მანეთიდან მე კაპიკიც არ მიმიღია, თორემ ჟურნალის ხელმძღვანელობაც მე მქონდა დაკისრებული. მაგრამ ჟურნალის გარდა საანგ.-საბუხჰალტერიო წიგნებიც საჭიროა წარმოკავშირის სისტემის 150 მეტი ორგანოებისათვის და ამ უკანასკნელების გამოცემაზე ზრუნვა მე მიხდებოდა.

კოოპერაციას კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებაც ევალება და სწორედ ამ დარგში ცოტაოდენ ვმუშაობდი და დღესაც ვმუშაობ. სექტემბრიდან 4 წყება კურსებზე ჩავატარე ლექციები კოოპერაციის შესახებ არსებობს კიდევ წარმოკავშირის და ცეკავშირის 6 თვიანი კოოპერატიული კურსები და ამ კურსების მოწყობაში და ხელმძღვანელობაშიც წარმოკავშირიდან ისევ თქვენ მიერ ათვალწუნებული ი. ბუაჩიძე იღებდა მონაწილეობას. ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან დავალებებსაც ვასრულებდი და კიდეც ამიტომ ვსწერდი ერთ-ერთ განცხადებაში „მუშაობის პირობების გამორკვევის შესახებ“.

რაც შეეხება ჩემს ლიტერატურულ ცოდნა-მომზადებას, ამას მგონია უკეთ შეაფასებენ თვით ლიტერატორები და ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები.

ან რა საჭირო იყო საკითხისთვის გვერდის ახვევა პატივცემულ ავტორებისთვის. საკითხი იდგა **არა ჩემს შესახებ,** არამედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის მდგომარეობის და ამ ცენტრის განკარგულებაში მყოფ მილიონების (კრედიტი) მიზანშეწონილი გამოყენების შესახებ.

ი. ბუაჩიძე.

ბ!:4 შესახებ ჩემს მარა

კოოპერაცია

სატრან. კოოპერაციის მე-6 რწმუნებულთა ყრილობა

სარევიზიო კომისიის მუშაობა

ა. | კ. სატრანსპორტო კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობასთან გაცნობის შემდეგ, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა, მოსმენილ იქნა საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ესაკიას მოხსენება, რომელმაც გააცნო ყრილობას კომისიის აპარატი და დაწვრილებით შეეხო ფულის გაფლანგვებს და მათთან ბრძოლას. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებაში მომხდარ ბოროტმოქმედებების 90 პროცენტი გამოიხატება ფულის გაფლანგვაში და დაუდევრობაში, რომლებიც ისჯებიან სამსახურიდან მოხსნით და სასამართლო წესით პასუხისგებაში მიცემით.

კამათი.

ამხ. ესაკიას მოხსენების შემდეგ ამხ. აკიმოვმა პასუხი გასცა ყველა იმ შეკითხვებზე, რომლებიც მიცემული იყო დელეგატების მიერ.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 33 დელეგატმა. კამათში მონაწილენი უმთავრესად აღნიშნავენ მუშებისათვის საჭირო საქონლის უქონლობას საზოგადოების სავაჭროებში, აღნიშნავდენ ამ სავაჭროებში მომუშავე ნოქრების ცუდ მოპყრობას მყიდველებისადმი, უთითებდენ ცუდ რევიზიებზე, რონოდა-დუქნების საქონლით არ საკმაოთ მომარაგებაზე და სხვა.

„ზაკსოიუზის“ წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა სატრანსპორტო კოოპერაციის და „ზაკსოიუზის“ შორის სუსტ კავშირს და განაცხადა, რომ ა-კ. კავშირის განმტკიცება აუცილებელია საქმისათვის. კამათში წამოყენებულ ყველა საკითხებზე ამხ. აკიმოვმა სათანადო პასუხი გასცა და ამის შემდეგ ყრილობამ გამოიტანა საერთო დასკვნა, სადაც მან გამგეობის წლიურ საქმიანობა დამაკმაყოფილებლად იცნო.

შემდეგ ყრილობამ აირჩია კომისიები სხვადასხვა საკითხების დასამუშავებლად. შემდეგ მოხდა არჩევნები.

ახალ გამგეობაში

ყრილობამ აირჩია: 1. აკიმოვი, 2. ავალოვი, 3. ინასაროვი, 4. ესაკია. 5. კიუზახმედოვი, 6. ივანოვი და 7. საბაშვილი. კანდიდატებათ: 1. ზეყანოვი და 2. მამედ-ჰასანოვი.

სარევიზიო კომისიაში

თვარელიძე, გრიგორიანი და ზეინალოვი. კანდიდატებათ—დოცენკო და კაზიევი.

დელეგატები

საკავშირო სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებების ყრილობაზე: აკიმოვი, კიუზახმედოვი, ლორთქიფანიძე და დანიელიანი.

სხვათა შორის ყრილობაზე წამოყენებული იყო საკითხი სატრანსპორტო კოოპერაციაში მომუშავეების რკინისგზელთა პროფკავშირში გადარიცხვის შესახებ, რაც ყრილობამ მიზანშეწონილად ჩასთვალა.

გურჯაანის კოოპერატივის მიღწევები

გურჯაანის კოოპერატივი დიდი ხანია არსებობს; მან მრავალჯერ განიცადა დაცემა-აღდგენა. უკანასკნელად იგი 1922 წელს განიავდა, მაგრამ 1923 წელში ისევ წამოდგა და შეუდგა მუშაობას. მას უკვე ისე მკვიდრათ აქვს გადგმული ისეთი ფესვები, რომ სწრაფი ნაბიჯებით წავიდა წინ; დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის ყოველგვარ საფრთხეს აცილებულია და შესძლებს კოოპერაციის მიზნების ცხოვრებაში სავსებით გატარებას.

წევრთა რიცხვი 1925 წლის I/X-თვის უდრის—1585.

მოგება იმავე რიცხვისთვის უდრის—18.354 მან.

კოოპერატივს აქვს ხუთი განყოფილება: ჩუმლაყში, ვეჯინში, კოლაგში, ბაკურციხეში და ჩალაუბანში.

კიდევ: სადგ. გურჯაანში აქვს უნივერსალური მაღაზია, ღვინის სარდაფი და პურის საცხობი.

გურჯაანშივე აქვს კოოპერატივს: 1) წითელი სასადილო, 2) მატორიანი წისქვილი (ფქვავს დღიურად 110 ფუთს), 3) ორი საწყობი და 4) ელ-სადგური, რომელიც ჯერ-ჯერობით 300 ლამფას იძლევა.

კოოპერატივი მუდმივ ეწევა კულტ.-საგანმანათლებლო ხარჯებს: 1) შეწირა ადგილობრივ სახალხო სახლს 1000 მანეთი, 2) მუდმივ უწერს გაზეთებს სამკითხველოს და სხვ.

თავისი ხარჯით გაანათა კოოპერატივმა მთელი სოფლის უბნები.

როგორც ზემოაღნიშნულიდან სჩანს გურჯაანის კოოპერატივი დიდ სამშენებლო მუშაობას ეწევა. ჩვენი ვალია დავეხმაროთ მას.

დ. კარბელი.

მიღებულია გაზეთი
„ახალი საქართველო“
№ 17
იყიდება ყველგან

სასოფლო მეურნეობა

თათბირი მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ

დღეს, 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე შესდგება თათბირი მევენახეობა-მეღვინეობის საკითხების მოსაწესრიგებლად. თათბირზე განხილული იქნება საკითხები მევენახეობა-მეღვინეობის დღევანდელ მდგომარეობის, მეურნეობის ამ დარგის აღორძინების და აგრეთვე ღვინის ბაზრის და გასაღების შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან რესპუბლიკების მიწათ-მოქმედების სახ. კომის., საგეგმო კომისიების, ღვინის დამამზადებელი ორგანიზაციების და კოოპერატივების წარმომადგენელნი.

კახეთის ვენახები

სასოფლო-სამეურნეო სექციის მოხსენების მიხედვით ა.-კ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დამაკმაყოფილებლად სცნო კახეთის ვენახების აღსადგენად წარმოებული მუშაობა. ამავე დროს საგეგმო კომისიამ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადება მისცა პერიოდულად აწარმოოს კახეთის ვენახების მდგომარეობის გამოკვლევა.

ვენახების აღსადგენი მუშაობის რაციონალურად დაყენების მიზნით საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო იმ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და პირთა საჭირო თანხებით (გრძელვადიანი სესხის სახით) უზრუნველყოფა, რომელნიც ვენახების აღსადგენად მუშაობას აწარმოებენ.

ვენახების აღსადგენად

ამჟამად იყალთოს სახალხო მამულში იგება ახალი სათბური, სადაც რიხტერის წესით დამზადდება ამერიკული ვაზის ნამყენი. ამ სათბურის დამთავრების შემდეგ მაზრაში იქნება სამი სათბური, ხოლო მთელ კახეთში კი ოთხი. ახალი სათბური ნაყოფიერებით სამჯერ სჭარბობს უკვე არსებულ სათბურებს. თვითეულ ამუშავებაზე სათბურს შეუძლია გამოიყვანოს 600 ათასი დამყნილი ვაზი. არსებულ სათბურებს კი გამოჰყავთ 200 ათასი. სათბურის ამუშავება შესაძლებელია სამჯერ. ასე რომ, იყალთოს სათბური გაზაფხულისთვის გამოიყვანს 1.800.000 ვაზს. ამდენსვე დაამზადებს სამი დანარჩენი სათბური. ასე, რომ წლევანდელი სეზონისათვის ყველა სათბურების მიერ დამზადებული იქნება 3.600.000 ნამყენი ვაზი.

ბამბის დამზადება

ბამბის დამზადების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ა|კავკასიაში, ა|კ. საბამბო კომიტეტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

ა|წ. 10 იანვრისათვის აზერბეიჯანის ბამბის საწმენდმა ქარხნებმა შეისყიდეს მებამბე გლეხებისაგან—3,386,942 ფუთი ნედლი ბამბა.

ამ დროისათვის ცენტრში გაგზავნილია—1378 რონოდა გაწმენდილი ბამბა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული—1866 რონოდისა.

მებამბე გლეხებს ამავე დროისათვის დაუბრუნებიათ მათზე გაცემული ავანსიდან—4,515,710 მან. ანუ 82,9 პროცენტი.

სომხეთში ამ დროისათვის შესყიდულია—790,780 ფუთი ნედლი ბამბა, რაც შეადგენს ამოცანის—104,5 პროცენტს და გაგზავნილია ცენტრში ნაცვლად 231 რონოდისა, 245 რონოდა გაწმენდილის სახით. ავანსებიდან დაბრუნებულია 1,073 ათასი მანეთი, რაც შეადგენს გაცემული თანხის—919 პროცენტს.

საქართველოში მიღებულია 10 იანვრისთვის 147,730 ფუთი ნედლი ბამბა ე. ი. 70,4 პროც. გეგმით გათვალისწინებული რაოდენობისა. ცენტრში ბამბა არ გაგზავნილა, რადგან ქარხნები არ მუშაობდენ და ბამბა არ იწმინდებოდა. ავანსები დაბრუნებულია 305,053 მანეთის რაოდენობით, ანუ 79,5 პროცენტი.

აფხაზეთში შესყიდულია—3,357 ფუთი ნედლი ბამბა ე. ი. 10,1 პრ. გეგმით გათვალისწინებული რაოდენობისა.

ამგვარად ჯერ-ჯერობით ბამბის მიმდინარე კამპანიაში პირველი ადგილი უკავია სომხეთს.

აბრეშუმის პარკის დამზადება

საზოგადოება „აბრეშუმის“ ცნობით, მიმდინარე წელში განზრახულია 140.000 ფუთი ნედლი პარკის შესყიდვა აღნიშნული საზოგადოების მიერ, რაც უდრის დაახლოებით 45.000 ფუთ ხმელ პარკს.

პარკის აღნიშნული რაოდენობის დასამზადებლად საჭირო იქნება დაახლოვებით 9.200.000 მანეთი.

საზოგადოება „აბრეშუმს“ ამ ჟამად საკუთარი თანხა არ აქვს, ვინაიდან 1925 წლის პარკის რეალიზაცია ჯერ-ჯერობით დამთავრებული არაა. მოსალოდნელია ამ რეალიზაციიდან 200.000 მანეთის მიღება, რაც მოხმარდება. პირველ ყოვლისა. პარკის შესყიდვას.

ამრიგათ, პარკის დამზადებისათვის საჭირო თანხას 200.000 მანეთს, პარკის ოპერაციე-საზოგადოების მიერ ნავარაუდევ საკუთარ თანხას 3.200.000 მანეთს თუ გამოვაკლებთ ბის ჩასატარებლად მიმდინარე წელში საჭირო იქნება 3.000.000 მანეთი.

საზოგადოებას ჯერ-ჯერობით ხელშეკრულება კრედიტის მიღებაზე არავისთან არ დაუდვია. მხოლოდ საზოგადოებას აქვს წინადადება ასეთის მიღებაზე „ზაკგოსტორგი“-დან, „რუსხოტიუროლი“-დან და სხვა ორგანიზაციებიდან.

შინა-მრეწველობის განვითარებისათვის

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი შინამრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა სცნო უპირველეს ყოვლისა ამიერ-კავკასიაში განვითარებული იქნეს შინა-მრეწველობის შემდეგი დარგები: მატყლის, ლითონის, ხის და ტყავის წარმოება. ამასთანავე საკითხი შინა მრეწველობისათვის კრედიტის მიწოდების და ნავთის ამოღების ფორმების შესახებ დაწვრილებით განხილული იქნება ცალკე.

შინამრეწველობის ზემოაღნიშნულ დარგების განვითარებისათვის 1925—26 წლის განმავლობაში საჭირო იქნება 3,000.000 მანეთის კრედიტი.

ამიერ-კავკასიაში შინამრეწველობის გეგმაშეწონილად განვითარების მიზნით, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო შინამრეწველობის კომიტეტების დაარსება რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან.

საგეგმო კომისიამ ამასთანავე შინამრეწველობის განვითარების ერთ-ერთ რეალურ ღონისძიებათ შინამრეწველების გაერთიანება საშინამრეწველო კოოპერაციისათვის.

გარდა ამისა ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ დაადგინა ახლო ხანში მოახდინოს ამიერ-კავკასიის შინა-მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევა.

რესპუბლიკების შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატებმა უნდა გამოარკვიონ, თუ რამდენი მასალები სჭირდებათ შინამრეწველობის ცალკე რაიონებში და უნდა მიიღონ ზომები მათთვის აუცილებელი მასალების და ფაბრიკატების მისაწოდებლად.

ამას გარდა, წინადადება მიეცა საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის და ავტონომიური რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებს შეიმუშაონ შეღავათიანი პირობები უმოქმედო ფაბრიკა-ქარხნების იჯარით გასაცემად სასარეწაო-კოოპერატიულ გაერთიანებებზე.

შინა-მრეწველობის და სიშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის საკითხების დაწვრილებით დასამუშავებლად ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო ყრილობის მოწვევა შინამრეწველობის საკითხებზე.

ა|კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

აჭარისტანის, აფხაზეთის და ნახიჩევანის სას.-სამ. ბანკის საკრედიტო გეგმების შესახებ

ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკის გამგეობამ ნახიჩევანის, აფხაზეთის და აჭარისტანის სასოფლო ბანკებისათვის საკრედიტო გეგმების შესადგენად და მათთვის კრედიტის მისაცემად, შემოიღო შემდეგი წესი:

აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის სასოფლო ბანკების საკრედიტო გეგმები უნდა შესდგეს სათანადო რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის საპერსპექტივო გეგმის საფუძველზე.

ამრიგად შედგენილ საკრედიტო გეგმებს, აფხაზეთის და აჭარისტანის სასოფლო ბანკები უთანხმებენ საქართველოს სასოფლო ბანკს, ხოლო ნახიჩევანის სასოფლო ბანკი აზერბეიჯანის სასოფლო ბანკს. რესპუბლიკანური ბანკები თავის მხრივ თავის საერთო გეგმებს შეუთანხმებენ სათანადო რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებს.

ამგვარად საქართველოს სასოფლო ბანკი თავის გეგმას აფხაზეთის და აჭარისტანის დამოუკიდებელ გეგმებთან ერთად და აზერბეიჯანის სასოფლო ბანკი ნახიჩევანის სასოფლო ბანკის გეგმასთან ერთად, ადგენენ ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკში.

ტექნიკურ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის სასოფლო ბანკებისათვის გეგმით გათვალისწინებული კრედიტის გაცემას უშუალოდ აწარმოებს ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკი, რომელიც ამ ოპერაციების შესახებ ცნობას აწვდის საქართველოს და აზერბეიჯანის სასოფლო ბანკებს.

ბალანსებს, ანგარიშებს და სხვ. აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის სასოფლო ბანკები უგზავნიან ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკს და პირველი ორი—საქართველოს სასოფლო ბანკს, და უკანასკნელი აზერბეიჯანის სასოფლო ბანკს.

ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკის ბალანსში უნდა ჩართულ იქნეს აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის სასოფლო ბანკების ბალანსები, ისე როგორც საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სასოფლო ბანკების ბალანსები.

აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის ბანკების გამოკვლევას, რევიზიას და მათთვის ინსტრუქციების მიცემას აწარმოებს ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკი დამოუკიდებლად.

გლეხკომების მუშაობა

თელავის მაზრაში

თელავის მაზრის გლეხკომების მუშაობას გამოცხოველება ეტყობა მხოლოთ შარშან მაისიდან. მარტიდან დაწყებული წლის ბოლომდე გლეხკომების შემოსავალი უდრის 2.793 მან. 5 კ. ხოლო გასავალი კი 2774 მ. 45 კ.

რომ გლეხკომების მუშაობა უფრო გამოცხოველდეს, გლეხკომების ცეკას მიერ გაგზავნილმა ინსტრუქტორმა მოიწვია თათბირი, რომელსაც დაწვრილებით გააცნო გლეხკომების ცეკას ინსტრუქციები და გეგმები მომავალი მუშაობის შესახებ.

მაზრის გლეხკომები აწარმოებენ სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადებას, როგორიცაა: პური, სიმინდი, ქერი, ღვინო, არაყი, ლობიო და სხვ.

სამაზრო გლეხკომი აწარმოებდა აგრეთვე დახმარებების გაცემას ღარიბ და გაჭირვებულ მცხოვრებლებზე. აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში, გლეხკომი ეხმარებოდა გლეხებ სამშენებლო მასალის მიცემით და სხვა.

სათემო გლეხკომების მუშაობიდან აღსანიშნავია ყვარელის, ენისელის, წინანდალის, შილდას და ძველი გავაზის თემგლეხკომების მუშაობა.

ყვარელის გლეხკომს დახმარება გაუწევია სოფ. ენისელის სტიქიურათ დაზარებულ გლეხებისათვის 100 ფუთი სიმინდის მიცემით,

ენისელის თემში მუშაობა ამ ბოლო დრომდე მოიკოჭლებდა. უკანასკნელათ მოხდა გლეხკომის გადახალისება.

შილდას გლეხკომს მოუწყვია იურიდიული დახმარების ბიურო გლეხობისათვის.

ამნაირათ შეიძლება ითქვას, რომ თელავის მაზრის გლეხკომები უკვე დადგენ საღ ნიადაგზე და მათი მუშაობის ნაყოფი მომავალში თვალსაჩინო იქნება.

სახალხო ჯანმრთელობა

სანიტარული განათლება 1925 წ.

ავათმყოფობის ასაცილებლად წინასწარ ზომების მიღების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარულ განათლებას.

სანიტარული ცოდნის გასავრცელებლად მრავალი საშუალება არსებობს: წიგნაკების და პლაკატების გამოცემა, ლექციების კითხვა, სანიტარული განათლების მუზეუმების და თეატრების მოწყობა და სხვა.

მიუხედავათ ხელის შემშლელი პირობებისა, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ამ მხრივ მაინც ბევრი გააკეთა.

გამოცემულია პოპულიარული ბროშიურები და პლაკატები, რომლებიც დაურიგა მაზრებს.

თბილისიდან რაჭა-ლეჩხუმში და ჭიათურაში გაგზავნილი იყვენ სპეციალისტები, რომლებმაც რაჭა-ლეჩხუმში ჩაატარეს 20 ლექცია და ჭიათურაში—11. თბილისის წარმოება-დაწესებულებებში წაკითხულია 90 ლექცია. კახეთში გაგზავნილმა დრამატიულმა დასმა და ლექტორებმა მოაწყვეს 6 წარმოდგენა და 16 ლექცია, რომლებსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

სანიტარული განათლების ოთახების და კუთხეების მოსაწყობად კომისარიატმა თბილისიდან მაზრა-სოფლებში გაგზავნა 24 ოთახის მოწყობილობა.

1925 წლის შემოდგომაზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა თბილისში მოაწყო მილიციის უფროსების და თემაღმასკომების მდივნების მოსამზადებელი კურსები, სადაც ჯანმრთელობის კომისარიატს დანიშნული ყავდა საგანგებო ექიმი სანიტგანათლების დარგში ლექციების წასაკითხავად. მსმენელებს დაურიგდათ შესაფერი წიგნაკები და პლაკატები.

რაც შეეხება თბილისს, აქ სანიტარული განათლების ცენტრალურ სახლში იმართებოდა სანიტარული წარმოდგენები მუშა-მოსამსახურეთათვის. სანიტგანათლების სახლთან მოწყობილია მუზეუმები, რომელსაც მუდამ აუარებელი ხალხი ათვალიერებს.

სახლთან დაარსებულია ჰიგიენური სახელოსნო, სადაც აკეთებენ სხვადასხვა საგნებს სანიტგანათლების დარგში სამუშაოდ. ყველა ეს საგნები იგზავნება მაზრებში.

პროვინციაში ადგილობრივი ძალებითაც იმართება ლექცია-საუბრები. ლექციების კითხვა დავალებული აქვს პროვინციაში მომუშავე ყველა ექიმებს.

საქონლის ჭირი

სენაკის მაზრა

ჭირის გაჩენის დღიდან უკანასკნელ დღემდე ჭირის საწინააღმდეგო შრატი აუცრეს 17 სოფელში, სადაც აღრიცხულია სულ 15.761 სული საქონელი. ამ რიცხვიდან აცრილი აქვს 15.200 სულს. აცრის დაწყებამდე ოფიციალური ცნობებით, რომელნიც ცხადია, სავსე და სრული არ არის, (გლეხები არ ამხელენ და მალავენ ჭირით დაღუპულ საქონელს); 17 სოფელში ამოწყვეტილა ჭირით—561 სული საქონელი. აცრის შემდეგ ჭირით დაიხოცა მხოლოდ 68 სული საქონელი ანუ 0,5 პროცენტი. 1 იანვრისათვის აუცრელი იყო 15 ათასი სული საქონელი 15 სოფელში,

უკანასკნელ მიღებული 120 ლიტრა ჭირის საწინააღმდეგო შრატი ჭირის საწინააღმდეგო სამაზრო კომისიამ გაუნაწილა 5 სოფელს.

ჯავახეთი

მიუხედავათ საწინააღმდეგო ზომებისა ჭირი ჯავახეთის სოფლებში ვრცელდება. ჭირ მოდებული სოფლების [illegible] სთხოვს დახმარებას აღმასკომს და ჭირთან მებრძოლ კომისიას. უკანასკნელად თბილისიდან მიღებული ასაცრელი შრატი—8 ლიტრა განაწილებულ იქნა ჭირ მოდებულ სოფლებს შორის. იმ სოფლებში, სადაც თავს იჩენს ჭირი, წესდება კარანტინები მთელს ჯავახეთში აღკრძალულია ცხვრის ფარის და ჯოგის ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გარეკვა, აღკრძალულია აგრეთვე მეზობლად მდებარე საბალახოებზე ჯოგის ძოვება, სავეტერინარო პერსონალს, რომელიც მეტად მცირერიცხოვანია, უხდება დღე—მუდამ მუშაობა შეუსვენებლივ ძალიან ცუდ პირობებში. ჭირის გაჩენის დღიდან უკანასკნელ დრომდე ჭირმა ჯავახეთის სოფლებში ამოხოცა 1000 სულზე მეტი საქონელი.

სოფლების უმრავლესობას არ მოეპოვებათ სადეზინფექციო საშუალებები, რაც მეტად ავრცელებს ჭირის სასწრაფო აღკვეთას.

კომუნალური მეურნეობა

თბილისის აბანოები

ამჟამად თბილისში მუშაობს ათი აბანო, გარდა თამამშევისეულისა, რომელიც იჯარით არის გაცემული. ყველა აბანოების ექსპლოატაციას აწარმოებს კომუნალური განყოფილება.

1925 წლის განმავლობაში საგრძნობლათ გაიზარდა მებანოვეთა რიცხვი, რომელიც 31 პროცენტით სჭარბობს მას, რაც იყო 1923 წლის პირველ ნახევარში. აბანოში მოსიარულეთა რიცხვის ზრდასთან შეფარდებით იმატა შემოსავალმაც, რომელიც 1923 წლის პირველ ნახევართან შედარებით თითქმის გაორკეცდა (192.3 პროცენტით გადიდდა).

შემოსავლის გადიდებამ კომუნალურ განყოფილებას საშუალება მისცა აღდგინა აბანოების დანგრეული მეურნეობა. რომელიც სათანადო მზრუნველობას იყო მოკლებული ომის წინა დროიდან დაწყებული ვიდრე გასაბჭოებამდე.

1922 წლიდან იწყება აბანოების მეურნეობის თანდათან აღდგენა. 1925 წლის განმავლობაში შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები: საფუძვლიანი რემონტი გაუკეთდა ქესამე აბანოს, სადაც ღამის განმავლობაში უმიზნოდ იღვრებოდა წყალი. ახლა ამ აბანოში მოწყობილია სპეციალური აუზი, სადაც აბანოების მუშაობის შეჩერების შემდეგ გროვდება წყალი, რაც საშუალებას აძლევს აბანოს გამგეობას ამუშაოს ზედმეტ ნომრები.

მეოთხე ნომერ აბანოში გასული წლის განმავლობაში გამოცვლილ იქნა თუნუქ-მოვლებული მილები. ამავე წელს დასრულდა გოგილოს აბანოს (აბანო № 16) კაპიტალური შეკეთება.

მეცხრე ნომერ აბანოში გაყვანილ იქნა ცივი წყალი, ამ გარემოებამ ერთი-ორად გაადიდა მობანავეთა რიცხვი ზაფხულის განმავლობაში. ამავე აბანოში ხელახლა იქნა მოწყობილი საორთქლე განყოფილება. აქვე მოეწყო საერთო განყოფილება ვაჟებისათვის.

1925 წლის პირველ ნახევრისათვის აბანოში მოსიარულეთა რიცხვმა 700 ათასს გადააჭარბა.

მიმდინარე წლისათვის მიღებულია ზომები აბანოების მეურნეობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

რკინის გზაზე

მარცხები აზერბეიჯანის ხაზზე.

18 იანვარს 2 საათზე და 10 წუთზე სადგ. ბარგუშეთში მატარებლის, № 107 შესვლისას მატარებლის ქვეშ გადაყვანილი იქნა ისარი, რის გამო ლიანდაგს ასცდა 4 დახურული რონოდა და 8 ცისტერნი. ძალზე დაზიანდა პირველი და მე-2 ხაზები 15 საჟენის სიგრძეზე. 3 საათის შემდეგ ბარგუშეთიდან მოსული დამხმარე მატარებელი შეუდგა ჩავარდნილ მატარებლის ამოყვანს. მატარებლის აცდენის გამო, მატარებლები № 3 და 7 გაჩერებულ იქნა სადგ. უჯარაში.

ამავე დღეს საღამოს 5 საათსა და 6 წუთზე სამარშრუტო მატარებელი № 104 სადგ. ალაბაშლში მიღებულ იქნა უკვე დაკავებულ ხაზზე, რის გამო მოხდა მატარებლების დაჯახება. ერთი ორთქმავალი საგრძნობათ დაზიანდა, ხოლო მეორე მცირედ. ასცდა ლიანდაგს და დაიმტვრა ერთი ნავთიანი ცისტერნი რის გამო ნავთი დაიღვარა. შემთხვევის ადგილზე მივიდა განჯიდან დამხმარე მატარებელი. მოძრაობა შეწყდა 7 საათით.

ივანოვის დაბრუნება.

მოსკოვიდან დაბრუნდა გზათა-მიმოსვლის კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამიერ-კავკასიაში და ა|კ. რკ. გზების სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ივანოვი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საკავშირო კონფერენცია

ლიუქსემბურგი, 19 იანვ. დასრულდა ბორჩალოს მაზრის საკავშირო კონფერენცია. დაესწრო 32 დელეგატი, აქედან 18—საქართველოს კომპარტიის წევრი, 4 ახალგ. კომკავშირის წევრი და 3 ქალი. მოსმენილი იქნა სამაზრო პროფბიუროს, დამზღვევ სალაროს ანგარიშები და საქ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლის მოხსენება პროფკავშირების მორიგი ამოცანების შესახებ. მოხდა სამაზრო ფროფბიუროს, დამზღვევ სალაროს და სარევიზიო კომისიის ხელახალი არჩევნები.

„რემედას“-ი

ლიუქსემბურგი, 19 იანვ. 15 იანვარს გაიმართა „რემედასის“ სამაზრო კონფერენცია. დაესწრო 38 დელეგატი.

ამჟამად, „რემედასის“ წევრთა რიცხვი მაზრაში უდრის 2000 კაცს. ცეკამ საზღვარგარეთელ ამხანაგების დასახმარებლად გაგზავნა 2000 მანეთი.

ადგილებიდან მოსული დელეგატები მოითხოვდენ ლიტერატურას გასაგებ ენაზე.

მთელ მაზრაში იმართება „რემედასის“ რაიონული კონფერენციები.

საარჩევნო კამპანია

ლიუქსემბურგი, 19 იან. დამთავრდა სათემო და საქალაქო საარჩევნო კომისიების არჩევნები. თავდება ამომრჩეველების სიების შედგენა.

მუშაობა ყოფილ მენშევიკებს შორის

ფოთი, 19 იან. საქ. კომპარტიის ფოთის პარტიულ კომიტეტთან დაარსდა ყოფილ მენშევიკებს შორის მომუშავე ბიურო.

სტიქიურ უბედურებათა შემდეგ

ოზურგეთი, 19 იან. აღმოსავლეთ გურიის გლეხურ მეურნეობაზე მძიმე გავლენა მოახდინა შარშანდელმა სტიქიურმა უბედურებამ. ძლიერმა ყინვებმა დაღუპა და სუბტროპიკული მცენარეები, რაც შეადგენდა გლეხური მეურნეობის უმთავრეს დარგს. ივნისის წყალდიდობამ გაანადგურა სიმინდის ნათესების უდიდესი არე.

აღმოსავლეთ-გურიის სოფლის სოფლებში აღნიშნულია სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა.

გლეხობა შუამდგომლობს სურსათ-სანოვაგის მიწოდების შესახებ.

სამაზრო აღმასკომმა დაადგინა: სთხოვოს მთავრობას, რომ მან გურიის საზღვრებიდან აკრძალოს სიმინდის გატანა, გამოითხოვოს მთავრობის თანხები კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით 200.000 ფუთი სიმინდის შესაძენად; დაიწყოს სიმინდის შეძენა დასავლეთ გურიაში, სადაც მოიპოვება ზედმეტი სიმინდი, რითაც შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას გაჭირვებულ მოსახლეობის მოთხოვნილებები.

„ქართული მარგანეცი“

ჭიათურა, 18 იანვ. „ქართული მარგანეცი“-ს სააქციონერო საზოგადოებამ 1-ან 15 იანვრამდე დატვირთა და გაგზავნა ფოთში 11.538.809 კილოგრამი მარგანეცი.

მაღაროს კომიტეტები

ჭიათურა, 19 იან. სამთა-მადნო მუშების პროფკავშირის გაფართოებულმა სხდომამ დაადგინა მაღაროებსა და ქარხნებში ადგილობრივ დაარსებულ იქნეს მაღაროს კომიტეტები და საქარხნო კომიტეტები.

სწავლის საქმე შორაპნის მაზრაში

ჭიათურა, 19 იანვ. შორაპნის მაზრაში, სახ. განათლების სამაზრო განყოფილების ცნობით არის 116 ოთხწლედი სასწავლებელი 9546 მოწაფით, 27 შვიდწლედი 4340 მოწაფით და 3 ცხრაწლედი 2464 მოწაფით, ახალგაზრდა გლეხთა სკოლა 123 მოწაფით და ეკონომიური სკოლა 22 მოწაფით. ზოგიერთ სოფლებში სკოლების უქონლობის გამო 2000-მდე ბავში სკოლის გარეშე დარჩა.

„კარუტო“

ჭიათურა, 19 იანვ. ჭიათურაში ერთ-ერთმა საუკეთესო შავი ქვის სამრეწველო ორგანიზაციამ „კარუტო“-მ (კავკასიის მადნეულობის ამხანაგობა), რომელიც ამუშავებდა მთელი შავი ქვის ნახევარს, 6 თვის შეჩერების შემდეგ შეუდგა მაღაროების და ქარხნების შეკეთებას. იანვრის ბოლოში ქარხანა ხელახლა შეუდგება მუშაობას ძველებური დატვირთვით.

ჭიათურის მუშკოოპი

ჭიათურა, 19 იანვარი. ჭიათურის მუშკოოპს წარსულ საოპერაციო წლის განმავლობაში შეუძენია 750.599 მანეთის საქონელი, გაყიდულია 776.335 მანეთის. წლიური ბრუნვა გამოიხატება 4.650.423 მანეთში. წმინდა მოგება უდრის 22.827 მანეთს.

8000 კომლიდან კოოპერატივებში გაერთიანებულია 30 პროც. საოპერაციო წლის განმავლობაში საპაიო კაპიტალი გაიზარდა 5371 მანეთიდან 7758 მანეთამდე.

მშენებლობა

ჭიათურა, 19 იანვ. უკანასკნელ ხანებში ჭიათურის ვაჭარ-მრეწველნი შეუდგენ გაძლიერებულ მშენებლობას. ბაზრის მოედანზე აშენებულია ბევრი ახალი მაღაზია. ხულ აგებული იქნება 20-ზე მეტი შენობა. ნაწილი უკვე დამთავრებულია. დიდი მოთხოვნილებაა საამშენებლო მასალაზე—მინაზე, კრამიტზე, აგურზე და ცემენტზე.

კომუნები და არტელები

თელავი, 19 იან. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ბევრ კომუნების და არტელების დაშლა. დაშლილია 2 წლის მუშაობის შემდეგ ყვარელის კომუნა. შესწყვიტეს მუშაობა კომუნებმა სოფელ წინანდალსა, შრომასა, შაშიანსა და ყვარელ-უბანში. ამ კომუნებს ჰქონდათ ვენახები, სახნავ-მიწა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები და დამაკმაყოფილებლად მუშაობდენ 2—3 წლის განმავლობაში. მათი ლიკვიდაცია მოხდა წევრთა შორის უთანხმოების გამო. განახლეს მუშაობა კომუნებმა შაშიანსა და ყვარელ-უბანში. დანარჩენების ინვენტარი და ქონება გადაეცა გლეხკომებს. არტელების მარცხის ერთერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელობის უქონლობა.

აჭარისტანი

სახელმწიფო ვაჭრობა დეკემბერში

ბათომი, 19 იანვ. დეკემბერში სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებათა აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოს, სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის სააგენტოს, შაქრის ტრესტის, პურის პროდუქციის, სახელმწიფო ბანკის, კომუნალურ ბანკის, საქ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს კანტორის, „ზაკგოსტორგის“, სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის, „არმენტორგის“ და „კამვოლსბიტ“-ის საერთო ბრუნვა უდრიდა 1.192.000 მანეთს, ე. ი. წინა თვეს გადააჭარბა 11 პროცენტით.

ბათომის ნავთსადგური დეკემბერში

ბათომი, 19 იან. დეკემბრის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში შემოტანილი იყო საზღვარ-გარეთიდან 9.366 545 კილო და გატანილია 32.657.300 კილო სხვადასხვა ტვირთები.

წერილები

ვისგან დავიკვეთოთ ვაზის ნამყენი

(წინანდლის რაიონი, თელ. მ.)

ჩვენი გლეხობის უმთავრეს საცხოვრებელ წყაროს მევენახეობა შეადგენს. იგი ფილოქსერამ გაუნადგურა და ცდილობს ამერიკულ წესზედ ვენახის განახლებას. გლეხს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ნამყენის ჩაყრა, მოსავლის მოკრეფიდანვე ფიქრობს, თუ რამდენი უნდა დაბაროს და რამდენი ნამყენი შეიძინოს. თუ არ იცის, ნამყენს საიდან მიიღებს ან სად იშოვნის, შეიძლება ჩაყრა ნამყენისა გადაიფიქროს და ვერც კი მოახერხოს.

სწორედ ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი წინანდლის რაიონში. წარსულ წელს და წინათაც გლეხები იღებდნენ ნამყენს კონდოლის სანერგის გამგესგან. ახლა იგი აღარ იღებს ნამყენის შეკვეთის განცხადებებს, იმ მოსაზრებით, რომ ნამყენი გადადის წინანდლის და შაშიანის საკრედიტო ამხანაგობებზე. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას კი არავითარი ცნობა არ აქვს ვაზის ნამყენის მის საშუალებით განაწილების შესახებ.

შემოდგომიდან დაწყებული ვერ გამოირკვა ვისი საშუალებით გაიცემა კონდოლის სანერგიდან ნამყენი. თვით სანერგის გამგის თუ საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით. გლეხები ხუთი-ექვსი ვერსის მანძილზე, ყოველ კვირა და თითქმის ყოველ დღე, მოდიან წინანდლის საკრედიტო ამხანაგობაში და ეკითხებიან: „რა ამბავია, ცნობა არ მოგივიდათ ნამყენზე განცხადებები როდის უნდა მიიღოთ.“

საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა უარყოფით უპასუხებს, რადგან მათ არავითარი ცნობა არ მიუღიათ იმ ორგანოდან, რომელსაც ისინი უშუალოდ, ემორჩილებიან.

საჭიროა, თუ კონდოლის სანერგეში დამზადებული ნამყენი საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით მიეცემათ გლეხებს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დროზე აცნობოს წინანდლის საკრედიტო ამხანაგობას განცხადებების მიღებაზე და ნამყენის გაცემის შესახებ. გლეხმა აქედანვე უნდა იცოდეს ეს. რომ მოამზადოს მიწა, ნაკელი და სხვა.

სამსონ ხუციძე.

ეხლა თვითვე ნანობენ

(ს. საგარეჯო გარე-კახეთი)

ყველა გარე-კახელთათვის ერთად-ერთი საამაყო საგანს შეადგენს განთქმული „სათავის წყალი“. ეს წყალი გაყვანილია მილებით თითქმის საგარეჯოს ყველა. უბნებში და აგრეთვე სადგურ საგარეჯოშიაც, საიდანაც „სათავის წყალს“ იცნობს ყველა ის მოქალაქე, რომელსაც კი რამდენჯერმე მაინც მოხდენია მგზავრობა კახეთის რკ. გზაზე.

ამ მდინარეს სათავე აქვს სოფ. ბარდ. ტყეში. უკანასკნელ ხანებში წყალმა საგრძნობლად იკლო და თითქმის ზოგიერთ უბნებში მილები სრულიად დაიკეტა. ამაზე დაფაცურდნენ თემ-აღმასკომის თავმჯდომარე და მაზრაში მოიწვიეს ტექნიკი და გამოიკვლიეს, რომ წყლის დაკლების მიზეზი ყოფილა; ტყეში უალაგო—ალაგზე ხეების მოჭრა.

მართალია ამის შესახებ ბევრს აფრთხილებდა მოსახლეობას ადგ. ადმინისტრაცია, მაგრამ ზოგიერთები მაინც განაგრძობდენ ტყის მალულად განადგურებას. ეხლა თვითვე გლეხები სჩივიან წყლის ნაკლებობაზე.

ნათქვამია: „რაც მოგივა დაითაო, ყველა შენი თავითაო“ მომავალში მაინც იმდენი ვეცადოთ, რომ რაც უკვე დარჩა ტყიდან. ის მაინც ხელუხლებელი იყვეს.

გარეჯელი გლეხკორი.

მეტი ყურადღება გაგრის რაიონს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრა ყველაფრათ კარგი საცხოვრებელი ადგილია, მაგრამ [illegible] ლის [illegible] ხალხის [illegible] ზოგიერთ ვაჭ-ბატონების ლოთობა და გაცხარებული კარტის ან ნარდის თამაში. ამ მავნე ჩვეულებას უწყობს ხელს სოკოებივით გამრავლებული სამიკიტნოები. არის ცხრა სამიკიტნო, — მეათე თითქოს — სასტუმროთ ითვლება, მაგრამ ისიც არაფრით გაირჩევა სამიკიტნოსაგან.

კოოპერატიული სასადილო აქ არ არის. ამის შესახებ უნდა გამოიჩხრიკოს ყური კოოპერატივის გამგეობამ. აქ კიდევ არ არის მოგვარებული ქართული გაზეთის გავრცელება. გაზეთებს ზოგჯერ 15 დღემდე აგვიანდება. დამტარებლები ყოველ კვირაში თუ არა, თვეში ერთხელ მაინც იცვლება. მათ ღვინის ყლაპვა უყვართ, რასაც ფულის ფლანგვა სდევს. დეკემბერში სულ არ მიგვიღია გაზეთი. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს,—გაგრის რაიონში ქართველები ბლომად არიან, რომელნიც უგაზეთობის გამო მოკლებულნი არიან ყოველგვარ სწორ ინფორმაციას.

[illegible] რაიონში არის ქართველე[illegible], ხსენებულ სოფელში ცხოვრობს არა ნაკლებ სამას-ოთხმოცდა ათი მოსახლე ქართველები. ამ სოფელს კარგი სამოსახლო ადგილებიც ახლავს და სახნავ-სათესებიც მოეპოვება. მდიდარია ის ხე-ტყითაც, მაგრამ ზოგიერთი გლეხი კარავში ცხოვრობს ტიტველ-შიშველი. კოლხიდაში შეძლებული გლეხებიც არიან. დაჩაგვრა და დაცინვა ღარიბი გლეხებისა აქაურ კულაკების გამოჭედილია.

სიმთვრალე და კარტის თამაში კოლხიდაშიაც ხშირია. გაილეშებიან ღვინით და არის ხარის ფრიალი უმტვრევენ ერთმანეთს თავ-პირს. სხვა რამე ცუდ საქმესაც კი სჩადიან—მხეცურათ ეცემიან მშვიდობიან ოჯახების პატრონებს და ქალს სტაცებენ. ამას წინათ ერთ-ერთ გლეხს ქალი მოსტაცეს და თმით წაათრიეს.

საჭიროა დიდი პოლიტიკური და კულტურული ხასიათის განმანათლებელი მუშაობა, რომ ყოველივე ეს აღმოიფხვრას.

ბარდი

დააჩქარეთ დავალიანების გასწორება

ოზურგეთის მაზრაში გაზეთების გავრცელების საქმე თანდათანობით დგება ნორმალურ ნიადაგზე და საგრძნობლად იწევს ტირაჟიც, მაგრამ ზოგიერთი ამხანაგებისა და დაწესებულების დავალიანება კანტორას აყენებს გამომცემლობის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში. ამისათვის ვაცხადებთ ყველა იმ ამხანაგებისა და დაწესებულების საყურადღებოთ, რომლებზედაც ითვლება დავალიანება პირველ სექტემბრიდან გასულ წლის პირველ იანვრამდე ამა წ. ოზურგეთის ჟურნალ-გაზეთების კანტორის ან მაზრაში არსებულ მისი კიოსკების გაასწორონ დავალიანება ამა თებერვლის პირველამდის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ვინაობა გამოქვეყნდება გაზეთებში. თუ ეს ზომა არ გასჭრის საქმე გადაეცემა სასამართლოს.

ოზურგეთის ჟურნალ - გაზეთების კანტორის გამგე—**პოლიკარპე ინწკირველი.**

გამკითხავი არავინაა

(ს. გოგოლესუბანი, გურია)

როცა წავიკითხე გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული კორესპონდენცია გოგოლესუბნელის ფსევდონიმით, აღტაცებაში მოვედი. ვიფიქრე, ეხლა მაინც ადგილობრივი აღმასკომი მიიღებს საჭირო ზომებს და ხსენებულ სოფელს დროულად გამოიყვანს არანორმალურ მდგომარეობიდან. მაგრამ ჩემი ფიქრი ფიქრად დარჩა.

გოგოლესუბანი კვლავ უპატრონოდაა. ამას ამტკიცებს სრული უყურადღებობა კოოპერატივისადმი, რომელიც სამი წელიწადია რაც დაკეტილია, შენობა ლპება, ბუხარი ჩამოინგრა; ხოლო ამ ხნის განმავლობაში „ეპოს“ აბარია—არც ხალხს გადასცა, რომ სიმწარეში აშენებული შენობა მოეხმარა და არც თვითონ პატრონობს. ყოფილი სამკითხველო ვინ მიითვისა არ ვიცით და მასთან 4-წლედი პარტების უქონლობით და შენობის დალპობის გამო უკიდურეს მდგომარეობაშია. თითქოს უპატრონოდ მიგდებულ სახლს მოგვაგონებს. განა შეიძლება შრომის სკოლა, რომელსაც ერთ ქცევამდის ეზო აქვს შეულობავი იყოს და ისიც ეხლა, როდესაც კომპლექტიური სწავლებაა შემოღებული?!

საჭიროა თემის აღმასკომმა თავისი სიტყვა საქმედ აქციოს.

ჩვენ სოფელს ჩრდილო-აღმოსავლეთით აკრავს სახელმწიფო ტყე, რომელიც გვიფარავს ქარისაგან, იძლევა უხვ-დაუშრეტელ წყაროებს, საამშენებლო მასალას და შეშას. ტყე მუდამ იარსებებდა გულ-შემატკივარი გამგის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ხსენებული ტყე თან-დათან ნადგურდება. გასულ წელს მას განაგებდა რაფიელ შარაშიძე, რომელიც ტყის უდიერ მოპყრობისათვის, როგორც ამბობენ, ხელის-უფლებამ სამსახურიდან გააძევა. მის ნაცვლად მოვიდა ვიღაც ახალი პიროვნება, რომელიც უხვად ყიდის და ყიდის საშეშე ბილეთებს. არ დაეძებს თუ ვისთვისაა საჭირო ბილეთის მიცემა. ხალხიც ყიდულობს სიიაფის გამო.

ტყეს ერევიან და ანადგურებენ. სჭრიან არა ძველ ხეებს, არამედ ნორჩებს 4-8 ვერშოკამდის. ერთი საჟენის მაგივრად ორი გააქვთ არა ოჯახში მოსახმარად, არამედ ბაზარზე გასასყიდათ. გამკითხავი არავინაა. სანამდი უნდა დარჩეს გოგოლესუბანი ამ მდგომარეობაში?

გულ-შემატკივარი.

ქურდები თავისას არ იშლიან

(შირაქი, სიღნ. მაზ.)

ნათქვამია: „ობლის კვერი ცხვა და არ გამოცხვა“-ო, სწორედ ასეა შირაქელი გლეხების საქმე. რამდენი ხანია მათ ქურდები აწუხებენ, ჰპარავენ რაც კი აბადიათ,—უნდათ ქურდები მოიშორონ. მაგრამ არ იქნა, ვერ მოიშორეს.

ბოლოს, როგორც იყო, ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომები და ქურდები ყველა დააპატიმრეს; რამდენიმე ხანი სიღნაღის პოლიტბიუროში იყვნენ და ბოლოს ზოგიერთები ზაქათალაში გადაგზავნეს. ქურდების დაპატიმრების შემდეგ, მართლაც შირაქელებმა მოისვენეს; მას შემდეგ ერთი ნემსიც კი არ დაკარგულა და გლეხობა მთავრობის მზეს იფიცავდა; მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე და ქურდების ერთი ნაწილი (ის ნაწილი, რომელიც სიღნაღში იმყოფებოდა) ქეიფობით და დროს ტარებით ჩავიდენ შირაქში. ყველას დაექირავებინათ ერთი ფურგუნი, შიგ ღვინიანი ტიკები ჩაეწყოთ და „ჰარალოს“ და „ურას“ ძახილით მოდიოდენ. ამას არ დასჯერდენ და სოფელში მოსვლისას, ერთ მიკიტნის დუქანში მთელი ღამე იქეიფეს.

ცხადია, სამი-ოთხი თვე ციხეში ნამყოფებს ქეიფობაც უნდოდათ და ამ ქეიფობისათვის საჭირო ფულიც; ამიტომ იყო, რომ მეცხვარე თუშის, ციხელაშვილის იორღა ცხენი სადღაც გაქრა...

მთავარი ქურდები ზაქათალაში იმყოფებიან და მათი „დაპირებით“ ისინიც მალე გვესტუმრებიან. ასე რომ ქურდები თავისას მაინც არ იშლიან და შირაქელ გლეხებს ისევ ემუქრებიან. ზოგიერთ მეზობელ გლეხებს ქურდები ეხლავე პირადათ ეხუმრებიან და ასე ეუბნებიან: „ჩვენ ორ კვირას ან ერთ თვეს დაგვიჭერენ, შემდეგ გამოგვიშვებენ და ისევ აქ ჩამოვალთ. მაგრამ თქვენ სადღა წახვალთ, ჩვენთან არ გინდათ ყოფნა“-ო? ამის გამო აქაური გლეხობა ძლიერ უკმაყოფილოა, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ხელისუფლება არ აქცევს ყურადღებას და ქურდების ინტერესებს იცავს.

ეს, რა თქმა უნდა, გლეხობის შეუგნებლობის ბრალია, რაშიაც ზოგიერთ ბნელ პირებს და „მეჭორეებსაც“ უდევს წილი.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება და ქურდებს მოისპოს გლეხებზე თარეშის საშუალება.

იმედი გვაქვს, თუ რაიმილიციის და პოლიტბიუროს ფხიზელი თვალი ექნება, ეს საქმეც ადვილად მოგვარდება.

შეუპოვარი.

წარმოდგენაც ასეთი უნდა.

(წერილი ტყიბულიდან).

1925 წლის 2-იანვარს ტყიბულის მაღაროების მუშათა კლუბში გამართული იქნა წარმოდგენა **„გეგეჭკორი“**.

საერთოდ ტყიბულის მაღაროებში შემოღებულია კლუბის და „კინოს“ წევრობა, რის გამო მუშა-მოსამსახურეები იხდიან თვეში 50 კაპეიკს იმის და მიხედვით თუ ვინ რამდენს ღებულობს ხელფასს და ესწრებიან უფასოდ წარმოდგენებს და კინო სურათებს.

2 იანვარს წარმოდგენის დროს კი ზოგიერთ ადგილებში გაკრული ყოლა აფიშები, სადაც აღნიშნული იყო ბილეთების ფასი—[illegible]-დან 1 მან. როდესაც მუშები [illegible] მოსამსახურეები მივიდნენ კლუბ'ში, იქ ბილეთები არავის მოუთხოვია, ყველამ დაიკავა ჩვეულებრივად ადგილები, მოაწია ფარდის აწევის დრომ. ბილეთები არავის ახსოვს, შესრულდა 8-საათი და ამ დროს უცხადებენ მუშებს ბილეთების შეძენას. ამან გამოიწვია მუშებში დიდი უკმაყოფილება; ზოგი გაიძახოდა: მე კლუბის წევრი ვარ და ბილეთს არ ვიყიდიო, ზოგი იმას ამბობს, რომ რაღა დროს ბილეთების ყიდვის დროა, წარმოდგენა დიდი ხნის დაწყებული უნდა იყოს და ზოგიც იმას გაიძახის, რომ ეს კლუბი მუშების გასატყავებლად არის და ასე უნდა გვაძრონ ტყავიო და სხვა ასეთები.

დიდი აურ-ზაურის შემდეგ ზოგს შეაძენინეს ბილეთები ზოგმა სრულებით დასტოვა კლუბის დარბაზი და წავიდა თავის ყაზარმაში. წარმოდგენა კი დაიწყო ღამის 10-საათის შესრულების შემდეგ... მხოლოდ ხალხი დიდი უკმაყოფილო დარჩა.

ს. ბრეგაძე.

საგარეჯო (გარე-კახეთი).

მეალილოები ქათმის ქურდები. გარეჯელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი დღესაც ვერ გადაეჩვია ძველ, ხავსმოდებულ ადათებს. საშობაოთ აქ ჯგუფ-ჯგუფად დაიარებოდენ მეალილოვე ახალგაზრდები და ჰკრეფდენ გლეხებისგან შეწირულებებს. როცა ზოგიერთმა შეძლებულმა გლეხებმა „მახარობლებს“ საჩუქარზე უარი უთხრეს, მეალილოებმა საქათმეს მიაშურეს და დედლები მოიპარეს.

ს. აბაშა (გამოჩინებულის თ., ქუთ. მ.)

არც სკოლა ვარგა, არც სამკითხველო. კარგა ხანია ჩვენი სკოლა შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ ამაზე ბევრს არავინ ზრუნავს. არჩეულ პირებს შეგროვილი ფულის ნაწილი შემოეხარჯათ, ნაწილი კი საქმეს მოახმარეს, მაგრამ სკოლას არაფრით ეტყობა. კიდევ უარეს მდგომარეობაშია სამკითხველო. ის ნამდვილ ბოსელს წარმოადგენს, სადაც ღამით ცხვრები და სხვა ოთხფეხი ბინავდება. გაზეთი სრულიად არ მოიპოვება. სოფელი მოკლებულია სწორ ინფორმაციას და ჭორებით იკვებება.

რაფიელი.

ს. ნუკრიანი (სიღნ. მ.).

სამიკიტნოებმა სამკითხველოები დაჩრდილეს. ჩვენს სოფელში არის ქოხ-სამკითხველო, მაგრამ ბევრია სამიკიტნოებიც. ლოთობა და აურ-ზაური აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. ადგილი აქვს აგრეთვე ბანქოს თამაშს. გლეხები ხშირათ დუქნებში უკანასკნელ კაპეიკებს სტოვებენ და ოჯახი უსახსროთ რჩება. ყველაფერი ეს იმის ბრალია, რომ ადგილობრივი სამკითხველო და სხვა კულტურული დაწესებულებანი ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე. სამკითხველოები მომზადებულ ხელმძღვანელების არყოლობის გამო საარშიყო და სალაზღანდარო ბუდეთ გადაიქცენ.

აქაური.

გარეჯელი გლეხკორი.

ს. ზენამხარი (დუშ. მ.)

დაგვიარსეთ მერძევეთა პუნქტი. აქაური მცხოვრებლები მთლიანად მეჯოგეობას მისდევენ. აუარება ყველი, ერბო და მატყლი იღუპება მოუხმარლობით. საჭიროა დაგვიარსოთ მერძევეთა პუნქტი. ამით გლეხებსაც დიდი შეღავათი მიეცემათ და ქალაქიც ბევრათ მოიგებს.

ლოფარია.

სოფლის ქრონიკა

— **ყვავილის ასაცრელათ** აჭარის ყველა საექიმო პუნქტებს სასწრაფოთ დაეგზავნათ შრატი.

— **საშეითლო პუნქტი.** ოლადაურის (აჭარა) თემში მოეწყო 3 საშეითლო პუნქტი.

— **ლაგოდეხის** გლეხკომმა გადასწყვიტა მომავალი წლიდან სოფ. სლაბოდნაიაში მოაწყოს სათონდო მიწის კოლექტიურათ დამუშავება.

— **კერძო ვაჭრებთან ბრძოლის მიზნით** რაჭის სამგლეხკომმა გახსნა [illegible].

— **ყვარელის (თელ. მ.) გლეხკომმა** გამოუწერა ადგილობრივ სამკითხველოებს გაზეთები.

პროფკავშირებში

სრ. საქართველოს მედსანშრომის კავშირის მე-5-ე ყრილობა

16 იანვარს, საღამოს 6 საათზე სანიტ. განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა სრ. საქართ. მედსანშრომის კავშირის მე-5 ყრილობა.

ყრილობა გახსნა კავშირის პ. მგ. მდივანმა ამხ. ნარიმანიშვილმა. მოკლე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ მისივე წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სამსახურის ასრულების დროს დაღუპულ მედმუშაკების ხსოვნას.

შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს სამდივნოს და სამანდატო კომისია.

საპატიო თავჯდომარეებათ არჩეულ იქნენ: სტალინი, რიკოვი, კალინინი, ტომსკი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ჯულელი, და კარალოვი (მედსან. კავ. ც. კ. თავმჯდომ.) დამტკიცების შემდეგ ყრილობას მიესალმა ც. კ. წარმომადგენელი ამხ. პეტროვი, რომელმაც სხვათაშორის შეეხო ცენტრ. კ. მუშაობას.

კავშირის წევრთა რიცხვი

1925 წ. 1 იანვრისათვის კავშირის წევრთა რაოდენობა 363.668 აღწევდა. ამავე წლის ოქტომბრისათვის კი წევრთა რიცხვი 408.856 უდრიდა.

კავშირის წევრთა ზრდასთან ერთად იმატა უმუშევართა რიცხვმაც, რომელთა რაოდენობა აღწევს 50.891-ს.

ეს კი გამოწვეულია უმთავრესად იმ გარემოებით, რომ ახალგაზრდა ექიმები სოფლად არ მიდიან და ქალაქად ყველას მოწყობა კი კავშირის ძალღონეს აღემატება. ც. კომიტეტს საკავშირო ორგანოებთან ჰქონდა ცოცხალი კავშირი: იგზავნებოდენ ინსტრუქტორები და ხანდისხან ც. კ. წევრებიც.

ქალთა შორის მუშაობა

ქალთა შორის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, რადგან კავშირის წევრთა რიცხვის 64 პროც. ქალები შეადგენენ.

ქალთა შორის მუშაობას აწარმოებდა ქალთა წარმომადგენელი, რომლის მუშაობაც ნაყოფიერი იყო.

გაფლანგვა

პირველ ხანებში საკავშირო ფულის გაფლანგვა ხშირი მოვლენა იყო. უმთავრესად ამ სენით შეპყრობილი იყვნენ ადგილკომები.

გამფლანგველებს პასუხისგებაში ვაძლევდით. აგრეთვე ყურადღება მივაქციეთ სარევიზიო კომისიების მუშაობასაც.

[illegible] ზომებმა კი ძალზე შეამცირა მფლანგვის რიცხვი.

ხელფასის საკითხი

1924—25 წ. განმავლობაში ექიმების საშუალო ხელფასი 45 მ. უდრიდა. 1925—26 წლისათვის კი—65 მან. ასეთივე გაუმჯობესება მოხდა სხვა მედმუშაკთა ხელფასისაც.

კულტმუშაობა

კულტმუშაობის საწარმოებლად საჭიროა თანხა. არ არის საჭირო რაოდენობა კლუბებისა, ამიტომ ც. კ. გადაწყვეტილებით გადიდებული იქნება ფონდი საკლუბო მუშაობის საწარმოებლად. ყველგან, სადაც კლუბები არ არის, ასეთები უნდა მოეწყოს. წ.—კ. უცოდინარობის წინააღმდეგაც აწარმოებდა მუშაობა და ამ მხრივაც დიდი მიღწევები გვაქვს.

მეორე სხდომა

17 იანვარს დილის სხდომაზე თავჯდომარეობდა ამხ. ქუთათელაძე. ამხ. პეტროვის მიერ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიმართა კამათი ც. კ. მუშაობის გარშემო. კამათში მიიღო მონაწილეობა 12 ორატორმა, რომელთაც აღნიშნეს ც. კ. მუშაობაში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

საბოლოო სიტყვაში ამხ. პეტროვმა პასუხი გასცა ყველა ორატორებს.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე ცენტ. გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნარიმანიშვილმა.

კავშირის წევრთა რიცხვი

ამ ერთი წლის განმავლობაში კავშირის წევრთა რიცხვი თანდათანობით მატულობდა. გასული წლის ოქტომბრის პირველისათვის თუ უდრიდა ეს რიცხვი 7.244 კაცს, ამჟამად კი 8.272 კაცს უდრის.

ასეთი ზრდა კი გამოწვეულია საექიმო-სანიტარო დარგში შტატის გადიდებით და ნაწილობრივად კურორტებისათვის მომუშავეთა დაქირავებით.

პრეზიდიუმის სხდომები

1924 წლის 1 ოქტომბრიდან 1925 წლის 1 ოქტომბრამდე პრეზიდიუმს ჰქონდა 49 სხდომა რომელბზედაც გაირჩა საორგანიზაციო სატარიფო-საეკონომიო, კულტგანმანათლებელი და სხვა საკითხები.

კავშირი ძირითად პროფორგანიზაციებთან

წინეთ ძირითად პროფორგანიზაციებთან კავშირი გამოიხატებოდა ცირკულიარების გზავნაში, მაგრამ წელს ასეთ გასაგზავნი ცირკულიარების რიცხვი ძლიან შემცირდა, სამაგიეროდ მთავარი ყურადღება მიექცა ცოცხალ კავშირს, რომელიც გამოიხატებოდა ადგილების გამოკვლევაში და სათანადო დირექტივების მიცემაში.

ქალთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობა

კავშირში წევრ-ქალთა რიცხვი 47 პროც. აღწევს. ამიტომაც ც. გ. მთავარ ყურადღებას აქცევდა მათ შორის მუშაობის გაჩაღების საქმეს. ქალებს ირჩევდენ ადგილკომებში და აგრეთვე იყო შემთხვევები მდივნებად და რწმუნებულებათ ქალების არჩევისა. ახალგაზრდათა შორის მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ჩაბმულ იქნენ პროფმუშაობაში და აგრეთვე ირჩევდენ ადგილკომის მდივნებადაც.

უმუშევართათვის დახმარება

კავშირს 1.167 უმუშევარი ყავს. უნდა აღინიშნოს ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრები ბევრი იგზავნებოდენ სამუშაოზე, მათი რიცხვი მაინც არ კლებულობდა. ეს კი აიხსნება იმით, რომ უმუშევართა კადრი კვლავ ივსებოდა მეზობელ რესპუბლიკების უმუშევრებით. უმუშევრებს ეძლეოდა დახმარება—ოჯახიანებს 7 მანეთი და მარტოხელებს კი—5 მანეთი. აგრეთვე უმუშევრები სარგებლობდენ სხვა და სხვა გვარი შეღავათებით.

საკავშირო ფულის გაფლანგვა

საუბედუროდ გაფლანგვას ვერც ჩვენ გადავურჩით. აქაც ჰქონდა ადგილი გაფლანგვას, რომლებიც აღმოჩენილ იქნა და დამნაშავენი პასუხისგებაში იქნენ მიცემული.

გაფლანგვის აღმოსაფხვრელად მიღებულია ზომები:—სარევიზიო კომისიებზე პასუხისმგებლობის დაკისრებით და აგრეთვე იმითაც, რომ საწევრო ანარიცხებს 3—4 დღეზე მეტს ადგილებზე არ ვაჩერებთ.

სატ.-საეკონომიო მუშაობა

შრომის ნაყოფიერების აწევასთან დაკავშირებით ხდებოდა ხელფასის აწევაც. ამ მხრივ ჩვენ კავშირსაც სათანადო მიღწევები აქვს. სატარიფო განყოფილება სამეურნეო ორგანოებთან ხელშეკრულების დადების დროს ყოველთვის ანგარიშს უწევდა სამეურნეო ორგანოს ეკონომიურ შესაძლებლობას. ხელფასის გადიდება ქანობს 13 პროც-დან 27 პროც-ს შორის.

მეოთხე და მეხუთე სხდომებზე გაგრძელდა კამათი ცენტ. გამგეობის მუშაობის გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო ბევრმა დელეგატმა.

ხ.

ჩვენი პროფუჯრედების მუშაობის გაჯანსაღებისათვის

იმ მიზნით, რომ ჩვენი პროფუჯრედები (ფაბრ-ქარხკომების და ადგილკომების) მუშაობა გაცხოველებული და გაჯანსაღებული ყოფილიყო საკავშირო მასასთან მჭიდრო დაკავშირებით და ამ უკანასკნელის საკავშირო მუშაობაში უშუალოდ ჩაბმით, როგორც ვიცით, ჩატარებული იქნა გაერთიანებულ და რაიონულ პროფუჯრედების დეცენტრალიზაცია, მათი ხელახალი გადარჩევა და შემადგენლობის გადახალისება. საკავშირო მასა უმაღლეს პროფორგანოთა სახელმძღვანელო ცირკულიარებით და მომართვებით მოწოდებული იყო დანიშნულ ახალ არჩევნებში მიეღო მხურვალე მონაწილეობა; პროფუჯრედების მუშაობის არც ერთ ნაკლზე მას არ უნდა აერიდებია თვალი; მას უნდა გამოეჩინა უაღრესი ობიექტივობა და მიუდგომლობა პროფუჯრედების მუშაობისადმი და სათანადო განაჩენიც გამოეტანა.

სინამდვილეში სამწუხაროდ, ბევრგან ეს ასე არ მომხდარა. ყველგან, სადაც მათი არჩევნები მოხდა, გამოქონდათ შაბლონური, თითქმის არაფრის მთქმელი რეზოლიუციები: „ფაბკომის ან ადგილკომის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად“. ზოგიერთ დაწესებულებაში კი დამაფიქრებელ ჰიპერბოლაშიც (გადაჭარბებაში) ვარდებოდენ ამხანაგები როდესაც ფაბკომის მუშაობას სცნობდენ „ფრიად დამაკმაყოფილებლად“ და მასთან ერთად აღიარებდენ მისი დეცენტრალიზაციის და მისი შემადგენლობის გადახალისების და გადარჩევის აუცილებლობას.

აქ ძალაუნებურად ისმება საკითხი—ეს ამხანაგები ნამდვილად პროფშეგნებით უდგებოდნენ თუ არა მათ წინაშე დასმულ საკითხებს.

წარმოიდგინეთ; თქვენს მუშაობას სცნობენ „ფრიად დამაკმაყოფილებლად“ და მასთან ერთად თქვენს ნაცვლად ირჩევენ სხვას და შლიან იმ ორგანიზაციას იმ სახით, სადაც თქვენ მართლაც „ფრიად დამაკმაყოფილებლად“ მუშაობდით.

ამ შაბლონურ ფრაზებში და მექანიურ არჩევნებში სწორედ დამარხული უნდა ყოფილიყო ის „ძაღლის თავი“ იმ უაქტივობა-პასივობის და ინერტიანობის, რომელიც ჯერ კიდევ ახასიათებს ჩვენ საკავშირო მასას და რომელიც, სამწუხაროდ, საძირკვლად, ძალაუნებურად, დაედვა „გადახალისებული“ ადგილკომების მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ დაწესებულებაში, სადაც მუშაობს კავშირის 25 წევრი, დაარსებულია ადგილკომები და მათი მუშაობა შრომის სახკომატის უკანასკნელ დადგენილებით ძალზე განტვირთულია და შემცირებული, მაინც ამათი მუშაობა წინათ არსებულ გაერთიანებულ ადგილკომების მუშაობა-აქტივობის (უკეთეს შემთხვევაში) არ აღემატება 15—20 პროცენტს.

სრულიად არ არსებობს ან ძალზე მოიკოჭლებს მათში კულტმუშაობა; მუშათა პროფესიონალურ და ეკონომიურ ინტერესების დაცვაზე თითქმის ლაპარაკიც ზედმეტია; ისინი ვერ ხელმძღვანელობენ შრომის დაცვის და შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიების მუშაობას და სხ. და სხ..

რა არის მიზეზი ამ „გადახალისებული“ და „დეცენტრალიზაცია“ ქმნილი ადგილკომების უმოქმედობა-უუნარიანობისა? ასეთ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს: 1) პროფესიონალურად მომზადებულ მუშაკთა სიმცირე და მათი ამ რეორგანიზაციის გამო ასეულ ადგილკომებში დაქსაქსვა; 2) ადგილკომების მდივნები მუშაობენ შეთავსებით მათთვის შესაფერ ხელფასის მიცემის შეუძლებლობის გამო ადგილკომში მუშაობისათვის. ამიტომ ადგილკომების მუშაობას ხმარდება ძალიან მცირე დრო, რის გამო ძალიან მცირეც კეთდება, (მეტი რომ არ ვსთქვათ).

მასისთვის ასეთ „პროფმუშაკებს“ ნაკლებად სცალიან და მასთან დაახლოვების და დაკავშირების ნაცვლად, შესაძლებელია, მათ მთლად მოაშორონ ესენი პროფუჯრედებს და სამუდამოდ მოაძულონ ისინი.

ამიტომ საჭიროა ეს საკითხი მომავალ საქ. პროფკავშირთა ყრილობაზე კვლავ დაისვას, გადაისინჯოს, იქნეს ყოველ მხრივ გაშუქებული და იქნეს გამოტანილი სათანადო დადგენილებაც.

სხივი.

დაზღვეულთა საექიმო დახმარება ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის სამპროფბიურომ მოისმინა ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების დაზღვეულთა ქვე-განყოფილების გამგის ამხ. ვეკუას მოხსენება. მან აღნიშნა, რომ ქვე-განყოფილების მის მიერ ჩაბარების დროს სამაზრო აღმასკომი თავის ხარჯზე ათავსებდა საავადმყოფოში დაზღვეულებს. ისინი, აგრეთვე სარგებლობდენ ამბულატორიულ ექიმობითა და წამლებით. აღმასკომის დახმარების გარდა დაზღვეულებს ეძლეოდა დახმარება დამზღვევ სალაროდან მიღებულ ანარიცხებით. როგორც ქალაქში, ისე მაზრის მრავალ ადგილას შეძლებით ფაბრიკებთან დაქარხნებთან და ადგილკომებთანაც დაარსებულია საექიმო პუნქტები. ქ. ხონში კბილის ექიმის დაქირავებამ გამოიწვია საგრძნობი ხარჯები. ამას გარდა კიდევ ბევრი ხარჯები დაგვაწვა. ამის გამო დამზღვევ სალაროდან მიღებულ თანხებით ვერ ვფარავთ ხარჯებს. დაზღვეულს როცა ერთი ექიმი გასინჯავს ავადმყოფს იგი არ კმაყოფილდება მით და მიჰყავდა მეორე, მესამე და მეოთხეც. ყველას აწერიებს წამლებს. ეს ჩვენ სალაროს შესამჩნევად ეტყობა. მაგალითად დაზღვეულებისთვის გასულ წელში თუ ჩვენ გვეხარჯებოდა 3.000—3.500 მან., წელს ხარჯი—6000—6500 მან. აღწევს. წელს სახელმწიფო წამლეულობის სავაჭროს (საქმედვაჭრობა) ვალი 8.900 მან. გვაქვს. ავადმყოფებისათვის საჭირო წამლების გამოტანასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ რაიონულ ექიმებს გაუდიდდათ ავადმყოფების გასასინჯი გასამრჯელო.

ეხლა აღმასკომი უარზეა თავის ხარჯზე მოათავსოს ავადმყოფები. თავის თავად ცხადია, რომ თუ აღმასკომმა უარი სთქვა დაზღვეულ ავადმყოფების მოთავსებაზე, ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი ხარჯებით ამ საქმის მოგვარებას.

გვექნება დიდი დეფიციტი. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა წამლების გაცემის სხვანაირი წესი, რაიონული ექიმების შემცირება და სხვა ღონისძიებანი. თუ ეს გავატარეთ, მაშინ ხარჯებს გაუძლებთ. მოხსენების გარშემო დიდი კამათი გაიმართა. სამპროფბიურომ კი მიიღო შემდეგი დადგენილება:

შემუშავდეს წამლების გაცემის სხვა წესი, რათა ავადმყოფებს პირველი დახმარება ეწეოდეს ამბულატორიაში.

2) არსებული საექიმო რაიონების სისტემის შეცვლა დაუშვებლად იქნეს ცნობილი;

3) წინადადება მიეცეს ქუთაისის დამზღვევ ქვე-განყოფილებას გადასინჯოს თავისი შტატი;

4) ავადმყოფებმა, თუ აუცილებლად საჭირო არ არის არ უნდა მოიყვანონ მეორე ექიმი;

5) გაიმართოს მოლაპარაკება ქუთაისის აღმასკომის პრეზიდიუმთან, რომ მან დაზღვეულებს შემდეგშიაც გაუწიოს დახმარება.

ქუთათური

პროფმუშ. ქრონიკა

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში

ბინის ახალი ქირის შესახებ

ამხ. ელიკო ფანცხავას თავმჯდომარეობით შემდგარმა პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გაარჩია საკითხი ბინის ახალი ქირის შესახებ.

ამხ. ელბაქიანმა გააცნო პრეზიდიუმს ეს საკითხი. თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ ბინის ახალი ქირის საკითხი უკვე დამუშავდა განსაკუთრებულ კომისიაში. ბინის ახალი ქირის პროექტი უკვე შედგენილია. ამ პროექტით საშუალოდ ბინის ქირა უნდა გადიდდეს 25 პროც. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ამ საკითხის დაწვრილებით განხილვა. მან, **ამხ. ელბაქიანის** ხელმძღვანელობით, გამოყო კომისია **ამხ. ფანცხავას, ბაბაჯანოვის, ნარიმანოვის და ბუაძის** მონაწილეობით.

აჭარისტანის მთავარ საავადმყოფოს დავალიანება

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი აჭარისტანის ჯანსახკომის მთავარ საავადმყოფოს 8.600 მან. დავალიანების შესახებ—და საჭიროდ სცნო ეს დავალიანება დაფაროს საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ, აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატმა და რესპ. სოცდაზღვევის სამმართველომ.

პურის საცხობ ქარხნის შესახებ

სურსათ - გემოვნების კავშირის ცენტრ. გამგეობამ მოისმინა საკითხი ქ. თბილისში პურის საცხობ ქარხნის მოწყობის შესახებ.

როგორც ცნობები იყო, საკავშირო კომისართა საბჭომ ათი მილიონი მანეთი გადასდო და საჭიროდ სცნო კავშირის ყველა ცენტრებში დაარსდეს პურის საცხობი ქარხნები. ერთ-ერთ ცენტრად თბილისია მიღებული. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ათი მილიონიდან დახმარებას მიიღებენ.

დასასვენებელი სახლის დამთავრება. სურსათ—გემოვნების მუშაკთა კავშირმა ააშენა ბორჯომში მუშათა დასასვენებელ სახლსა, რომელიც უკვე დამთავრდა. კავშირის ც.-გ.-მა აირჩია კომისია სახლის ჩასაბარებლად.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** თბილისის ფარგლებში სურსათ—გემოვნების მუშაკთა კავშირში ირიცხება 403 უმუშევარი კავშირის წევრი.

— **კოლექტიური ხელშეკრულების დადება.** სურსათ—გემოვნების მუშაკთა კავშირმა დასდო კოლექტიური ხელშეკრულება თამბაქოს ტრესტთან. თანრიგისთვის მიღებულია 18 მ. 50 კ. ხელშეკრულება ტარდება ცხოვრებაში პირველ ნოემბრიდან.

— **სამხედრო ორკესტრი კავშირისთვის.** სურსათ — გემოვნების პროფკავშირთა დადგენილებით შე კეთებული იქნება კავშირის სასულე ორკესტრი. ორკესტრში ჩაეწერებიან მუშები.

თბილისის საბჭოს სექციებში

კომუნალური სექცია

ბინის საკითხი და ბინის ქირა

გუშინ საღამოს ექვს საათზე შესდგა კომუნალური სექციის მორიგი სხდომა.

განსახილველი იყო საბინაო საქმის მდგომარეობა თბილისში. მომხსენებლად ამ საკითხზე გამოვიდა უძრავ ქონებათა სამმართველოს გამგე ამხ. ბაბუნაშვილი, რომელმაც სექციის წევრებს გააცნო საცხოვრებელ ბინების რაოდენობა, ბინების საშინელი სივიწროვე აგრეთვე ბინის კრიზისის დასაძლევად მიღებული ზომები, კოოპერატიული, კომუნალური და კერძო მშენებლობა და აგრეთვე სხვა პრაქტიკული ღონისძიებანი მოხსენების. ამხ. ბაბუნაშვილის მოხსენების შინაარსი დაწვრილებით მოთავსებულია ჩვენი გაზეთის 15 იანვრის ნომერში, სადაც გამოქვეყნებულია სექციათა ბიუროების გაერთიანებული სხდომის ანგარიში.

ახალი საბინაო ტარიფის პროექტის მიხედვით ქირა წესდება მხოლოდ საცხოვრებლად გამოსადეგ მოედანზე—განზრახულია დერეფანი, ვანის ოთახი, საპირფარეშო ანგარიშში არ შევიდეს.

ქირა წესდება თვითეულ კვადრატიულ არშინზე. მუშა-მოსამსახურეები ქირას იხდიან იმისმიხედვით, თუ რამდენია მათი თვიური ხელფასი.

ისინი, ვინც 20 მანეთამდე ღებულობენ თვეში, იხდიან 1,5 კაპეიკს, 20—30 მანეთამდე 2,5 კ., 30—40 მან., 3,5 კ., 40—50 მანეთამდე 5 კაპ., 50—60 მანეთამდე 6 კაპ. 60—70 მან. 7 კ., 70—85 მ. 8,5 კ.. 85—100 მანეთამდე 11 კ., 100—125, მან. 13 კ., 125—150 მან. 15 კაპ., ისინი, ვინც 150 მანეთზე მეტს იღებენ, იხდიან ყოველ კვადრატ. არშინზე 15 კაპეიკს და დამატებით კიდევ თითო კაპეიკს ყოველ ათ მანეთზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის და განხილვის შემდეგ, პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

სახალხო განათლების სექციაში

სახალხო განათლების სექციის 18 იანვრის მორიგ სხდომაზე დასმული იყო სამი საკითხი: 1) სექციის მუშაობის გეგმა, 2) სასწავლო გეგმა 1926 წლისათვის და 3) კავშირთან დადებული კოლექტ. ხელშეკრულების განხილვა.

პირველ საკითხზე მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ამატუნიმ, რომელმაც სექციას გააცნო ის ამოცანები, რომელიც უნდა შესრულებულ იქნეს მიმდინარე წელს სექციის მიერ. სხვა სამუშაოებს შორის გეგმაში შედის პოლიტგანათლების და სხვა სასწავლო დაწესებულებათა გამოკვლევა.

925—26 წლის სასწავლო გეგმის შესახებ საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ქალაქის სკოლების ინსტრუქტორი ამხ. კ. ბერიძე. განათლების განყოფილების მიერ გამომუშავებული გეგმით ოთხწლედებში ყოველ ჯგუფის ხელმძღვანელები ყველა საგნებში მინდობილი აქვს ერთ მასწავლებელს. შემდეგი საფეხურია სკოლებში—7 წლედებში კი შემოღებულია მტკიცე საგნობრივი სწავლება. ამავე საფეხურის სკოლაში შემცირებულია ზოგიერთი საგნების გაკვეთილების რიცხვი და შემცირებულ გაკვეთილების ხარჯზე გადიდებულია იმ საგნების გაკვეთილების რიცხვი, რომელიც მეცადინეობისათვის უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

უკანასკნელი მოხსენება, რომელიც გაკეთებულ იქნა იმავე ამხანაგ კ. ბერიძის მიერ, შეეხებოდა განათლების მუშაკთა კავშირის მიერ განათლების განყოფილებასთან დადებულ კოლლექტიურ ხელშეკრულებას, რომლის ძალით დაწესებულია გაკვეთილების მტკიცე ნორმა საგნების მასწავლებლებისათვის. რაც შეეხება ხელფასს, მიმდინარე სამსწავლო წლიდან შემოღებულია ახალი შეფარდება 1 : 9 თან 9 მანეთი მინიმუმი. ამ ტარიფით მასწავლებელთა ხელფასი დიდდება 25 პროცენტით;

მოხსენება სექციამ მიიღო ცნობათ.

ინვალიდთა არტელები

ამჟამად თბილისში არსებობს ინვალიდთა 21 არტელი, მათ შორის საწარმოო და შრომის არტელია 15, სასადილო—3, შერეული და საწვრილმანო—4 და 5 სავაჭრო.

მარტო-ერთ არტელში (პაპიროსების გამყიდავთა არტელში) ირიცხება 180 ინვალიდი.

დაიწყო არტელების ხელახალი აღრიცხვა და გაწმენდა, რის შემდეგ არტელებისათვის შემუშავდება ახალი წესდება. ხელახალი რეგისტრაცია დამთავრდება თებერვლამდე.

არტელების მოქმედებაზე კონტროლის გაწევის მიზნით, არტელებს ეკრძალებათ სამეურნეო ორგანოებიდან საქონლის დამოუკიდებლად შეძენა. საქონლის შეძენა არტელს შეუძლიათ მხოლოდ არტელების საბჭოს ნებართვით.

მუშათა ცხოვრება

მუშკოოპთან

(მუშის შენიშვნა)

პლეხანოვის პროსპექტსა და კირკის ქუჩის კუთხეში ხალხი ბუზივით ირევა.

მუშკოოპის მაღაზიის ფართე ვიტრინები გაჭრელებულია სხვადასხვა ძვირფასი საგნებით.

მუშა გივი ქესატაშვილი უძრავად სდგას და დაღონებული შეჰყურებს ვიტრინას.

— ბიჭო, გივი, აქ რას უდგეხარ?!—შენიშნა გამვლელმა ამხანაგმა.

— მაშ, რა ვქნა, შიგ ხომ ვერ შევალ!—უპასუხა გივიმ.

— რატომ ვერ შეხვალ? შენ მუშა ხარ და ეს ხომ მუშათა კოოპერატივია.

— ეჰ!—უკმაყოფილოთ დაიქნია გივიმ. იქ, ჩემო ძმაო, მუშებისათვის თითქმის არაფერია შესაფერისი! მუშას რად უნდა ეს „დუხები“, ეს ძვირფასი ჰურჭელი, ეს „შოკოლად-მარმალადები“... აბა, ისეთ რამეს დაადე აქ ხელი, რომ ჩემი ნახევარი თვის ჯამაგირი ეყოს მას!

გივის სიტყვების სინამდვილეში დარწმუნებულმა ამხანაგმა არაფერი სთქვა, ნაღვლიანად გაიქნია თავი და გზას გაუდგა.

გივი კი განაგრძობდა ყელ-ყელაობას; ის შურით შეჰყურებდა მაღაზიაში მყოფ მორთულ-მოპრანჭულ ხალხს და იძახდა თავისთვის:

— ნეტა, რად ეძახიან „მუშათა კოოპერატივს“, როდესაც აქ მუშებისათვის ნაკლებად მოიპოვება რამე! რას იყიდის აქ მუშა?

გივიმ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა უსიამოვნო ღიმილით შეხედა შესავალ კარების თავზე, სადაც უზველებელი ასოებით ეწერა: „მუშკოოპი“, და გზას გაუდგა.

— მუშკოოპო, მუშკოოპო!—გაჯავრებული იძახოდა გივი, როდის მოგვცემ მუშურ-გლეხურ საქონელს?!

მუშა ნიკო ასლ-ლი.

დაგვინიშნეთ მუშა-მატარებელი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შეწყდა სადგურ ტყიბულიდან მაღაროებამდის მატარებლის მიმოსვლა. ამ გარემოებამ ტყიბულის მაღაროების მუშა - მოსამსახურეებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. ზამთრობით დღით მიდიოდა მაღაროებში მატარებელი; ეხლა კი სადგურ ტყიბულში რომ გადის ღამით. მაღაროების 1.050 მუშა-მოსამსახურეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაღაროებში სამგზავრო მატარებლის მიმოსვლას. სადგურ ტყიბულიდან მაღაროებამდის 5 ვერსის მანძილია. ეს მანძილი მუშებმა ღამეში უნდა გაიარონ ზამთარში და ისიც ტყიბულში...

მატარებლის მიმოსვლა, მგონია, იმიტომ იქნა შეწყვეტილი, რომ გზები დაზიანებულია და ღამე შეუძლებლად სცვნეს მატარებლის მიმოსვლა. მე ვფიქრობ, რომ ეს არ ჩაითვლება საკმარის მიზეზად, თუ მუშა-მატარებელი, რომელსაც 12-13 ათასი ფუთი ნახშირი მოაქვს, დღეში დადის სამი, ნუ თუ ერთი სამგზავრო ვაგონის სიმძიმე დაანგრევს გზებს და აუცილებლად მარცხი მოვა?

საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საწარმოო დარგი ტყიბულის მაღაროებია, და აქ მომუშავე მუშებს უნდა გაეწიოთ ანგარიში.

მით უმეტეს, მაღაროს მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობა არის ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებნი და ყოველ დღე სახლებში მიდიან.

მათთვის კი დიდი საშუალება იქნებოდა მატარებლის დანიშვნა ისევ იმ პირობებში, როგორც ზაფხულში იყო.

მართალია ისიც, რომ ხანდისხან შუა კვირაში ცოტა მგზავრი იქნება, მაგრამ ამას გააბათილებს შაბათ-კვირეზე მოგზაურობა მუშებისა და მატარებელს შემოსავალიც ბევრი ექნება. ამით რკინის გზაც ისარგებლებს და ტყიბულის მაღაროების მუშებსაც გული გაუკეთდებათ იმაზე, რომ მათ მოთხოვნილებას გაუწია რკინისგზამ ანგარიში.

გ. ხუციბერიძე.

ჩვენ მუშკორებში

13 იანვარს, საღამოს 5 საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგა საერთო კრება „კომუნისტი“-ს მუშკორებისა, ამხ. გ. მალაშხიას თავმჯდომარეობით. კრების თავმჯდომარე, სხვათა შორის, შეეხო „მუშათა ცხოვრების“ განყოფილებას და განაცხადა, რომ მოკლე მომავალში გაზეთ „კომუნისტი“-ს ტეხნიკური პირობების გაუმჯობესების გამო „მუშათა ცხოვრების“ განყოფილებასაც საკმაო ადგილი დაეთმობა და მუშკორებს ეძლევათ მეტი საშუალება, რომ მოათავსონ მეტი წერილები.

განსაკუთრებით მუშკორებს ევალებათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში, როგორც მაგალითად, სოცდაზღვევის კამპანია რომელიც უნდა გაშუქებულ იქნეს მუშათა პრესაში. აგრეთვე მუშკორი უნდა იყოს თვალი და ყური წარმოებებში როგორც დადებითი მხარეების გასაშუქებლად, ისე უარყოფითისაც, რომ შევძლოთ საერთო საქმის მოწესრიგება. ასეთი საკითხები კი დღეს ბევრია ადგილობრივ,—როგორც მაგალითად, შრომის დაცვა, სპეცტანისამოსი, კოლექტიური ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლების შეუსრულებლობა, კულტურული მუშაობა და სხვ.

საჭიროა, რომ ყოველი მუშკორი გარკვევით და მარტივად სწერდეს იმ საგანზე, რომელიც აღნიშნულია წერილში. ეს კი გამოიწვევს მუშკორების მიერ გაცხოველებულ მუშაობას გაზეთის ფურცლებზე საჭირბოროტო საკითხების ხშირ-ხშირად გასაშუქებლად.

მუშკორი ყ—ნი.

გვიპასუხეთ, რამდენად კანონიერია?

(განათლების კომისარიატის და განათლების მუშაკთა პროფ-კავშირის საყურადღებოთ).

ზესტაფონის რკინის გზის სასწავლებლის გამგე ბ-ნი ანანია გოგუაძე, როგორც სჩანს, მეტად დიდი მადის ადამიანი ყოფილა. საქმე შემდეგშია: ბ-ნი გოგუაძე გამგეობისა და სხვა თანამდებობისათვის თვეში ღებულობს 111 მანეთზე მეტს. მასთან მას აქვს იაფ-ფასიანი და საუკეთესოდ მოწყობილი სახაზინო ბინა; იაფი გათბობა და განათება და სხვა მრავალი პრივილეგიები იმ დროს, როდესაც ამავე ქალაქში არსებულ სხვა სასწავლებელთა გამგეები ღებულობენ თვეში 70 მანეთამდე და არავითარი პრივილეგიებით ისინი არ სარგებლობენ. ქართული ანდაზაა: „ვენახ სოფელი უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო“-ო და სწორედ ბ-ნი ანანიაც ამ ანდაზას მიჰყვებოდა, როდესაც მან ასეთი „ულტიმატუმი“ დაუყენა პედაგოგიურ საბჭოს: (პედაგოგიური საბჭო ამისთვის ნუ გაცხარდება): „მე ეს ჯამაგირი არ მყოფნის და ოთხ-წლედის პირველი ჯგუფი უნდა მომცეთ“-ო. პედაგოგიური საბჭოც „მიზანშეწონილად“ (ალბად ძალაუნებურად) სთვლის მის ულტიმატუმს და როგორც „გამოცდილ მასწავლებელს“ (ვითომ ისეთ გამოცდილ მასწავლებელს ვერ იშოვნიდენ), აბარებს მას პირველ ჯგუფს, რისთვისაც ის ღებულობს განსაკუთრებულ ჯილდოს 46 მანეთს თვეში, მაგრამ ეს (111 მ.+46 მ.) თანხაც მას არ ყოფნის და კიდევ შემოსავლის სხვა წყარო უნდა გაიჩინოს და მიმართავს შემდეგ საშუალებას: სასწავლებელში არის შტატის ადგილი საქმის მწარმოებლის, რომლის თვიური განაკვეთი უდრის 28 მანეთს, მაგრამ თუ თვითონ გამგემ გამოიწერა ჯილდო საქმის წარმოებისათვის მხოლოდ 50 პროც. ერგება, ე. ი. ამ შემთხვევაში 14 მანეთი და მას კი უნდა ეს 28 მანეთი მთლიანად დასცინცლოს ხაზინას და საქმის მწარმოებლად ჯამაგირების ფურცელში ასახელებს თავის ცოლს, შორაპნის რკინის გზის სასწავლებლის მასწავლებელს ოლღა გოგუაძისას, მხოლოდ არა გოგუაძის გვარით, არამედ ზედგინიძის გვარით (ქალწულობის გვარია).

გვკითხებით ნუ თუ დასაშვებია: 1) სკოლის გამგეს, რომელიც ადმინისტრატიულ და საერთო პედაგოგიურ საკითხებს უნდა აწესრიგებდეს, რისთვისაც მას აქვს ჯილდო 111 მანეთზე მეტი, კიდევ განსაკუთრებული ჯგუფი ჰყავდეს იმიტომ, რომ მას ჯამაგირი არ ყოფნის.

ტვერელი კოწია.

ბიუროკრატიზმის კიდევ ერთი ხერხი

ეს კიდევ არაფერი. ამაზე უფრო დიდ ბოროტმოქმედებათ ზოგიერთ დამქირავებელთ უნდა ჩაეთვალოს ასეთი შემთხვევები, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მაგრად იკიდებს ფეხს: ვსთქვათ, ამ გართულებულ და ჯოჯოხეთური „გამოცდების“ შემდეგ მუშა ან მოსამსახურე ცნობილ იქნა ვარგისად და ის უკვე ჩაირიცხა შტატის სამსახურში მუდმივ მომუშავედ. გადის რამოდენიმე თვე, ზოგჯერ წელიც და ზოგიერთი გაბიუროკრატებული ადმინისტრატორები რაღაც „პირადი ინტერესებისა და შეხედულებისა გამო“ ხელახლად აღიარებენ ამა თუ იმ მოსამსახურეს საქმისადმი გამოუსადეგრად. ან და „პოლიტიკურად არა სანდოდ“ და ითხოვენ სამსახურიდან შრომის დაცვის და პროფორგანოების დაუკითხავად.

ზოგიერთ ადმინისტრატორების ამგვარ თვითნებობას საზღვარი არა აქვს.

ხშირად ეს ბიუროკრატები არც კი ასახელებენ იმას, თუ რაში გამოიხატება მუშის ან მოსამსახურის უვარგისობა—გამოუსადეგრობა და აძლევენ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს კატეგორიულ წინადადებებს მისი მოხსნის დაკანონება-დადასტურებისათვის. სამწუხაროდ, ის ხშირად იღებს კიდეც ჩვენი მუშფასკომების (განსაკუთრებით მათი მუშათა ფრაქციისა) გამოუცდელობა-სისუსტისა გამო ასეთი უკანონო მოქმედების დაკანონებას.

ამგვარად ზოგიერთ ჩვენ დაწესებულება-წამოწყებაში ფეხს იკიდებს ძველი დროის საზიზღარი და სამარცხვინო ბიუროკრატიზმი, რაც ა.-კ. შრომის სკითხების გარშემო მოწვეულმა თათბირმა აღნიშნა და სასტიკად განკიცხა.

საჭიროა მისი დადგენილება გატარებულ იქნას ცხოვრებაში.

საჭიროა ბრძოლა ამ ბოროტებასთან

ყოველ დამქირავებელს, რომელიც მუშას, ან მოსამსახურეს ითხოვს „უვარგისობისა“ და „პოლიტიკურად უნდობლობისა“ გამო, უნდა მოეთხოვოს შრომის დაცვის ორგანოებიდან და სასამართლოს წესით დახასიათება და დამტკიცება მის მიერ წამოყენებული ბრალდებისა.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღეკვეცოს ფრთები ამ გაავთორებულ და უსაზღვრო თვითნებობას და დრაკონიული „სამართლიანობას“ თუ მართლა არ გვსურს მუშათა თვალში, დავსცეთ შრომის დაცვის ორგანოების და შრომის კანონების პრესტიჟი..

ასეთ ჩინოვნიკურ თვითნებობას კი ამათ, ვინც ამას სჩადიან, უნდა ჩაითვალოს შრომის კანონმდებლობის წინააღმდეგ ფარულ პროვოკაციად და უნდა იქნენ მიცემული პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც ცილისმწამებელნი და შრომის კანონების ბოროტად გამომყენებელნი.

დინამიტი.

მოგვაშორეთ ეს უსაქმო ხულიგანები

(მე-4-ხე უბნ. კომისარ. საყურადღებოდ)

დიდი ხანია, ვითმინეთ, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი უდევს. ძალიან შეგვაწუხეს ამ უსაქმო ხულიგანებმა თავიანთი ყოფა-ქცევით. სურფუნიშანის ქუჩაზე და მის ახლო მახლო ალაგებში თავი მოუყრიათ ვიღაც ახალგაზრდებს. გახდება ღამის 8 საათი თუ არა, დაწანწალობენ ისინი აღმა-დაღმა; ისინი დაყოფილი არიან ჯგუფებად, მღერიან მაღალი ხმით სხვადასხვა სიმღერებს; იგინებიან უშვერი სიტყვებით. ამ ქუჩაზე ვეღარ გაუვლიათ ქალებს მათი შიშით. ვინ იცის, რას არ ჩადიან ღვინით გალეშილები. სწორედ შეუძლებელია სურფუნიშანის ქუჩაზე მცხოვრებმა, რომ ოთახში რამე იმეცადინოს, მთელი ღამე ძილი არა გვაქვს. ეს ხულიგანები ღამის 1-ლ საათამდის იკლებენ იქაურობას. არა ერთხელ მივმართეთ მათ თხოვნით, რომ გაენებებიათ თავი ასეთი სისაძაგლისთვის, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან „თქვენ ვინა ხართ? თავისუფლებაა და დროს ვატარებთ. რა დროს ძილია 11 და 12 საათზეო“, აი ამ ავარების პასუხი. მეეზოვეები და დარაჯები დაშინებული ჰყავთ.

მილიციავ, ალაგმე ეს ავარები!

მუშკორი ხა—ვაძე.

[illegible]

— **ამ გაჭირვებულ ოჯახს უნდა დაენიშნოს პენსია.** ა.—კ. რკინის გზაზე კონდუქტორის თანამდებობაზე მსახურობდა ამხ. გეგუჩაძე, რომელიც სრულიად მოულოდნელად მოჰყვა მატარებლის ქვეშ და გარდაიცვალა. მას დარჩა ობლად წვრილი ცოლშვილი, რომელთაც არ გააჩნიათ ცხოვრების არავითარი სახსარი. საქართველოს გასაბჭოებამდე მათ ეძლევოდათ პენსია, გასაბჭოების შემდეგ, მათ გზას ვერ მიაგნეს და პენსიას ვეღარ იღებენ.

საჭიროა მუშის გაჭირვებულ ოჯახს მიეცეს დახმარება. იგი ღირსია ამგვარ დახმარების.

მუშკორი გონიერი.

— **მგზავრებს ჯარიმა დაადვეს.** სადგურ ჯავახეთსა და სამტრედიას შუა არის ბაქანი „დაფნარი“. უკვე რამოდენიმე თვეა, რაც სამტრედიის მცხოვრებს ახდევინებენ-სულზე 25 კაპეიკს. წინეთ კი ახდევინებდენ 12 კაპეიკს. გლეხების ასეთი დაჯარიმება ყოვლად დაუშვებელია მაშინ, როდესაც სამტრედიამდის ბილეთი ღირს მხოლოდ 16 კაპეიკი.

საჭიროა ეს საქმე გამოძიებულ იქნეს და ზომებიც იქნეს მიღებული ამ უკანონო ჯარიმის მოსასპობად.

მუშკორი ნიერი.

— **ალაგმეთ ეს განებივრებული და თავხედი ვინმე.** შხეიფის ქუჩაზე სახლი №8-ში ცხოვრობს რკინის გზის მუშა ამხ. ივანე კორაშვილი. ამხ. კორაშვილი უბინობის გამო საშინელ მდგომარეობას განიცდიდა და იგი იძულებული იყო სახლის პატრონისთვის მიეცა ხელწერილ ქვეშ თვიურად ბინის ქირად ხუთი მანეთი. ჯამაგირს კი ამხ. კორაშვილი იღებს მხოლოდ 39 მან და 50 კაპ. სახლის პატრონი სასტიკად ავიწროებს ამხ. კორაშვილს.

დროა ბოლო მოეღოს მუშის წვალებას.

მუშკორი სხივოსანი.

მუშათა ქრონიკა

— **სამკითხველოს გადახალისება.** ფინსახკომის ადგილკომმა დაავალა კულტკომისიას სამკითხველო შეავსოს ახალი წიგნებით.

— **ინვენტარის გადაგზავნა.** ყველა ის ინვენტარი, რომელიც არ სჭირდება საქართ. ფინსახკომს, ადგილკომმა დაადგინა გადაგზავნოს ბორჯომის დასასვენებელ სახლში.

— **ჯამაგირები მოემატათ.** საქართ. ფინსახკომის თანამშრომლებს ახალი ტარიფით მოემატათ ჯამაგირი. 15—25 პროცენტით.

— **მიიღეს შეშის შესაძენად ფული.** სამითვის სესხის სახით საქართ. ფინსახკომის თანამშრომლებმა მიიღეს შეშის შესაძენად ფული ცოლშვილიანებმა 30 მანეთი და უცოლოებმა კი 15 მანეთი.

— **მუშათა მწერლების კრება.** 17-ს იანვარს კვირას დილის 10 საათზე პლეხანოვის კლუბში, მუშათა მწერლობის კორპორაციის დაარსების მიზნით, შედგება მუშა-მწერალთა კრება. სასურველია დაესწრონ ყველა მუშა-მწერლები.

ტყავ-ტრესტის ფაბკომში

— **კედლის გაზეთის მეტი მასალების მოგროვების მიზნით.** ტყავ-ტრესტის ქარხანის კულტ-კომისიამ დაადგინა დაიდგას მასალების ჩასაყარი ყუთი.

— **წერა-კითხვის უცოდინართა წრეში.** ვინაიდან ტყავ-ტრესტის ქარხნის წერკუმსის წრეში არ დადიან სამეცადინოდ წერა-კითხვის უცოდინარები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წრის-დაშლა, კულტ-კომისიამ მიიღო ზომები, რომ წრეში დადიოდეს მეტი რიცხვი, წერა-კითხვის უცოდინარებისა.

— **ელ-სადგურის გამზეთავებმა.** ერთი წლის წინად ჩააბარენ მემანქანეებმა გამოცდა, და უნდა გადარიცხულიყვენ მე-7-დე თანრიგში მაგრამ ისინი არ გადაურიცხავენ, ტყავ-ტრესტის ფარკომმა სთხოვა ადმინისტრაციას საჩაროდ მოაგვაროს ეს საკითხი.

— **შტემპელი** რკ. გზის უბნის ორგ-თათბირმა დაადგინა შეძენილი იქნა 80 ცალი შტემპელები, საწევრო გადასახადისთვის შემდეგი წარწერით: „გადახდილია“.

— **საწევრო გადასახადის აკრეფა.** რკ. გზის უბნის კავშირის ორგ-განყოფილებამ დაადგინა 1 იანვრიდან საწევრო გადასახადების აკრეფა მოხდეს პირადი ბარათებით.

— **ადგილკომების ხარჯების დაფარვა.** ყველა რკ. გზის დარგების ადგილკომების ხარჯები, ახალი ადგილკომების არჩევნებამდი დაფარული იქნება ძველი წესებით.

— **მიეცა თანხა.** ლენინის სახელობის კლუბის „სპორტ-ზალას“ მიეცა ასი მანეთი, სამკითხველოს და ანტროპომეტრიული კაბინეთის შესაკეთებლად.

ა. კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროში

— **დაზღვევის თათბირი.** იანვრის დამლევს განზრახულია დაზღვევის თათბირის მოწვევა, სოციალური დაზღვევის საკითხების დასამუშავებლად. თათბირზე მონაწილეობის მისაღებად მიწვეული [illegible] მები.

— **დამზღვევ სალაროების** [illegible]. საგზაო კომიტეტის მიერ გამომუშავებული მდგომარეობა დამზღვევ სალაროების შესახებ ამჟამად გადაცემული აქვს შეთანხმებისათვის საგზაო პროფესიონალურ კავშირს.

— **სავალდებულო დაზღვევის ტარიფი.** ვინაიდან ძალზე გაძლიერებულია დაავადმყოფება მუშებისა ქობულეთის კარიერში, საგზაო დამზღვევ სალაროს განზრახვა აქვს შემოიღოს დაზღვევის სავალდებულო ტარიფი.

— **ინსცენიროვკები.** საგზაო დამზღვევმა სალარომ გამოსცა კრებული საინსცენიროვკო სასამართლოებისა ისეთ მუშებზე, რომლებმაც უკანონოდ მიიღეს დახმარება დამზღვევ სალაროდან. ეს კრებული დაეგზავნათ საბჭოთა კავშირის საგზაო დამზ- [illegible] საგან მიღებულია კიდევ მოთხოვნილება რამდენიმე ცალზე.

„ავიაქიმი“-ს საქალაქო კონფერენცია

მე 2 სხდომა

ამხ. აბაშიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დროს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა აღნიშნეს მუშაობის ნაკლი: მავნე კომერციული გადახრა. პრეზიდიუმ ს შემადგენლობის ხშირი ცვლა, ქართულ ენაზე საჭირო ლიტერატურის უქონლობა, გამომცემლობის მოუწესრიგებლობა, გლეხთა და წითელ არმიელთა შორის მუშაობის სისუსტე. მაგრამ ამ ნაკლულოვანებათა გვერდით აღნიშნეს ის დიდი მუშაობაც, რომელიც პრეზიდიუმს, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათ, მაინც შეუსრულებია.

კონფერენციამ პრეზიდიუმის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. მომავლისათვის კი აუცილებელ საჭიროებად აღიარა აღნიშნულ დეფექტების აღმოფხვრა.

კონფერენციას პირველ რაიონულმა საბჭომ მიუძღვნა ჰაეროპლანის მოდელი.

თათბირი უპატრონო ბავშვების შესახებ

შაბათს, 15 იანვარს ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი უპატრონო ბავშვთა მფარველობის საკითხების მოსაწესრიგებლად.

საინფორმაციო მოხსენება წაიკითხა ამხ. **მარიამ ორახელაშვილმა**, რომელმაც თათბირის მონაწილეთ გააცნო უპატრონო ბავშვების მფარველი საორგანიზაციო კომისიის მუშაობა.

4 წლის განმავლობაში სახ. განათლების სახკომატის სოციალურ აღზრდის განყოფილებას მოუხერხებია ეპატრონებია, ქუჩის ჩამოეშორებია და სკოლაში და ბავშვთა თავშესაფარებში გაეწესებია 5 ათასი უპატრონო ბავშვი. მიუხედავათ ამისა უპატრონო ბავშვთა რიცხვი ქალაქში არ კლებულობს და მასიურ ხასიათს იღებს, რადგან დღითი დღე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან თბილისს ემატება ახალ ახალი ჯგუფები; რომელთაც შეჩერება მოუხერხებელი ხდება. განათლების სახ. კომისარიატმა მიიღო ზომები ბავშვების სამშობლოში დასაბრუნებლად, მაგრამ არავითარმა ღონისძიებამ არ გასჭრა. გაგზავნილი ბავშვები რამდენიმე დღის შემდეგ გზიდან უკანვე ბრუნდებიან თბილისში.

იმ ბავშვების მდგომარეობა, რომელნიც მოწყობილნი არიან ბავშვთა სახლებში, სავსებით დამაკმაყოფილებელია. ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან როგორც სასმელ-საჭმელით, ისე ტანსაცმელით და ბინებით. სახლების შენახვა დაკისრებული აქვს სახალხო განათლების კომისარიატს.

რაც შეეხება „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოებას, იგი ვერ შესძლებს დამოუკიდებლათ ბავშვთა მფარველობას და უპატრონობის აღმოფხვრას.

დასასრულ არჩეულ იქნა ბავშვთა უპატრონობის სალიკვიდაციო კომიტეტი და კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან საქ. პროფსაბჭოს, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა სახალხო კომისარიატების წარმომადგენელნი. კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ფილიპე მახარაძე.

თათბირმა დაავალა განათლების სახალხო კომისარიატს სასწრაფოდ დაამუშაოს და წარუდგინოს საორგანიზაციო კომისიას ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის პროექტი და მუშაობის გეგმა.

საბჭოთა სასამართლო

დღეობა, რომელმაც შეიწირა ერთი ოჯახი

სასამართლო დარბაზში სამოქალაქო მოსარჩლის გვერდით ზის შავებში გახვეული ახალგაზრდა ქვრივი. მისი გატანჯული სახე და ცრემლებით დამწვარი თვალები მოწმობენ, რომ დიდი უბედურება გადახდენია თავს.

საბრალდებლო სკამზე თავჩაქინდრული ზის 24 25 წლის ახალგაზრდა, რომლის სახეზე წაიკითხავთ სინიდისის ქენჯნას.

— ბრალდებულო განჯელოვო,—ეკითხება სასამართლოს თავმჯდომარე ბრალდებულს,—უამბეთ სასამართლოს, როგორ მოხდა ეს უბედური შემთხვევა,

— ეს მოხდა 1925 წ. 27 ივლისს. ჩვენ ამხანაგები, სიკო, კოლა და სხვები, სულ 9 კაცი, წავედით საქეიფოდ ს. წინანაურში, სადაც იმ დღეს საეკლესიო დღეობა იყო. თან წავიღეთ საჭმელ-სასმელი და გავშალეთ სუფრა კრწანისის ბაღში. კარგად დავითვერით. ჩვენს გარდა ბევრი სხვა ხალხიც იყო. საღამოს დაახლოვებით 9 საათზე ავიშალეთ და მოვდიოდით ქალაქისაკენ. გზაში ნაქეიფარ ხალხს ჩხუბი მოუვიდა. მე ვერც კი ვერკვეოდი, ვინ ვის ეჩხუბებოდა. ჩავერიე ჩხუბში გასაშველებლად. ვეცადე გამეშველებია, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ამოვიღე რევოლვერი და მინდოდა ამით დამეშინებია მოჩხუბრები, მაგრამ ამ დროს რევოლვერზე ხელი მტაცა ჩემმა ამხანაგმა ზუკაკაშვილმა. რევოლვერი გავარდა და ზუკაკაშვილი სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა იქვე. მე ამაში დამნაშავეთ ვგრძნობ თავს.

ბრალდებული ჯდება და ისევ თავს ჩაღუნავს.

იწყება მოწმეების დაკითხვა. მოწმეების უმრავლესობას შეადგენენ წინანაურობაში საქეიფოდ ნამყოფი „ძმა-ბიჭები“. ისინი ადასტურებენ ბრალდებულის ჩვენებას.

ზუკაკაშვილის ქვრივი, რომელიც შეეგუებია თავის ბედს, სხვას არაფერს მოითხოვს გარდა ნივთიერი ზარალის ანაზღაურებისა. ლაპარაკობს თავის გაჭირვებაზე, თავის უსახსრობაზე.

სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად.

გ.

ესიკოვის საქმე

უზენაეს სასამართლოს საკასაციო ინსტანციის დადგენილებით გუშინ კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო ტრიბუნალში მეორედ გაირჩა ფულის გამფლანგველ ესიკოვის საქმე.

ბრალს სდებდა პროკურორი ლიუბიმოვი. ესიკოვმა—კავკასიის წითელდროშოვან არმიის საბაზისო საწყობის უფროსმა გაფლანგა 1061 მანეთი.

სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა ესიკოვს 3 წლის ციხე და უფლებების წართმევა 2 წლით.

ნ.

ქრონიკა

ალმასკომში

— **მთავარ გამასწორებელ სახლთან** აბანოს შესაკეთებლად ალმასკომმა გადასდო 5.000 მან.

— **კომუნალურ წარმოებებზე** დეკემბერში ალმასკომმა დახარჯა 999,346 მანეთი.

— **ტრამვაის მუშაობა.** დეკემბრის განმავლობაში ტრამვაის ვაგონებით გადაყვანილი იქნა 3,680,484 კაცი, ნოემბერთან შედარებით 350 ათასი კაცით მეტი.

ზაჰესკომში

— **უფასო მგზავრობა.** ზაჰესკომმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა ა/კ. რკ. გზა სამმართველოს წინაშე, რათა ზაჰესის მუშებს მიეცეთ უფასოთ მგზავრობის საშუალება გორის მიმართულებით.

— **მცხეთის ხიდი.** ზაჰესკომმა საზ-ბა „გომზა"-ს დაავალა მცხეთის ხიდის აგება.

— **ზაჰესკომმა** წინადადება მისცა საზ. „სტროიპუტს" ამა წლის 15 თებერვლამდე დაამთავროს თავის თავზე აღებულ ზაჰესის საგზაო მშენებლობა.

საქონლის ჭირთან ბრძოლა

— **ჭირი იხპობა.** მიწსახკომ. კომისარიატის სავეტერინარო განყოფილების ცნობით ამჟამად მთელ საქართველოში საქონლის ჭირით დაავადმყოფების შემთხვევა საგრძნობლად შემცირდა.

— **ტაბახმელის ხაზრატე** სადგურისათვის საქონლის ჭირთან მებრძოლ ცენტრალურ კომისიამ შეიძინა 35 ხარი.

— **დუშეთის მაზრას** მიწსახკომ. სახ- კომისარიატმა საქონლის ჭირთან ბრძოლის გასაძლიერებლად გადაუგზავნა 119 ლიტრა შრატი.

სატყეო ტრესტში

— **ტრავერზების დამუშავება.** სატყეო ტრესტი შეუდგა რკინისგზისათვის 180 ათას ცალ ტრავერზის (შპალის) დამზადებას.

— **სატყეო მრეწველობის ტრესტმა** გადასწყვიტა გააძლიეროს სატყეო მრეწველობა ტყიბულის რაიონში.

სოც. დაზღვევის სამართველოში

— **საქ. დამზღვევ სალაროთა კონფერენცია**, სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით, შესდგება გაზაფხულზე.

— **წყალტუბოში** დასასვენებელ სახლის ასაგებათ სოც. დაზღვევამ სამმართველომ გადასდო 43,315 მანეთი.

— **დახმარება დაზღვეულებს.** გასულ თვეში თბ. დამზღვევმა სალარომ დაზღვეულებს მისცა 60,772 მან.

— **დროებით შრომის** უნარდაკარგულებს დეკემბერში მიეცათ დახმარების სახით 90,166 მან.

სხვადასხვა

— **ფერად ლითონების აღრიცხვა.** ვინაიდან ფერადი ლითონების დიდი ნაკლებობაა, ამიერ-კავკასიის საფონდო კომისიამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ კომისიებს, აღრიცხონ ფერადი ლითონები, რომლებსაც შეიცავენ ძველი, უვარგისი ზირბაზნები და აგრეთვე დახურულ ეკლესიების და მონასტრების ზარები.

— **მუშათა საბინაო-საამშენებლო** კოოპ. ამხ-ბას, დამხმარე კომიტეტმა გადასცა 5.000 მანეთი დიდუბე'ა და ნაძალადევში მუშათა სახლების საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლად.

— **ა/კ. უმაღლესმა ეკონომიურმა** საბჭომ დაადგინა გააძლიეროს ა/კავკასიის ნედლეულის მომზადებელ საზ-ბის ძირითადი თანხა.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა წრის მუშაობა ამხ. ერისთავის ხელმძღვანელობით.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 21 იანვარს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების მორიგი კრება—მოხსენებები: 1) ქირ. დოქტ. ა. წულუკიძე—ამიერ-კავკასიის დოსტაქართა ყრილობა ბაქოში, 2) ექ. ი. ასლანიშვილი—ჩიყვი სვანეთში, 3) ინფორმაციული მოხსენება ახალი წესდების დამუშავების შესახებ.

შემთხვევები.

— **დაკარგვა.** 3 იანვარს სოფ. წაგკისის მცხოვრები კომკავშირელი სანდრო სოსოს ძე დორეული წამოსულა თბილისს სამუშაოთ ხერხით, და დღემდის სახლში არ დაბრუნებულა.

— **შეპყრობა.** 18 იან. შეიპყრეს ვინმე იაკობაშვილი ქურდობისათვის.

— **ქურდობა.** 18 იან. დღით მიხეილის ქ, № 171. ქეთევან კვანტალიანის ბინიდან მოიპარეს 120 მან, ნივთები.

— მე-14 სპორტის დარბაზიდან 15 იან. მოვარჯიშეებს მოპარეს ტანისამოსი.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

სახელმწ. აკადემიური დრამა „გმირი"

16 იანვარს ქართ. აკადემიური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნა ირლანდიელ მწერლის ჯონ სინგის სამ მოქმედებიანი დრამა „გმირი".

ამ სეზონში პირველად მიდის ეს პიესა.

ჩვეულებრივად განმეორებულ პიესების დადგმაში ჩვენ მსახიობებს აშკარათ ემჩნევათ ხოლმე რაღაცა გულგრილობა, უხალისობა და ხშირად როლის დავიწყებაც კი. ამის ნიმუშს წარმოადგენენ „სინათლე" და „ინტერესთა თამაში".

სრულიად წინააღმდეგ სურათს გვიხატავდა 16 იანვრის წარმოდგენა „გმირი". თვითეული მსახიობი ისეთი მოხდენითა და უნარით ასრულებდა თავის როლს, თითქოს ამ პიესაში პირველად სცდიდეს თავის ნიჭს და სცდილობს, რაც შეიძლება სრული და საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვოს მაყურებელში.

თამარ ჭავჭავაძისთვის ერთი შერჩეული როლთაგანია პეკინის როლი. წმინდა სოფლური იერი, გამბედავი და პირდაპირი ქცევა, მიამიტი ხასიათი და მიწის გულიდან აღმოცენებული იდეალიზაცია, რომელიც თანდაყოლილი თვისებაა სადი, მაგრამ ჯერ სავსებით გამოუცდელ არსებისა. ყველაფერი ეს—თამაშის თავისებური და ლამაზი დეტალიზაციით საუცხოვოთ გადმოგვცა თამარ ჭავჭავაძემ. გარეგნობაც თითქოს საგანგებოთ უწყობს ხელს ამ როლისათვის და ამგვარად იქმნება ყოველმხრივი სისრულე.

არა ნაკლები ხალისითა და ნამდვილი არტისტული უნარით ჩაატარა შონკის როლი დ. მჟავიამ, მთელი არსებით ჩაჩრჩულა, რომელსაც ასულდგმულებს უარაქათო შური და ზიზღი კრისტისადმი და უმწეო სიყვარული პეკინისადმი—ფსიქოლოგიურად დაკვირვებული და მჭერმეტყველური ნიუანსებით გადმოგვცა დ. მჟავიამ.

გ. დავითაშვილი თავისი რამდენიმეთ ატაცებული ტემპერამენტით და თანაც სცენიური დახელოვნებით ჩვეულებრივათ ღირსეულად ასრულებდა კრისტის როლს.

კარგები იყვნენ ნ. დავითაშვილი კრისტი მეგონის როლში და ნ. გოციძე—მოხუც მეგონისაში.

ნამდვილის დახელოვნებით ასრულებდენ მეორეხარისხოვან როლებს დონაური, შავიშვილი, გამრეკელი, ტოროტაძე. უეჭველად უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობი საროიმელიძე თავის პატარა, მაგრამ დამახასიათებელ როლში.

მთელი ანსამბლი იშვიათი ხალისიანი და ხელშეწყობილი იყო, რასაც არ მოველოდით ამას წინეთ განახლებულ პიესების მაგალითებით.

ლელი.

ხელოვნების ქრონიკა

— **ბეთხოვენის საღამო.** შაბათს 23 იანვარს კონსერვატორიის დარბაზში მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართება ბეთხოვენის საღამო ნინა ვალის მონაწილეობით.

— **ალ. მაისურაძის** სახ. მომღერალთა გუნდმა დაიწყო ახალ მოწაფეების მიღება. გუნდში ქალ-ვაჟთა ჩაწერა სწარმოებს კვირაობით საღ. 6 ს. (ელისაბედის ქ. № 17.)

— **მიგაი და სტეფანოვა თბილისში.** თებერვალში ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვლენ მომღერლები მიგაი და სტეფანოვა, რომლებიც იმღერებენ მთელი თებერვლის განმავლობაში ოპერის თეატრში.

— **რუსთაველის თეატრში** წარმოდგენა სომხურ ენაზე.

— **კამერულ თეატრში** დღეს მხიარული წარმოდგენა—საღამო გ. ვრონსკის მონაწილეობით.

— **მომღერალ დანელიანის საღამო** გაიმართება ხვალ „ჰაირატუნში".

— **ვიქტორ დოლიძის მუსიკის საღამო** გაიმართება დღეს ოპერის თეატრში. დირიჟორობს მ. პავლოვ-აზანჩეევი.

— **ჰაირატუნში** 25 იანვარს გაიმართება მოწაფეთა საჩვენებელი საღამო.

— **„ფერადი მოთხრობები".** დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა ჯ. ჯორჯიკიას წიგნი: „ფერადი მოთხრობები".

— **„ჩაილდ-ჰაროლდი".** სილოვან ხუნდაძემ სთარგმნა ბაირონის პოემა „ჩაილდ-ჰაროლდი".

— **სახ. მომღერალთა გუნდი.** ალ. მაისურაძის ლოტბარობით ახლო ხანში გამართავს სახალხო კონცერტებს.

— **თბილისში ჩამოვიდა** დირიჟორი მ. პავლოვ-აზანჩეევი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ვიქტორ დოლიძის საღამოში.

— **„დარიალი".** ჟურნალი „მნათობის" ალმანახის „დარიალის" რედაქცია აცხადებს თანამშრომლების საყურადღებოთ, რომ მეორე ნომრისთვის მასალები უნდა წარმოდგენილი იქნას არა უგვიანეს 25 იანვრისა.

დღეს კინოებში.

— **აპოლო**—„ვინ არის დამნაშავე".

— **ხოლეი**—„ვინ არის დამნაშავე".

— **არფასტო**—„ვინ არის დამნაშავე".

— **მინიონი**—„ყვითელი პრინცი".

— **პალასი**—„რომანი კოშკში".

ბიბლიოგრაფია

ჟურ. „კომუნისტის თანამგზავრი". ს. ქ.

პ. (ბ.) ცკას, თბილ. კომ. და პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს ორგანო. 1925 წლის იანვარი, № 2.

ჟურნალის ეს ნომერი გამოვიდა 1905 წლის რევოლიუციის იუბილეს დღეებში. ამ საკითხის შესახებ რედაქცია იძლევა ორ წერილს. პირველი ეკუთვნის ამხ. ლენინს, სადაც ის იძლევა რუსეთის პირველ რევოლიუციის შეფასებას. ამ წერილს, რომელიც ამხ. ლენინმა დასწერა ემიგრაციაში ყოფნის დროს (1905 წ. იანვარი), პარტიის აქტივი, როგორც ვფიქრობთ, საკმაოდ კარგად იცნობს და მაზე არ შევჩერდებით.

მეორე წერილში, რომელიც ეკუთვნის ამხ. კ. გორდელაძეს, აღწერილია ის პირობები, რომელმაც მიიყვანა ყოფილი პეტერბურგის პროლეტ. ცნობილ „სისხლიან კვირამდე". წერილში მოცემულია სოც.-დემ. პარტიის ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა დახასიათება 1905 წლამდე და მათი როლი პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების დაჩლუნგებაში. ავტორი დაწვრილებით ჩერდება ლეგალურ მარქსიზმის და ეკონომიზმის წარმოშობა განვითარებაზე. ის იხილავს აგრეთვე ზუბატოვშჩინა და გაპონოვშჩინას სახელწოდებით ცნობილ მუშათა პოლიციურ ორგანოების მუშაობას და ასკვნის, რომ: „გაპონობა არ წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ მოძრაობას, პოლიციის „აზროვნების" საკუთარ შემოქმედებას, არამედ ის მომზადდა ყველა წინა დროინდელ ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა ზეგავლენით".

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ამხანაგი გორდელაძე შეჩერებულიყო სოც.-დემ. პარტიის რევოლიუციონურ ნაწილის იმ დროინდელ მოღვაწეობაზე და მის დამოკიდებულებაზე გაპონის და ზუბატოვის ორგანიზაციებისადმი. თორემ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ იყო [illegible] პროლეტარიატი, იყო პოლიტიკური საზოგადოებები და მათი მკვებავი ოპორტუნისტული მიმდინარეობანი და ყოველივე ამას მოჰყვა, როგორც ლოღიკური დასკვნა 9 იანვრის ტრაღედია.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ სოც.-დემ. ბოლშევიკურ ფრთის ორატორები თავგამოდებით ებრძოდენ ზუბატოვშჩინა - გაპონოვშჩინის გავლენას მუშათა წრეებში, რომ ამ ფრაქციის ორატორები სისხლიან კვირის შაბათ დღეს ჩატარებულ წინასწარ კრებებზე გამოდიოდენ და აფრთხილებდენ მუშებს არ გადაედგათ სახიფათო ნაბიჯი.

ამ ორი წერილით თავდება 1905 წლის რევოლიუციის განყოფილება. მას მისდევს საბჭოთა აღმშენებლობა. აქ მოთავსებულია ამხ. დ. აფციაურის წერილი: „დემოკრატიულია თუ არა მიმდინარე არჩევნები". სამწუხაროთ სათაური არ შეესაბამება წერილის შინაარს. საკითხი კი ერთობ საინტერესო და თანადროულია; რადგან ბევრისათვის ის გაურკვეველია.

ამხ. აფციაურის მიერ დასმულ საკითხს შეეხო, სხვათა შორის, თავის სიტყვაში ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობაზე ამხ. მამია ორახელაშვილი. მან აქ ისეთი აზრი გაატარა, რომ ჩვენ ვანხორციელებთ დემოკრატიზმს, მაგრამ არა ყოველ პირობების და შეზღუდვის გარეშე. ჩვენი არჩევნები და მართვა-გამგეობის სისტემა უაღრესათ დემოკრატიული უნდა იქნენ, მაგრამ ეს უნდა იყვეს მშრომელთა და არა საყოველთაო დემოკრატიზმი, როგორც ეს ესმის ყოველ სახის წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს და მათ რიცხვში მენშევიკურ პარტიას. იმას კი, ვინც ჩვენს დემოკრატიზმს რევოლიუციის კეთილდღეობის წინააღმდეგ გამოიყენებს, ჩვენ მოუძებნით შესაფერის ადგილსო.

საჭირო იყო, რომ ამხ. აფციაურს მოეცა ამ საერთო დებულების კონკრეტი განმარტება და მისი ცალკე მაგალითებით დასაბუთება. ავტორი თავის წერილში იძლევა საყურადღებო ცნობებს წარსული არჩევნებიდან და იძლევა პრაქტიკულ ხასიათის რჩევა-დარიგებებს მომავალ არჩევნებისათვის, მაგრამ პასუხს არ სცემს მის მიერ დაყენებულ კითხვას.

ამხ. აფციაურის წერილს მისდევს ამხ. ბზეკალავას სადისკუსიო წერილი მოძრავ პოლიტ-ცოდნის სკოლების შესახებ და ორი ავტორის თ. მახარაძის და კ. გ. წერილები ამავე თემაზე. სამივე ავტორები იხილავენ საყურადღებო საკითხებს. წერილებში ლაპარაკია პოლიტ-ცოდნის სკოლათა მეთოდიკის, მეცადინეობის დროის განსაზღვრის და ამ დროის საუბრების მიხედვით დაყოფაზე, სამოსწავლო გეგმის გამომუშავებაზე და პოლიტ-ცოდნის გავრცელების საქმის სხვა საჭირ-ბოროტო კითხვებზე.

საყურადღებოა ამხ. მალცევის წერილის გაგრძელება, რომელიც მიდის ამ ნომერში საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გეგ-გვარების" სათაურით. ავტორი აქ არჩევს მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია უქმეების და იუბილეების საკითხი. ამხ. მალცევი ეხება უქმეებისა და დღესასწაულების სიმრავლეს. რესპუბლიკანურ და საერთაშორისო უქმეებს ერთვის ადგილობრივ ხასიათის უქმეები. ყოველივე ამას არევ-დარევა შეაქვს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გეგმაშეწონილობაში და უშლის ხელს მის ნაყოფიერებით წარმოებას.

„უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, ამბობს ავტორი, ის შეხედულება, რომ ზოგიერთი იუბილეები ყოველ წლივ კი არ აღინიშნოს, არამედ ხუთ ან კიდევ ათ წელში ერთხელ". ამხ. მალცევის აზრით „უნდა შემცირდეს აგრეთვე ადგილობრივი ხასიათის იუბილეები".

ჟურნალში მოთავსებულია ხელმოუწერელი წერილი: „როგორ უნდა მოემზადოს აგიტატორი", სადაც კონკრეტ მაგალითზე მოცემულია პრაქტიკული ხასიათის საყურადღებო რჩევა-დარიგებანი. რედაქციას მოუსწრია აგრეთვე მე-14 პარტყრილობის შეფასების მოცემა. საჭირო იყო ამ წერილში, რომელსაც ხელს აწერს ამხ. დ. გ., უფრო მეტი ყურადღების მიქცევა ოპოზიციის მიერ დასმულ საკითხებისადმი და მათი უფრო ფართო და ამომწურავი განმარტება.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე საერთაშორისო მიმოხილვა, ამხ. სტალინის „ლენინიზმის სემინარის პროგრამა", ამხ. ი. ბუხიძის წერილი: „კოოპერაცია და სოფლის მეურნეობა" და „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა" ამხ. მ. ც. ხელმოწერით.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალში იშვიათია კორექტურული შეცდომები, რაც ჩვენ პერიოდულ გამოცემების დამახასიათებელ ნაკლს წარმოადგენს. საერთოდ ნომერი მდიდარია შინაარსით და ყველა აქტიურ კომუნისტისათვის საყურადღებო საკითხებს იხილავს.

ბ. ა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად

ძირითადი სამრეწველო საგნების სიმცირე საქართველოს ბაზარზე მოითხოვს სასტიკი თვალყურის დევნებას როგორც ამ საგნების შემოზიდვისა, ისე მომხმარებელთა შორის მათ წესიერათ განაწილებაზე. ჩვენი ბაზრის გეგმაშეწონილად მომარაგების მიზნით შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია მტკიცეთ იქნეს გატარებული ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიება.

1) გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო საგნების შემოზიდვის უფლება მინიჭებული აქვთ განსაზღვრულ ორგანიზაციებს, რომელთაც უშუალოდ შემოაქვთ ხსენებული საგნები კავშირის სამრეწველო რაიონებიდან. ადგილობრივ სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს კი უფლება არა აქვთ შემოზიდონ მოწესრიგების გეგმაში შეტანილი სამრეწველო საგნები, შინავაჭრობის კომისარიატის ნებადაურთველად. ხსენებული ორგანიზაციებს უფლება აქვთ სამრეწველო საგნების შემოზიდვისა გეგმის გარეშე.

2) გეგმის მიხედვით შემოზიდული სამრეწველო საგნების ბითუმად და ნახევრად ბითუმად რეალიზაციის უფლება საქართველოს ფარგლებში როგორც საერთო წესი, მიკუთვნებული აქვს როგორც შემომზიდველ ორგანიზაციებს, საკავშირო ტრესტის, სინდიკატების და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების განყოფილებებს, საგენტოებს და კონტორებს, ისე რესპუბლიკანურ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს.

3) რესპუბლიკანურ კოოპერატიულ შენაერთს უფლება აქვს ბითუმად და ნახევრად ბითუმად გაასაღოს ძირითადი სამრეწველო საგნები მხოლოდ ძირითად კოოპერატივებზე.

4) იმ მიზნით, რომ ბაზრის მოთხოვნილება გეგმაშეწონილად იქნეს დაკმაყოფილებული—და ამასთან კოოპერატიული ორგანიზაციებიც უკეთ იქნენ მომარაგებულნი ძირითადი სამრეწველო საგნებით,—მეორე მუხლში აღნიშნული ორგანიზაციები ხსენებული საგნების რეალიზაციის დროს ვალდებულნი არიან სავსებით დაიცვან შინა-ვაჭრობის სახკომის დირექტივები და ინსტრუქციები ამ საგანზე.

5) რათა საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი ბანკების სავაჭრო ოპერაცია დაექვემდებაროს შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოს სამომწესრიგებლო ხელმძღვანელობას, ხსენებული ბანკები ვალდებულნი არიან საქონლის გაცემის დროს მტკიცედ დაიცვან დაწესებული სათანადო პროპორცია და პირობები საქონლის გაცემისა კერძო ბაზარზე.

6) ვინაიდან ძირითადი კოოპერაციის უშუალო ამოცანას შეადგენს ფართო მოთხოვნილების საგნებით მომხმარებელთა უზრუნველყოფა, ამიტომ ძირითადმა კოოპერაციამ მხოლოდ და მხოლოდ საცალო ვაჭრობა უნდა აწარმოოს.

7) კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ბითუმად და ნახევრად ბითუმად გაყიდვა ძირითადი სამრეწველო საგნებისა კერძო ბაზარზე სასტიკად აკრძალულია.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი იქნება არა ფართო მოხმარების საგნების საბითუმო რეალიზაცია კერძო ბაზარზე, კოოპერატიულ ორგანოებმა ასეთი ოპერაცია აუცილებლად შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოს უნდა შეუთანხმონ.

8) შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველო აწესებს საბითუმო და ნახევრად საბითუმო და საცალო გაცემის ნორმას შემდეგ ძირითად საქონელზე: ფქვილი, შაქარი, ფართლეულობა, მარილი და ასანთი. ხსენებული ნორმა აღნიშნული საგნების შემდეგია:

დასახელება	საბითუმო	ნახევრ. საბით.	საცალო.
1. ფქვილი	10 ტომარზე მეტი	1-დან 10 ტომ.	1 ტომრამდე
2. შაქარი	5 ტომარზე მეტი	21 გირ-დან 5 ტომ.	20 გირვანქამდე
3, ფართლეულობა:			
ა. ბამბეული.	2 ათ. მან. ზევით	1—თოფიდან 1 ათ. მან.	ნაჭრობით
ბ. სელის	2 ათ. მან. ზევით	11—თოფიდან 1 ათ. მან.	ნაჭრობით
გ. მაუდის საკამვ.	2 ათ. მან. ზევით	1—თოფიდან 2 ათ. მან.	ნაჭრობით
4. მარილი	50 ფუთიდან 1 რონოდამდე	5 ფუთიდან 50 ფუთამდე	5 ფუთამდე
5. ასანთი	101 ყუთიდან 1—რონოდამდე	1 ყუთიდან 100 ყუთამდე	1 ყუთამდე

9) რათა მიზანშეწონილად და წესიერად იქნეს განაწილებული შემოზიდული ძირითადი სამრეწველო საგნები საქართველოს ყველა რაიონებს შორის, შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოს მიერ შემუშავებულ იქნა ხსენებული საგნების ცალკე რაიონების მიხედვით განაწილების სპეციალური გეგმა რომელიც ამასთანავე გეგზავნებათ.

10) სამრეწველო საგნების შემოზიდვისა და რეალიზაციის გეგმის სავსებით შესრულების მიზნით—ძირითად შემომზიდველ ორგანიზაციებს და ამ საგნების გამტარებელ ორგანოებს ევალებათ ფხიზლად ადევნონ თვალყური ხსენებულ საგნების, როგორც შემოზიდვის, ისე ცალკე რაიონებათ განაწილების გეგმის მტკიცედ შესრულებას.

ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ბაზრის მოწესრიგებისათვის,—შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო წინადადებას აძლევს ყველა ძირითად შემომზიდველ ორგანიზაციებს, სამმართველოს წარმომადგენლებს აჭარისტანსა და აფხაზეთში და აგრეთვე ყველა სამაზრო აღმასკომებს თვეში ერთხელ არა უგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა, სისტემატიურად წარმოუდგინონ სამმართველოს სათანადო ცნობები გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სამრეწველო საგნების ცალკე რაიონებათ განაწილების გეგმის შესრულების შესახებ.

ამ ცირკულიარის მიღება დაგვიდასტურეთ.

ა-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **გამყრელიძე.**

საქმეთა მმართველი **აბესაძე**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თ. კ. ალმრიცხ.—განმანაწ. განყ. სთხოვს, დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ამხ. ლორთქიფანიძესთან შემდეგი ამხანაგები: წალკის თ-მის ალმასკომის თავმჯდ. ახუნდოვი მამედ. ბახტაძე ვლ., კარაპეტოვი გრ., და გორბაჩოვი მ.

— დღეს, 7 საათზე, პროპაგანდისტის კურსებზე, რუსულ ენაზე შესდგება მორიგი ლექცია „ლენინიზმის საფუძვლები და სრ. საკავშირო კომპარტიის ისტორია.

— მეორე რაიკომის საგ.—საპროპ. განყ. იუწყება: დღეს, 20 იანვარს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება რაიშეფბიუროს სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის.

მიხაილოვა, ოთიაშვილი, კოვირთაგინი, ენუქიძე, მეგრაბიანი, მჭალობლიშვილი ბარხუდაროვი, ფერაძე, ედიგაროვი, ახკაროვი, ორჯონიკიძე, ზაბაშტა. ფარნიევი ვას.

მდივანი **ფანცულაია.**

— სახელმწ. უნ. ახ. ლენ. კ. კ. ბიურო კოლექტივი. ამით აცხადებს ყველა უჯრედების წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს 21 იანვარს დილის 4 საათზე შესდგება გაერთიანებული უჯრედების კრება.

განცხადებები

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა ადგილკომი, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე დაწესებულების ადგილობრივ ფინანსების ქვეგანყოფილების გამგის, დაუღალავ საზოგადო მოღვაწის ყველასათვის საყვარელ

გრიგოლ ივანეს ძე

გველესიანის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება სამშაბათს და ოთხშაბათს, საღამოს 6 საათ. საკუთარ ბინაზე აკ. წერეთლის ქ. № 3 (ყოფ. განოვის). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1 1227

ღრმად დამწუხრებულნი პეტრე ლუარსაბის ძე მემარიაშვილი დედით ავდოთი მემარიაშვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს რომ 17 იანვარს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი სიძე

გრიგოლ ივანეს ძე

გველესიანი

სამოქალაქო პანაშვიდი ხუთშაბათს 6 საათზე აკაკი წერეთლის ქუჩა (ყოფილ განოვის ქუჩა № 3 ბინა 18) გამოსვენება იმავე ბინიდან პარასკევს 22 იანვარს დიდუბეში საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

1—1 ქვ. 1216

კვირას, იანვრის 17 შუადღის 12 საათზე ქ. თბილისში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე

გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას განსვენებულის მეგობრები და ამხანაგები. სამოქალაქო პანაშვიდი ხუთშაბათს, იანვრის 21-ს საკუთარ ბინაზე (განოვის ქ. № 3) საღამოს 6 საათზე. გამოსვენება პარასკევს, იანვრის 22 დილის 11 საათზე. დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბე)

2—1 № 1223

---

23 იანვარს, შაბათს, შუადღისას, სოფ. ხრიალეთში (გურიაში) მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი წლისთავზე დაუვიწყარი

ვასასი მაქსიმე ჩხაიძის ასულის

ქირიას

მოსახსენებლად, რასაც ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობთ გლოვაში და სევდაში მყოფნი: მეუღლე გრიგოლ ბუძგას ძე ქირია, შვილები: ბაჩუ და გერონტი, მწუხარე დედა ელისაბედ ჩხაიძე და ძმები: დები, რძლები, სიძეები, ძმისწულები და დისწულები უდროვოთ დაკარგულის ვასასისა

1—1 № 629

ქართველ მუსლიმანთა კულტურულად დამხმარე კომიტეტი საზოგადოებას მწუხარებით აუწყებს კომიტეტის წევრის და საზოგადო მოღვაწის

გრიგოლ ივანეს ძე

გველესიანის

ნ. 630 უდროოთ გარდაცვალებას. 1—1

თავზარდაცემული უბედური მეუღლე გიორგი, შვილები: ვასო, ვერა, ქეთო, გვტია და თამარა, შვილიშვილი გიგუკა გუგუაშვილები, გიორგი და ცოტნე ლეჟავები, ძმა სოსიკო და რძალი ანიკო მერკვილაძეები შვილებით: ბიძინათი და ელიკოთი; სიძეები: კოტე მაჭავარიანი და ვასილ ასათიანი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასი და საყვარელი ადამიანის

მაკრინე მერკვილაძის ასულის გუგუაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ქვაშვეთის ეკლესიაში საღამოს 6 საათზე. გამოსვენება მიცვალებულისა ქვაშვეთის ეკლესიიდან ოთხშაბათს, საღამოს 4 საათზე, თბილისის რკინისგზის სადგურზე. ცხედრის დაკრძალვა მოხდება სოფ. ლახუნდარას, შორაპნის მაზრაში, კვირას 24 იანვარს.

1—1 1213

გულდათუთქული შვილები ტუტუნა და გოგი გუგუნავები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, დაუვიწყარი და ერთად-ერთი პატრონი—საყვარელი დედიკო

მარიამ გუგუნავასი

რომლის დასაფლავება მოხდება 21 იანვარს—ხუთშაბათს ქ. სამტრედიაში.

1210 1—1

ანა გიორგის ასული, ეკატერინე [illegible] ასული, [illegible] ძე, მარიამ სვიმონის ასული და მიტო ბაქრაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის იანვრის 16-ს გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველის შვილიშვილი, მეორების დის შვილი და უკანასკნელის მამიდაშვილი

დათიკო სოხაძე

გამოსვენება მოხდება იანვრის 21-ს ხუთშაბათს დღის 3-ნახ. საათ. ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დასაკრძალავათ. საკუთარი ბინიდან მთაწმინდის ქუჩ. № 13.

ქვ. 1222 1—1

ღრმად დამწუხრებული კოწია ქავთარაძე, სერიოჟა ბახტაძე, სიმონიკა შარაშიძე, ვალენტინ დუმბაძე, არკადი სიამაშვილი, დათიკო მემარიაშვილი და გენადი აბულაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ამხანაგი

დათიკო გიორგის ძე

სოხაძე

დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის სასაფლაოზე, ხუთშაბათს 21 იანვარს 3-ნახ. საათზე. მთაწმინდის ქ. № 13.

1226 1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა/წ. 28 იანვარს, დღის 12 საათზე, უკანასკნელის მიერ ინიშნება ხსენებულ სამმართველოს საფარის ეზოში კამოს ქუჩა № 28

საჯარო ვაჭრობა

ორი ცხენის გაყიდვის შესახებ.

1. ერთი ცხენი ფერად შავი ეტლისათვის 4 წლის
2. მეორე წითელი ტვირთის საზიდად 8 წლის

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე ზაჰესკომის სამასალო ნაწილში, ლ. დუმბაძის ქუჩა № 3 (ყოფილი ველიამინოვის)

1—1 632

დღეს საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის
ა ხ ა ლ ი ს უ რ ა თ ი
რეჟისორი ალ. წუწუნავა
ოპერატორები (ვ. ენგელსი (ს. ზაბოზლაევი
აპოლო არფასტო ხოლეი
ვინ არის დამნაშავე?
(მხედარი შალდ ვესტიდან)
ერთსაღამოს მხოლოდ 2 სეანსი
პირველი სეანსი დასაწყისი 5 ს. 45 წ
მეორე " " 9 საათზე
შეღავათიანი ბილეთები გაუქმებულია
ბილეთების ფასი: აპოლოში, 35-დან—80 კაპიკამდე ხოლეიში—40—კაპ-დან—85 კაპ-დე, არფასტოში—60 კაპ დან—80 კაპ-დე ნ. 609 0—2

რუსთაველის თეატრი:
ხუთშაბათს, 21 იანვარს
წარმოდგენილი იქნება
დეზერტირკა
ნ. 628 1—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო. აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი აცხადებს, რომ ის 23 იანვარს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 34 სურპსარქისის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის აბასგაჯი-გუსეინ ოღლი ბაგიროვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 1600 მანეთად სტალინგრადის ქარხნის „წითელი ზასტავა" ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 იანვრის 1926 წ. თარიღით № 54 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1—1 № 1221

ელექტრონით და სინათლით
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
სხივოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყარაღანოვის ქ. № 20.

ხუთშაბათს, 21 იანვარს, 4-ნახ. საათზე მუშკოოპის სავაჭრო განყოფილება ნიშნავს განმეორებით

საჯარო ვაჭრობა

30,000 ფუთ ყინულის ჩაბარებაზე, რომელიც საჭიროა მისი საყინულეების ამოსავსებათ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ იმ პირებს, რომლებიც შემოიტანენ მუშკოოპის სალაროში წინდაწინ 200 მან. საწინდარს.

ნ. 616 1—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და სღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდა მეორე სახლი. 25—1

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღ. დ 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტთა კორპ. ეკან.

ავადმყოფების მიღებას პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე
ალიხანის ქუჩა (ყოფილი მიქლოს.) № 33,
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე ს. ს. ქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს. დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32. 25—1

ექიმი თოდაძე
ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა [illegible] ბის თანამედროვე მეთოდებით და სხვ.) ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.
დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამდ ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისათვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 3.

ექიმი გ. მ. ფხაკაძე
კანისა და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—3 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მესკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლის ხემბლის აფთიაქის პირდაპირ.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი
მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, შემო სართული, ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

1925 წლის 17 ნოემბერს

გაიპარა 12 წლის ბავშვი ისიდორე იგივე აკაკი პავლეს ძე ფახურიძე ტანათ საშუალო, თმები და თვალები თაფლის ფერი.

მნახველს ვსთხოვთ აცნობოს დ. ვანი ქუთაისის მაზრა, აღმასკომში.

1—1 1229

დაიკარგა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ქაღალდი № 31 გიორგი ივანეს ძე ნალეკრიშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1228

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2456—ივანე ბიჭიაძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1220

დაიკარგა უბის წიგნაკი, პარტიული ბილეთი № 493068, პროფკავშირის წიგნაკი და სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწმობა ნიკოლოზ კეპულერიშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1211

დაიკარგა პირადობის მოწმობა—გრიგოლ ვასილის ძე კობახიძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1214

დაიკარგა ა. ლ. კ. კ. დროებითი მანდატი № 1678, მუშაობის სტაჟის მოწმობა და სილარიბის მოწმობა—გრიგოლ ვასილის ძე აბულაძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1212

დაიკარგა სახელმწიფო ბეჭედი წითელ მეწვრილმანეთა კოლექტივის. ადგილკომის პროფკავშირის წიგნაკი № 1675, დაზღვევის წიგნაკი № 1659. ნიკოლოზ ლეჟავას კვანტალიანის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1218

დაიკარგა ექიმების მოწმობა ავათმყოფობის შესახებ და 38 მანეთი გაბრიელ მიხეილის ძე თხილაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1214

დაიკარგა პირადობის მოწმობა, რეგისტრაციის ქაღალდი ნიკო დათიკოს ძე სხირტლაძის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1215

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა გაცემული ნახჩევანის სამხედრო კომისარიატის მიერ არამაის ნიკოლოზის ძე ვართანოვის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1219

დაიკარგა რეგისტრაციის ქაღალდი მიხეილ კვანტალიანის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1209

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ ეკონომიურ ფაკულტეტის ეკონომიური დარგის სტ. ირაკლი ვასილის ძე ნადირაშვილის სახელზე. გაცემული 1922 წ. მატრიკული № 274. ჩ. გ.

1—1 1218

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 6305. ვლადიმერ ყუთუნიას სახელზე. ჩ. გ.

1—1 1219

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი ივანე ჩუბინიძის სახელზე. ჩ. გ.

1— 1225

დაიკარგა 17 იანვარს 1926 წ. ქუთაისიდგან ჩამოსული ჭორიკა მომცემლისგან ნიშანი: კუდი მერიკული ფორმის, პალტოს შავი, ხელი გულზედ დაკიდებული. მნახველს ვსთხოვთ მოიყვანონ პროუტის ქუჩა № 8, შალვა ნიჟარაძის და ჭიჭიკო ცეცხლაძის ბინა.

1—1 1224

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამა წულუკიძის ქუჩა № 4